საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№46 (564)
16 - 22 დეკემბერი, 2020
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## რატომ დაიწყო საინფორმაციო შეტევა რუსულ «სპუტნიკ V»-ზე
22

# ამერიკელების ორი ძაღლისშვილი





6-7

# ყვარყვარე და ყვარყვარუკა

## ორფეხა ვირების დოლი



«დემოკრატია გინდებლარიენ?» — ნამდვილი დემოკრატია არჩევანის თავისუფლებაა!
2



ნანა კაკაბაძე:
## ქაღალდზე ყველაფერი კარგად არის, რეალურად კი ყველაფერი ცუდადაა
3



## თუ ოპოზიციამ აუქნია ხელი დასავლეთს, რატომ უნდა იყოს მმართველი გუნდი მისი მითითებების უსიტყვო შემსრულებელი?
4




## რამდენიმე მილიონად ნაყიდ ვაქცინაზეც თუ გვეტყვიან, როგორც «ჯაველინებზე», სანაგვეში გადააგდეთო, მალე გაირკვევა
9



8
თემურ ფიფია:
## «მითების დეტექტორი» არის დღევანდელი «დემოკრატიის», ანუ ბანკირთა დიქტატურის ბუნებრივი ატრიბუტი, საყოველთაო ცენზურის გამოვლინება



## ამერიკელ მილიარდერებს «რევოლუციონერი» შავკანიანები და გეები კომპანიების დირექტორთა საბჭოებში შეჰყავთ
14



10
## ფრთხილად, ამერიკის შეერთებული შტატები იშლება!



15
## 27 მცველი: მსოფლიო ოლიგარქებმა ხალხების მართვის მეთოდს მიაგნეს

ავი მესაიფი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საქართველოს ხელისუფლება იმის მაგივრად, რომ ფიქრობდეს, როგორ აღმოჩნდეს საჭირო მომენტში საჭირო ადგილზე, პოლიტიკური ონანიზმით არის დაკავებული და მხოლოდ იმაზე შფოთავს, იმპოტენტ პარლამენტში ვინ შევა და ვინ — არა. ამ ტრაგიკომედიამ ერთი კახური ანდაზა გამახსენა — „ვირი გინდ ლობის აქეთ დააბი, გინდ იქეთ, მაინც ვირიაო. მცირე გამონაკლისის გარდა, პარლამენტში შესულების, შესასვლელად გამზადებულებისა თუ ქუჩაში დარჩენილების უმრავლესობა ე.წ. კუჭის ფილოსოფიით მოაზროვნე ორფეხა ვირები არიან“.**

**სახიფათო, გნებავთ, საგანგაშოა ის, რასაც „ცივილიზებულ, დემოკრატიულ“ აშშ-ევროკავშირსა და მათ სატელიტ ქვეყნებში (მათ შორის, უწინარესად, საქართველოში) ტოტალურად მოდებული რუსოფობია ჰქვია. დასავლეთში რუსოფობიამ ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ მასაც შეიძლება პანდემია ვუწოდოთ. პანდემია, რომლის აღვირახსნილ პროპაგანდას კორონავირუსზე არანაკლებ შეუძლია დააზიანოს არამხოლოდ ხსენებული „კულტუროსანი“ აშშ-ევროკავშირი და მათი სატელიტი ქვეყნები, არამედ სრულიად კაცობრიობა.**

# ორფეხა ვირების დოლი

## «დემოკრატია გინდებლარიენ?» — ნამდვილი დემოკრატია არჩევანის თავისუფლებაა!



თანამედროვე ე.წ. ლიბერალი „ისტორიკოსებისაგან“ განსხვავებით, რომლებიც სსრკ-ის ისტორიას მხოლოდ ე.წ. ბოროტების იმპერიის (ასე უწოდა „სიკეთის იმპერიის“ პრეზიდენტმა **რონალდ რეიგანმა** სსრკ-ს) კონტექსტში განიხილავენ და ამ სიცრუის სწავლება-პროპაგანდით მიზანმიმართულად ურეცხავენ ტვინებს ჩვენს შვილებს, მე, რომ იტყვიან, „დროული კაცი“, ჩემი დროების ავ-კარგს მიუკერძოებლად ვიხსენებ ხოლმე.

დასავლეთი საბჭოეთის ბოროტების დამამტკიცებელ ერთ-ერთ „რკინისებურ არგუმენტად“ სსრკ-ში სიტყვის თავისუფლებისა და, შესაბამისად, დემოკრატიული მმართველობის არარსებობას მიიჩნევდა და, არცთუ უსაფუძვლოდ, მაგრამ რა? ახლა, როცა სსრკ-ის იმპერია აღარ არსებობს, დავინახეთ, რომ **ე.წ. სიტყვის თავისუფლება (რომლის არარსებობაზე ვკამათობდით ე.წ. ხრუშჩოვკების ციცქნა სამზარეულოებში), ფრთიანად თუ ვიტყვით, ე.წ. წერე და იკითხეა და სხვა არაფერი. ანალოგიურის თქმა შეიძლება შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების შესახებაც — მიკროფონში თუ მის გარეშე ხმის ჩახლეჩამდე წივილ-კივილის შედეგის გამოხატვა კიდევ ერთი ფრთიანი ფრაზით არის შესაძლებელი: „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის!“**

რაც შეეხება პოსტსაბჭოთა საქართველოში შობილ იუმორისტულ რეფრენს — „დემოკრატია გინდებლარიენ?“-ს (რომელიც წინამდებარე წერილის სათაურადაც გამოვიყენე) — დემოკრატია **უინსტონ ჩერჩილმა** თავის დროზე დაახლოებით ასე დაახასიათა: **„დემოკრატია მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმაა, მაგრამ კაცობრიობამ დემოკრატიაზე უკეთესი, სამწუხაროდ, ჯერ ვერაფერი მოიფიქრა!“**

ზემოთ თქმულიდან და რის თქმასაც ქვემოთ ვაპირებ, იქიდან გამომდინარე, ამ „რთულ“ კითხვაზე პასუხად ჩემი (და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემ გარდა ბევრის) აზრით, ყველაზე უპრიანი იმის თქმა იქნებოდა, რომ დემოკრატია, როგორც ასეთი, ბუნებაში არ არსებობს და მორჩა.

მაგრამ, თუ მაინცდამაინც „გავჯიქდებით“ და ამ მიმართებით მსჯელობას განვაგრძობთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ზუსტად იმდენი სახის დემოკრატიაა, რამდენი ქვეყანაც არსებობს მსოფლიოში. დემოკრატიის მრავალსახიანობაზე პირველად რუსეთის პრეზიდენტმა „დაასველა სიტყვა“, როდესაც „ლიბერასტი“ ჟურნალისტის კითხვაზე — რატომ არ აკანონებთ რუსეთში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებასო (მეგრულად თუ „მოვთარგმნით“, „სორე სკანი დემოკრატიაო“), ვლადიმერ პუტინმა, მოკლედ მოუჭრა, — ჩვენ სუვერენული დემოკრატია გვაქვსო და მას შემდეგ (მანამდეც) — იმ ქვეყნებში, რომლებშიც რუსეთი თავისი „სუვერენული დემოკრატიის“ ექსპორტს ეწევა (დნესტრისპირეთი, სირია, ლუგანსკ-დონეცკი, აგერ ახლახან — მთიანი ყარაბაღი და რაც არ უნდა მტკინვეული უნდა იყოს ქართველებისთვის, სიმართლე უნდა ვაღიაროთ — სოხუმ-ცხინვალი), სულ ცოტა, აღარ ისვრიან. თუ ვინმე გაბრიყვდა ან გააბრიყვეს (დიდი ალბათობით, მსგავსი პროვოკაციის შემსრულებელი თუ არა, დამკვეთი რუსეთის „მეგობარი“ თურქეთი იქნება) და მთიან ყარაბაღში თუნდაც ერთი რუსი სამშვიდობო კონტინგენტის ჯარისკაცი მოკლეს, რუსეთის პრეზიდენტმა ახლავე გააფრთხილა ნატო და ევროკავშირი (წაიკითხე, აშშ), რომ დაისჯება არათუ პროვოკაციის კონკრეტული შემსრულებელი (რუსები 2008 წლის შეცდომას აღარ გაიმეორებენ, როდესაც ქართველების მიერ 20 რუსი ჯარისკაცის მკვლელობის გამო „შურისძიების“ მიზნით, თბილისის აღების მაგივრად, „ჟანგიანი“ ტანკები გორთან შეაჩერეს), არამედ პროვოკაციის ავტორი ქვეყნის სახელმწიფოებრიობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. **რაც შეეხება დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების მიერ სხვადასხვა ქვეყანაში (იუგოსლავია, ლიბია, ეგვიპტე, ტუნისი, გნებავთ უკრაინა, საქართველო და ა.შ.) დემოკრატიის ექსპორტს, ხატოვნად თუ ვიტყვით, სადაც დასავლელი „დემოკრატიზატორები“ შევიდნენ, „ბალახმა აღარ გაიხარა“. ერთ დროს აყვავებული და ერთიანი იუგოსლავია პოლიტიკური რუკიდან სამუდამოდ გაქრა, რადგან ერთმანეთზე მამასისხლად გადამტერებულ ნაწილებად დაშალეს.** იმავეს თქმა შეიძლება საქართველოსა და უკრაინაზეც. რუსები და უკრაინელები, პრაქტიკულად, ერთი ისტორიის, კულტურის, გნებავთ, ერთი გენეტიკის ხალხები, სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდეს ერთმანეთს. შედეგად უკრაინამ სამუდამოდ დაკარგა ყირიმი, დონბას-ლუგანსკი, რომელთაც მოკლე ხანში ოდესა და, თქვენ წარმოიდგინეთ, შეიძლება კიევიც დაემატოს და აღდგეს ისტორიული კიევის რუსეთი. რაც შეეხება საქართველოს, მან დიდი ხანია, პოლიტიკურად დაკარგა სოხუმი და ცხინვალი. ეს მწარე რეალობაა და არა ჩემი უსაფუძვლო პესიმიზმი — „მეგობარი“ დასავლეთის იმედად ჩახდილი უკანალებით მავთულხლართების ცოცვას ვერ შევაჩერებთ... მოკლედ, დემოკრატიის თემაზე ნაცარქექიობამ დაგვანახვა, რომ დემოკრატია ხალხის მოსატყუებლად მოგონილი მითია და იმისთვის, რაც არარსებობს, არ ღირს ვენების გადახსნა.

**თავს ბედნიერად ვთვლი, რომ განგების ნებით, სსრკ-ის ოქროს ხანაში, 60-70-იან წლებში ვცხოვრობდი; მაშინ, როდესაც ხვალინდელი დღის გათენების (დღევანდელი „თავისუფალი, დემოკრატიული“ საქართველოსგან განსხვავებით) არ გეშინოდა — არიქა, ცოლ-შვილი რით და როგორ ვარჩინოო: ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, გათბობა, ექიმი და ა.შ. „საზიზღარი კომუნისტების“ პერიოდში ხომ პრაქტიკულად უფასო იყო ხელისუფლების მიერ ნაჩუქარ ბინებში მცხოვრები საბჭოთა ადამიანებისთვის, „ჰომო სოვეტიკუსებისთვის“, როგორც ირონიულად გვიწოდებენ და უფროსი თაობის ხალხს დღესაც ასე გვამკობენ ლიბერასტი დემოკრატები.**

სსრკ-ის მოქალაქეებისთვის ერთადერთი დისკომფორტი სტალინის მიერ ჩამოშვებული რკინის ფარდის იქითა, დასავლეთის მხრიდან ინსპირირებული ე.წ. ცივი ომი იყო. თუმცა სსრკ-აშშ-ის პოლიტიკურ-სამხედრო დაპირისპირების პიკშიც კი არ ყოფილა დღევანდელის მსგავსი რუსოფობია. ორი, დიამეტრულად სხვადასხვა სისტემა ერთმანეთს მეცნიერებაში, მედიცინაში, კოსმოსის ათვისებაში ეჯიბრებოდა — ამ უკანასკნელში უდავო ლიდერი სსრკ რომ იყო, ფაქტები მოწმობს: **დედამიწის პირველი თანამგზავრის, პირველი კოსმონავტის და სხვა მრავალი მიღწევის ავტორი სსრკ იყო და მთვარეზე ასვლასაც დავასწრებდით ამერიკელებს, კოროლიოვი მოულოდნელად რომ არ გარდაცვლილიყო. ჰოდა, მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, იმხანად არანაირი რუსოფობია არ არსებობდა, რისი კიდევ ერთი მაგალითი 1975 წელს „სოიუზ-აპოლონის“ ერთობლივი პროექტის წარმატებით განხორციელება იყო, როდესაც საბჭოთა კავშირისა და ამერიკის კოსმონავტ-ასტრონავტებმა ერთმანეთს ხელი შორეულ კოსმოსში ჩამოართვეს.** მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა.

1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევამ მსოფლიოს ე.წ. ცივი ომის დამთავრება ამცნო და სსრკ-ის „ბოროტი იმპერიაც“ მასში შემავალი საბჭოთა რესპუბლიკების სახით „თავისუფალ“ მარტივ მამრავლებად დაიშალა, ბურთი და მოედანი ცივ ომში გამარჯვებულ აშშ-ის „კეთილ იმპერიას“ დარჩა და თითქოს რაღა უნდა ჰქონოდათ ერთმანეთში გასაყოფი? „კეთილ დასავლეთს“ (წაიკითხე, აშშ) მსოფლიოში ჰუმანური ჰარმონიული ცხოვრება უნდა დაემყარებინა, მაგრამ...

სსრკ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაიშალა. აქედანვე დაიწყო ლგბტ სექტის და სხვა ათასი გარყვნილების პროპაგანდა, როდესაც გაერომ (ეს არაერთხელ აღმინიშნავს) მამათმავლობა დაავადებების სიიდან ამოშალა, ხოლო სიყვარული დაავადებად გამოაცხადა. გაიგეთ, ხალხო? სიყვარული, ანუ ღმერთი, ბიბლიური ჭეშმარიტება ღაღადებს, რომ თვითონ ღმერთია სიყვარული... აი, აქ არის ძაღლის თავი დამარხული. **დასავლეთმა, ფაქტობრივად, ღმერთის უარყოფა გამოაცხადა ცხოვრების მთავარ ღირებულებად თუ ფასეულობად.**

ჰოდა, როგორც დიდი **დოსტოევსკი** ბრძანებს, **„თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ ყველაფერი ნებადართულია“,** თანამედროვე „დემოკრატიული“ დასავლეთი სწორედ ღმერთის უარყოფის „მორალით“ ცხოვრობს — აქეთ, აღმოსავლეთში, ნიუ-იორკი, იქით, დასავლეთში კი კალიფორნია-ლოს-ანჯელესია ლგბტ თემის მიწიერი სამოთხე და დონალდ ტრამპის მთავარი ჩამომლაბორანტებელი. ჩვენდა სამწუხაროდ, მიუხედავად ტრამპის მუქარა-გაჯიქებისა, მას მაინც მოუწევს ოვალური კაბინეტის დათმობა **ჯო ბაიდენისთვის,** რომელსაც თამამად შეიძლება, ლგბტ თემის მეფე ვუწოდოთ...

რუსეთმა უკვე დაიწყო დასავლეთის მიერ „დაწუნებული“ ვაქცინით რისკ-ჯგუფებში მყოფი მოქალაქეების (სამედიცინო პერსონალის, მოხუცების და ა.შ.) ნებაყოფლობითი აცრა. ამასთანავე, დაიწყო სამხედროების — მფრინავებისა და საზღვაო ფლოტის პერსონალის — მასობრივი აცრები. სამხედროების ვაქცინაცია იმ მოსაზრების აბსურდულობას ამტკიცებს, რომ პირველობის მანიით შეპყრობილი ვლადიმერ პუტინი განზრახ იმეტებს სასიკვდილოდ მოსახლეობას არასაიმედო ვაქცინით აცრებით. **სამწუხაროა, რომ რუსული ვაქცინის ბოიკოტში აშშ-ის მონა ქოც-ნაცების ხელისუფლება აქტიურად არის ჩართული. საქართველოს ხელისუფლება იმის მაგივრად, რომ ფიქრობდეს, როგორ აღმოჩნდეს საჭირო მომენტში საჭირო ადგილზე, პოლიტიკური ონანიზმით არის დაკავებული და მხოლოდ იმაზე შფოთავს, იმპოტენტ პარლამენტში ვინ შევა და ვინ — არა. ამ ტრაგიკომედიამ ერთი კახური ანდაზა გამახსენა — „ვირი გინდ ლობის აქეთ დააბი, გინდ იქეთ, მაინც ვირიაო“.** მცირე გამონაკლისის გარდა, პარლამენტში შესულების, შესასვლელად გამზადებულებისა თუ ქუჩაში დარჩენილების უმრავლესობა ე.წ. კუჭის ფილოსოფიით მოაზროვნე ორფეხა ვირები არიან.

თქვენ, „პატრიოტები“, თუ ბოიკოტს უცხადებთ რუსულ ვაქცინას, მე, ქვეყნის „მოღალატეს“, მომეცით არჩევანის საშუალება, რუსულ „საწამლავსა“ და ამერიკულ „უკვდავების“ ვაქცინას შორის „საწამლავი“ ავირჩიო და იმით „მოვიკლა თავი“...

„დემოკრატია გინდებლარიენ?“ — არჩევანის თავისუფლებაა ნამდვილი დემოკრატია!

**დავით მხეიძე**

**თავს ბედნიერად ვთვლი, რომ განგების ნებით, სსრკ-ის ოქროს ხანაში, 60-70-იან წლებში ვცხოვრობდი; მაშინ, როდესაც ხვალინდელი დღის გათენების (დღევანდელი «თავისუფალი, დემოკრატიული» საქართველოსგან განსხვავებით) არ გეშინოდა — არიქა, ცოლ-შვილი რით და როგორ ვარჩინოო: ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, გათბობა, ექიმი და ა.შ. «საზიზღარი კომუნისტების» პერიოდში ხომ პრაქტიკულად უფასო იყო ხელისუფლების მიერ ნაჩუქარ ბინებში მცხოვრები საბჭოთა ადამიანებისთვის, «ჰომო სოვეტიკუსებისთვის», როგორც ირონიულად გვიწოდებენ და უფროსი თაობის ხალხს დღესაც ასე გვამკობენ «ლიბერასტები»**

„თუ კიდევ დააფინანსებენ ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა, მაგალითად, „სამართლიანი არჩევნები“, რომლის საქციელსაც გნებავთ, შეცდომა დაარქვით, გნებავთ — მიზანმიმართული ქმედება, სამარცხვინოა, მერე უკვე გამორიცხული იქნება იმის თქმა, რომ აქ უცხოელი გადამხდელების ფული მიზნობრივად იხარჯება“.

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ნანა კაკაბაძე:

# ქაღალდზე ყველაფერი კარგად არის, რეალურად კი ყველაფერი ცუდადაა

**10 დეკემბერს ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში ადამიანის უფლებების კვირეული დაიწყო. პროექტი სლოგანით „ერთად ადამიანის უფლებებისთვის —კრიზისიდან უკეთესობისკენ“ გარკვეული ღონისძიებებით აღინიშნა. როგორც ორგანიზაციის (ევროკავშირის წარმომადგენლობის) ოფიციალურ ვებგვერდზე წერია, ევროკავშირი ადამიანის უფლებების დაცვისა და გაძლიერებისკენ მიმართულ ხუთ ახალ პროექტს იწყებს. (მათ შესახებ უფრო დეტალურად კვირეულის ფარგლებში გახდება ცნობილი): „10 დეკემბერი გვაძლევს შესაძლებლობას, რომ კიდევ ერთხელ დავადასტუროთ ადამიანის უფლებების მნიშვნელობა იმ სამყაროს შექმნისთვის, რომლისკენაც მივისწრაფვით, ისევე, როგორც გლობალური სოლიდარობისა და ჰუმანური პრინციპებისადმი ერთგულების მნიშვნელობა...“**

განცხადებაში ასევე ხაზგასმულია, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ევროკავშირმა 100 მილიონზე მეტი ლარის დახმარება გაუწია საქართველოს, რაც კიდევ ერთხელ ამტიცებს და აღრმავებს ორმხრივ პარტნიორობას: „ევროკავშირის დახმარებით საქართველოში, ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში 20-ზე მეტი პროექტი ხორციელდება, რომელთა მიზანია ბავშვებისა და ქალების უფლებების დაცვა, ყოფილი პატიმრებისა და მსჯავრდებულების რეინტეგრაციის ხელშეწყობა, გენდერული თანასწორობისა და პროფესიული თანასწორობის დამკვიდრება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მოსახლეობის სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა...“

შეგახსენებთ: თითოეული პროექტი, რომელსაც ევროკავშირი საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად აფინანსებს, საქართველოში მოქმედ სხვადასხვა „არასამთავრობო“ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობითა და კოორდინაციით ხორციელდება. მათ შორის არიან ისეთი ორგანიზაციებიც, რომლებიც ღიად უპირისპირდებიან ქართულ ტრადიციებს, კულტურას, აკრიტიკებენ ეკლესიას და ა.შ.

**გაუმჯობესდა თუ არა ბოლო წლებში ადამიანის უფლებები და კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა ამ თვალსაზრისით ქვეყანაში, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, 10 დეკემბერს ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში ადამიანის უფლებების კვირეული დაიწყო, რომლის ფარგლებშიც გარკვეული ღონისძიებები ჩატარდა. გავრცელდა განცხადებაც, რომ ორგანიზაცია ხუთ ახალ პროექტს იწყებს. თქვენ, როგორც დამოუკიდებელი უფლებადამცველი, რომელიც წლებია, იბრძვით ადამიანის უფლებებისთვის, რას ფიქრობთ დღემდე განხორციელებულ პროეტებზე და საერთოდ, რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით?**

— რთული შეკითხვაა. ვფიქრობ, დღეს ძნელად აღსაქმელია ის, რაც ქვეყანაში ხდება ადამიანის უფლებების კუთხით. ვგულისხმობ იმას, რომ, ერთი მხრივ, არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ნამდვილად იძლევა ადამიანის უფლებების დაცვის საშუალებას და, მეორე მხრივ, არის რეალობა. იდეაში თითქოს ეს დემოკრატიული სტანდარტიც და საკანონმდებლო ბაზაც სრულიად საკმარისი უნდა იყოს, რომ აქ ადამიანს სრულფასოვნად შეეძლოს თავისი უფლებების რეალიზება, მაგრამ, მეორე მხრივ, ვხედავთ განსხვავებულ მოცემულობას...

**— დავაკონკრეტოთ. თქვენ ამბობთ, რომ კანონმდებლობა მეტ-ნაკლებად კარგი გვაქვს, მაგრამ მისი სათანადოდ განხორციელება არ ან ვერ ხდება?**

— თავისთავად ცხადია. კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს ყველაფერი: დავიწყოთ ადამიანის უფლებების დაცვის იმ ორმაგი სტანდარტებითა და აბსოლუტურად მიკერძოებული, არანეიტრალური მიდგომებით, რომლებიც, ფაქტობრივად, ფუნდამენტურად ანგრევს სამართლიანობის პრინციპებს. მაგალითად, **ავიღოთ პოლიტიკურ სპექტრში მიმდინარე პროცესები, რას ვხედავთ: ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც, განსაკუთრებით კი ოპოზიციაში, მძლავრობს კრიმინალი. წარმოიდგინეთ, კრიმინალები, რომელთა მიმართაც მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, არიან პოლიტიკაში, წარმართავენ პროცესებს და ამის გამო მათ გარკვეული იმუნიტეტიც აქვთ.** ეს ერთი, მეორე — კონკრეტული შემთხვევები რომ მოვიყვანოთ, **ისეთი თვალსაჩინო კრიმინალი, როგორიც გიგი უგულავაა, რომელსაც ბიუჯეტიდან 50 მილიონის მოპარვას ედავებოდნენ და დაუმტკიცდა, სულ რაღაც, ორ წელიწადზე ცოტა მეტხანს იჯდა ციხეში... გამაგებინეთ, კრიმინალისკენ ოდნავ მაინც მიდრეკილი რომელი მოქალაქე არ მოიპარავს ამხელა თანხას, თუ ეცოდინება, რომ 2 წელზე მეტი ხნით არ ჩასვამენ?!** სხვათა შორის, დღეს საპყრობილეები სავსეა ადამიანებით, რომლებსაც 100 და 50 ლარი აქვთ მოპარული, რათა საჭმელი ან წამალი ეყიდათ. რა გამოდის? თუ მოიპარავ 100 ლარს, უნდა იჯდე ციხეში და, თუ მოიპარავ მილიონებს, უნდა იყო პოლიტიკაში, რათა ხელშეუხებლობის გარანტიები გქონდეს... აი, ეს არის დღევანდელი სამწუხარო რეალობა, ამიტომ, ჩემი აზრით, **საუბარი იმაზე, რომ, თურმე, ქვეყანაში დემოკრატია ყვავის და ადამიანის უფლებების დაცულობის თვალსაზრისით სერიოზული ნაბიჯები იდგმება, უხერხულია.**

რაც შეეხება საზოგადოებას და მასში არსებულ განწყობებს, ბუნებრივია, როცა ხალხი ხედავს, რომ მისი ნაძარცვი ფულით გამდიდრებული დამნაშავეები ისევ ხელისუფლების სათავეში ცდილობენ მოსვლას, ქუჩებს კეტავენ, დესტაბილიზაციით იმუქრებიან და ა.შ., ეს აჩენს დიდი უსამართლობის განცდას, უიმედობასა და ნიჰილიზმზე რომ არაფერი ვთქვათ; გამომდინარე აქედან, **მე, როგორც უფლებადამცველს, დღეს ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა დავპირდე უბრალო მოქალაქეს, უსამართლობის მსხვერპლს, რომ ამ ქვეყანაში, ამ წარმოუდგენელ უსამართლობაში მის უფლებებს დავიცავ. ხომ მომიტრიალდება და მეტყვის ის ადამიანი: შენ ვინ დაგაცვევინებს ჩემს უფლებებს, ის კრიმინალები, რომლებიც მე მძარცვავდნენ და მყვლეფდნენო?!**

**— დავუბრუნდეთ ისევ ევროკავშირის დაფინანსებითა და ხელშეწყობით განხორციელებულ პროექტებს. როგორ ფიქრობთ, ამ პროექტებმა ოდნავ მაინც გააუმჯობესა ქვეყანაში ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა?**

— ვფიქრობ, ისინიც, პირველ რიგში, იმ მიმართულებით უნდა მუშაობდნენ და აფინანსებდნენ პროექტებს, რომ ის ორმაგი სტანდარტები, რომლებიც ანგრევს სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს, აღმოიფხვრას. ჩემი აზრი ასეთია, რომ ხელისუფლებაც უნდა იქნას მხილებული... სხვა შემთხვევაში **პოლიტიკა ყოველთვის დარჩება კრიმინალების თავშესაფრად; იმ ადამიანების, რომლებიც თავის დროზე ფულის საშოვნელად, მოსაპარავად მოვიდნენ ქვეყნის სათავეში, ხოლო ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დარჩნენ პოლიტიკაში, რათა მათთვის პოლიტიკოსის მანტია ერთგვარი დაცვის გარანტია ყოფილიყო.** სხვათა შორის აი, ამ მავნე პრაქტიკის შედეგია ის, რომ პატიოსანი ადამიანები აღარ მიდიან პოლიტიკაში, უკვე მრავალი წელია, ქვეყანაში დამკვიდრებულია თვალსაზრისი, რომ თურმე პოლიტიკა ბინძური საქმეა. აქვე მინდა, მოკლედ შევეხო კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც, ჩემი აზრით, ნათლად მეტყველებს ქვეყანაში ადამიანის უფლებებისადმი არაჯანსაღ დამოკიდებულებაზე. რა ხდება: **ვინც წლების განმავლობაში სწორედ ადამიანის უფლებების დაცვით და ამ მიმართულებით ბრძოლით მოიპოვა გარკვეული პოპულარობა საზოგადოებაში, უცბად ვხედავთ, რომ გადაბარგდა პოლიტიკაში. გამოდის, ამ ხალხმა ეს ყველაფერი გამოიყენა ერთგვარ ტრამპლინად. არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში, არც ერთ წესიერ არასამთავრობო ორგანიზაციაში ასეთი რამ არ ხდება. ასეთი რაღაცები ხდება მედროვეებისა და ფსევდოუფლებადამცველების გარემოცვაში, რომელთათვისაც არ არსებობს არანაირი ღირებულება, არანაირი ფასეულობა და პრინციპი.** აი, ეს არის ის, რაც აქრობს და ანადგურებს სახელმწიფოში სამართლიანობის განცდას; და, როდესაც სამართლიანობის განცდა იკარგება, კრიმინალიც მატულობს და პოლიტიკა ხდება კრიმინალების თავშესაფარი.

რაც შეეხება ისევ იმ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს, ევროკავშირი იქნება ეს თუ სხვა რომელიმე, რომლებიც აქ მილიონებს ხარჯავენ ადამიანის უფლებების გასაუმჯობესებლად, **თუ მათ მართლა ჰგონიათ, რომ ეს თანხები საქმეს ხმარდება, ძალიან ცდებიან. ეს თანხები მიდის ისევ და ისევ იმ მედროვე უფლებადამცველების ჯიბეებში, რომლებიც ხვალ-ზეგ, დიდი ალბათობით, თვითონაც გადაბარგდებიან პოლიტიკაში.** ეს უკვე ერთგვარი პრაქტიკაა აქ და ამას ყველა ვხედავთ, ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს ფული წყალშია გადაყრილი და არა საქმეში დახარჯული.

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ ის მავნე პრაქტიკა, რომელზეც საუბრობთ, თუნდაც ნაწილობრივ აღმოიფხვრას და გაჯანსაღდეს ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება, რომელიც, ბუნებრივია, ადამიანის უფლებების კუთხითაც გააუმჯობესებს ვითარებას?**

— აქ, ალბათ, გადამწყვეტი როლი ეკისრებათ ისევ და ისევ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებსაც, რა თქმა უნდა, ზემოქმედების ბერკეტები გააჩნიათ არსებულ ვითარებაზე. სხვა დანარჩენს დრო გვიჩვენებს, ვნახოთ, **თუ კიდევ დააფინანსებენ ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა, მაგალითად, „სამართლიანი არჩევნები“, რომლის საქციელსაც გნებავთ, შეცდომა დაარქვით, გნებავთ — მიზანმიმართული ქმედება, სამარცხვინოა, მერე უკვე გამორიცხული იქნება იმის თქმა, რომ აქ უცხოელი გადამხდელების ფული მიზნობრივად იხარჯება.** საზოგადოებამ კი უნდა მოიძიოს კონკრეტული ფონდები, რომლებიც მათ აფინანსებს და ყველაფერს დაარქვას თავის სახელი. სხვათა შორის, **ეს რომ არ ხდება და, პრაქტიკულად, ყველა ორგანიზაცია, ყველა პოლიტიკური ჯგუფი თუ გაერთიანება მიშვებულია თავის ნებაზე, ამის შედეგია ის, რომ გვარამია თავის ტელევიზიით გადასულია ადამიანების ღია ბულინგზე. მათ შორის პირდაპირ შეურაცხყოფს პრეზიდენტს და არა მხოლოდ.**

ისე, ძალიან მაინტერესებს, **როცა გვარამიას ტელევიზია 24 საათის განმავლობაში დაკავებულია კონკრეტული ადამიანების შეურაცხყოფით, სად არის სახალხო დამცველი, რატომ ხმას არ იღებს? სადმე თუნდაც ორი სიტყვით გამოეხმაურა ამ თემას? და კიდევ: დაფინანსება სჭირდება ასეთ სახალხო დამცველს?!** აი, ზუსტად ეს არის უბედურება, რომ ვერც ერთი ინსტიტუცია, ვერც ერთი ორგანიზაცია დღეს, ფაქტობრივად, თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს; ვერ ასრულებს ვერც ერთ კომპონენტში და სახელმწიფო, ფაქტობრივად, პარალიზებულია. კონკრეტულად ადამიანის უფლებებს რაც შეეხება, ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ ეს არის ის მიმართულება, რომელშიც სრული შეუსაბამობაა, ანუ ქაღალდზე ყველაფერი კარგად არის, ხოლო რეალურად ყველაფერი ცუდადაა. ამას, მგონი, უკვე ბავშვიც ხვდება, **აი, ასეთია მახინჯი პოლიტიკური მოცემულობა, რომელსაც, სამწუხაროდ, უკვე დიდი ხანია, მყარად ჩამოყალიბებული სისტემური ხასიათი აქვს.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«როცა გვარამიას ტელევიზია 24 საათის განმავლობაში დაკავებულია კონკრეტული ადამიანების შეურაცხყოფით, სად არის სახალხო დამცველი, რატომ ხმას არ იღებს? სადმე თუნდაც ორი სიტყვით გამოეხმაურა ამ თემას? და კიდევ: დაფინანსება სჭირდება ასეთ სახალხო დამცველს?!»**

**„რაც შეეხება ისევ იმ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს, ევროკავშირი იქნება ეს თუ სხვა რომელიმე, რომლებიც აქ მილიონებს ხარჯავენ ადამიანის უფლებების გასაუმჯობესებლად, თუ მათ მართლა ჰგონიათ, რომ ეს თანხები საქმეს ხმარდება, ძალიან ცდებიან. ეს თანხები მიდის ისევ და ისევ იმ მედროვე უფლებადამცველების ჯიბეებში, რომლებიც ხვალ-ზეგ, დიდი ალბათობით, თვითონაც გადაბარგდებიან პოლიტიკაში. ეს უკვე ერთგვარი პრაქტიკაა აქ და ამას ყველა ვხედავთ, ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს ფული წყალშია გადაყრილი და არა საქმეში დახარჯული“**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთის ბრძანებების უსიტყვოდ შესრულებაზე უარი არ ნიშნავს სხვა ქვეყნისკენ წასვლას და სხვა ბატონზე ჩამოკიდებას. მმართველმა გუნდმა პირველ ადგილზე ქართული სახელმწიფოს ინტერესი უნდა დააყენოს, უნდა თქვას ის, რა არის კარგი საქართველოსთვის და არა ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის.**

**მეათე მოწვევის პარლამენტი 11 დეკემბერს შეიკრიბა. უფრო ზუსტად, შეიკრიბნენ მხოლოდ მმართველი გუნდის დეპუტატები, ოპოზიცია კი კვლავ ბოიკოტის რეჟიმშია. იმის მიუხედავად, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები, გაგიკვირდებათ და, სახალხო დამცველი, დასავლელი ელჩები და, რაც მთავარია, ამერიკის ელჩი, ერთხმად მოუწოდებენ ოპოზიციას, საკანონმდებლო ორგანოში შევიდნენ და საპარლამენტო ტრიბუნა გამოიყენონ პროტესტისთვის. როგორც ჩანს, ოპოზიცია დასავლეთის ასეთ დამოკიდებულებას არ ელოდა. მათ განგაშის ზარებს პირველად მაშინ შემოჰკრეს, როცა მაიკ პომპეო ჩამოვიდა და ოპოზიციონერებს არ შეხვდა. ახლა კი, როცა მიხვდნენ, რომ დასავლეთმა ისინი, უბრალოდ, მიატოვა და არ გაიმეორა ის, რაც 2003 წელს მოხდა, გაბრაზდნენ. შეგახსენებთ, რომ 2003 წელს, 5-ათასიანი აქცია სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდა და ახლაც იგივე სურდათ.**

# თუ ოპოზიციამ აუქნია ხელი დასავლეთს, რატომ უნდა იყოს მმართველი გუნდი მისი მითითებების უსიტყვო შემსრულებელი?

## სააკაშვილის ხელისუფლება ჯალათების ხელისუფლება იყო და, თუ დაბრუნდებიან, ისევ ძველ პროფესიას მოირგებენ

„ვითომ კონფლიქტი განმუხტეს თავიანთი ადმინისტრაციების წინაშე. ეს არის სირცხვილი დ ზუსტად ეს არის დასავლეთის დამაზიანებელი. მე ნუ დამელაპარაკება ანტიდასავლურ ქცევაზე რუსეთის ოფიციალური ღია აგენტის შვილი **ირაკლი კობახიძე** და რუსული პროექტის, **ბიძინა ივანიშვილის** მონა ირაკლი კობახიძე; მე — რუსეთის მიერ დევნილ ნიკა გვარამიას, მათ შორის ის ფალსიფიკატორები, რომლებიც ახლა სხედან და არავინ იცის, რაზე მუშაობენ. თუ რამეა დასავლეთისთვის ზიანის მიმყენებელი, არის კარლ ჰარცელისა და კელი დეგნანის ქცევა, რომლებიც ტყვეებით ვაჭრობაში მონაწილეობენ და „ქართული ოცნების“ ინტერესების დაკმაყოფილებაში ცვლიან ტყვეებს“, — განაცხადა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მთავარი პროკურორის მოადგილემ, იუსტიციისა და განათლების ყოფილმა მინისტრმა, ამჟამად „ნაციონალური მოძრაობის“ რუპორის, ტელეარხ „მთავარის“ გენდირექტორმა **ნიკა გვარამიამ.**

რატომ ვიწყებთ გვარამიას და არა რომელიმე პოლიტიკოსის განცხადებით? იმიტომ, რომ ერთ-ერთი ლიდერი ოპოზიციისა სწორედ „მთავარი არხის“ გენდირექტორია და სწორედ მის რადიკალიზმს უკრავს ტაშს უკრაინიდან **მიხეილ სააკაშვილი.** ერთი ეგაა, **სააკაშვილი და გვარამია ვერ მიხვდნენ, რომ რუსული თემის ხსენება უკვე ქულებს ველარ წერს, რადგან ერმაც და ბერმაც დაინახა, რომ რუსეთი როგორც არჩევნების მიმდინარეობისას, ისე მის შემდგომ განვითარებულ პროცესებში განზე იდგა და არაფერში არ ჩარეულა. ამას მიხვდა დანარჩენი ოპოზიცია და ამიტომ ისინი რუსეთს აღარ (ვეღარ) ახსენებენ.** ჰო, გვარამიამ ისიც თქვა: გამაბოროტეს და, ხელისუფლება რომ შეიცვლება, მათი „პალაჩი“ გავხდებიო. სწორედ ეს სიტყვა იხმარა ბატონმა ნიკამ და დააანონსა ის, რასაც ყოველთვის ვიმეორებთ — სააკაშვილის ხელისუფლება ჯალათების ხელისუფლება იყო და, თუ დაბრუნდებიან, ისევ ძველ პროფესიას მოირგებენ.

ამ დაპირისპირებაში ისიც გამოჩნდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ რეალურად ერთნი არიან და მათ შორის წინააღმდეგობებიც არაა — სააკაშვილისა და **უგულავა-ბოკერიას** განცხადებები ერთიერთში ემთხვევა. მიშას ხელისუფლებაში დაბრუნება სურს, უგულავა და ბოკერია კი პარლამენტში ვერ ხვდებიან იმის გამო, რომ წინასაარჩევნოდ ხმამაღლა თქვეს: ჩვენი სია პირობითია, პარლამენტში ის შევა, ვინც პროცენტულად მეტს აიღებსო. ეს „მეტი“ კი ვერც უგულავამ აიღო და ვერც ბოკერიამ. შესაბამისად, ისინი პარლამენტში ვერ შედიან და ამიტომ სხვებსაც აიძულებენ, მანდატებზე უარი თქვან. იმავეს აკეთებს ნინო ბურჯანაძეც, ანუ უმანდატო პარტიის ლიდერი ამბობს: მე პარლამენტში ვერ შევდივარ და სხვაც არ უნდა შევიდესო.

გამოდის, **ამ ე.წ. ოპოზიციას ხელს აძლევს ერთადერთი რამ — ხელისუფლების სათავეში მოსვლა და მერე რა, რომ საამისოდ ხალხის მხარდაჭერა არ აქვს. 9წლის განმავლობაში ისინი მიეჩვივნენ იმას, რომ ხალხს არაფერს არ ეკითხებოდნენ, იქცეოდნენ ისე, როგორც სურდათ, აკეთებდნენ იმას, რაც სურდათ და, რაც მთავარია, დასავლეთი ამ ყველაფერზე თვალს ხუჭავდა, ხოლო თუ რომელიმე პოლიტიკოსი იტყოდა, დიქტატურაა საქართველოშიო, მაშინვე ხმალამოღებულები წაესეოდნენ: ოკუპანტის როგორ გჯერათ, დემოკრატიის შუქურა გვყავს პრეზიდენტადო.** ახლა კი ფაქტია, რომ ეს შუქურა დასავლეთმა ჩააქრო, დასავლელმა პოლიტიკოსებმა რეალობას თვალი გაუსწორეს და ცოტა არ იყოს, გაოცებულნიც არიან ოპოზიციის ქმედებით. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ **ამერიკისა და ევროპის წამყვანი ქვეყნების ელჩებს ვერავინ დააჯერებდა ოპოზიციის ურჩობას. ისინი ხომ მათი ყურმოჭრილი მონები იყვნენ, აკეთებდნენ ყველაფერს, რასაც უბრძანებდნენ, ექსპერიმენტებს ატარებინებდნენ ხალხზე, ერი კრიმინალად გამოაცხადებინეს სააკაშვილს და ახლა რადიკალური ცვლილება მოხდა. ოპოზიციამ დასავლეთსაც დაანახვა რეალური სახე, ისინი თავიანთ კეთილდღეობაზე ზრუნავენ და რის ფასად იქნება ეს ყველაფერი, არ აინტერესებთ.**

სამაგიეროდ, მიმდინარე პროცესები კარგი მაგალითი უნდა იყოს „ქართული ოცნებისთვის“. ისინი უნდა მიხვდნენ, რომ დასავლეთის ელჩების მოთხოვნებზე უარის თქმა სამყაროს დასასრული არ არის. ხომ დაინახეს, რომ ლამის ტალახში ათრიეს ელჩები ერთად და სათითაოდ ოპოზიციის ლიდერებმა, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც არჩევნების მათთვის არმოსაწონი მონაცემები გამოაქვეყნა, მოსყიდულად გამოაცხადეს, რუსეთუმეობა დასწამეს და ამით სამყარო არ დასრულებულა. პროცესი ისევ გრძელდება, ელჩები ისევ მზად არიან, შეხვდნენ ოპოზიციას და, რაც მთავარია, შეხვდნენ იმ ლიდერებს, რომლებიც მათ მოღალატეებსა და დემოკრატიული ღირებულებების მტრებს ეძახიან.



> **თუ გერმანიის, საფრანგეთის, ამერიკის ელჩებს დემოკრატიის მტრებს ეძახის ოპოზიცია და მაინც სასაუბროდ სხდებიან ერთ მაგიდასთან, რატომ არ შეიძლება იმავე მაგიდასთან დავსხდეთ სხვასთან და ვისაუბროთ ნებისმიერ თემაზე? დიახ, რუსეთს ვგულისხმობთ, ქვეყანას, რომელზეც გადის საქართველოს სტაბილურობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზა**

რა გამოდის? **თურმე შესაძლებელია რაღაცეებზე უარის თქმა, საქართველოს ინტერესების პირველ ადგილზე დაყენება და ამისთვის არავინ დაგსჯის, არც სამსახურიდან გაგიშვებს, არც კედელთან მიგაყენებს და უფრო მეტიც, შეგხვდება, დაგელაპარაკება.** სწორედ დღევანდელი ვითარებაა მოვლენების რადიკალურად შეცვლისა და სხვა რელსებზე გადაწყობის საუკეთესო საშუალება. **თუ ოპოზიციამ ხელი აუქნია დასავლეთს, რატომ უნდა იყოს მმართველი გუნდი მათი მითითებების უსიტყვო შემსრულებელი?** დასავლეთის ბრძანებების უსიტყვოდ შესრულებაზე უარი არ ნიშნავს სხვა ქვეყნისკენ წასვლას და სხვა ბატონზე ჩამოკიდებას. მმართველმა გუნდმა პირველ ადგილზე ქართული სახელმწიფოს ინტერესი უნდა დააყენოს, უნდა თქვას ის, რა არის კარგი საქართველოსთვის და არა ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის.

არავინ იცის, ასეთი შანსი სხვა დროს როდის გვექნება და ამას ახლა უნდა გამოყენება. ახლა უნდა ითქვას ხმამაღლა, რომ თურმე საუბარი შეიძლება ყველასთან. **თუ გერმანიის, საფრანგეთის, ამერიკის ელჩებს დემოკრატიის მტრებს ეძახის ოპოზიცია (თუმცა გაზაფხულზე, როცა საკონსტიტუციო ცვლილებები მიაღებინეს „ოცნებას“, მათ მზეს ფიცულობდნენ) და მაინც სასაუბროდ სხდებიან ერთ მაგიდასთან, რატომ არ შეიძლება იმავე მაგიდასთან დავსხდეთ სხვასთან და ვისაუბროთ ნებისმიერ თემაზე? დიახ, რუსეთს ვგულისხმობთ, ქვეყანას, რომელზეც გადის საქართველოს სტაბილურობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზა.** არ ვამტკიცებთ, რომ პირველივე შეხვედრა აუცილებლად დადებითი შედეგით დასრულდება, ასე არსად და არასდროს ხდება, მაგრამ ერთ შეხვედრაზე ვერც ოპოზიცია და ხელისუფლება შეთანხმდნენ, ვერც დასავლეთმა დაარწმუნა მხარეები და კომპრომისი ვერ მოინახა არც ერთი და არც ათი შეხვედრის შემდეგ. ამის მიუხედავად, შეხვედრები გრძელდება, საბანს ყველა თავისკენ ქაჩავს და, ბოლოს რა მოხდება, არავინ იცის.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: სწორედ დღევანდელი მდგომარეობაა საბაბი და საფუძველი იმისა, რომ ხელისუფლებამ ხმამაღლა და დაბეჯითებით თქვას, რომ საუბარს ყველასთან და ყველაფერზე აპირებს. არ და ვერ გაბრაზდებიან დასავლელი ელჩები, რადგან მათ წინ აქვთ ნათელი მაგალითი იმისა, რომ აღარ ემორჩილება ოპოზიცია, ანუ პოლიტიკოსები არ იზიარებენ მათ იმ მოსაზრებებს, რომლებიც, უბრალოდ, ხელს არ აძლევთ და არათუ არ იზიარებენ, იერიშზე გადადიან და ლანძღავენ კიდეც მათ. **მოლოდინი იმისა, რომ ჯო ბაიდენის გაპრეზიდენტების შემდეგ ოპოზიციის სასიკეთოდ რამე შეიცვლება, აბსურდია, რადგან კელი დეგნანი სწორედ ბაიდენის ბანაკის წევრია და, თუ რამეს ამბობს, სწორედ ბაიდენის ბანაკთან შეთანხმებით.**

> **მოლოდინი იმისა, რომ ჯო ბაიდენის გაპრეზიდენტების შემდეგ ოპოზიციის სასიკეთოდ რამე შეიცვლება, აბსურდია, რადგან კელი დეგნანი სწორედ ბაიდენის ბანაკის წევრია და, თუ რამეს ამბობს, სწორედ ბაიდენის ბანაკთან შეთანხმებით**

ამ ყველაფრის პარალელურად, პოლიტიკოსების კინკლაობაში რიგითი ადამიანები იმაზე უარეს დღეში ცვივდებიან, ვიდრე მანამდე იყვნენ. ვირუსის გარდა, პროდუქტების გაძვირება და უმუშევრობა მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას და მათთვის სულერთია, ვინ იქნება პარლამენტის შიგნით და ვინ — გარეთ; მათთვის მთავარი ის არის, საღამოს შინ რას მიიტანენ და რას აჭმევენ შვილებს. იმ შვილებს, რომელთა უმრავლესობა, სათანადო ტექნიკის უქონლობის გამო, დისტანციურად ვერ სწავლობს, უფასო განათლების მიღების შესაძლებლობაც არ აქვს. ჰო, ტექნიკის გარდა, ინტერნეტის გადასახდელი ფული ცალკე პრობლემაა და იმ სოფლებში, რომლებშიც ინტერნეტი, უბრალოდ, არ არის, დისტანციურ სწავლაზე საუბარიც კი სასაცილოა.

**ბესო ბარბაქაძე**

**„დიალოგი აუცილებელია რუსეთთან და მინდა, ვიფიქრო, რომ სალომე ზურაბიშვილის სიტყვა იყო აწონილი, გაზომილი, რომ მისი პირით ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ გამოთქვა თავისი აზრი, რომელიც მისასალმებელია. საქართველომ დაკარგა თავისი პოზიცია ყველანაირი მიმართულებით კავკასიაში და ეს აღსადგენია“.**

ჩაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



თამარ კიკნაძე:

# თუკი მართლა მოხდება 6 ქვეყნის ინტეგრაცია და ამ ყველაფერში საქართველომ ბალანსის პოლიტიკა უნდა აწარმოოს რუსეთსა და თურქეთს შორის, მაშინ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით

**11 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის საჭიროებაზე ისაუბრა: „ახალი მიდგომა გვჭირდება ჩვენს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ აფხაზ და ოს მოსახლეობასთან დასაახლოებლად. ოკუპაციაზე მხოლოდ მუდმივად აპელირება არასაკმარისია, თუ იმავე დროს არ ვეძებთ გზებს აფხაზებსა და ოსებთან ფიზიკური და ზნეობრივი დისტანციის შესამცირებლად და ერთობის აღსადგენად; თუ ჩვენს ოკუპირებულ რეგიონებში ქართველი მოსახლეობის უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვას ვერ ვახერხებთ; ოკუპაციას არ ვეგუებით და არ შევეგუებით! ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, გაჩერება დამღუპველია. გაყინული კონფლიქტებისა და ოკუპაციის დასაძლევად გვჭირდება ახალი მიდგომა და თვითიზოლაციიდან გამოსვლა: შეიძლება არ გვჯეროდეს, რომ დიალოგი რამის მომტანია. გასაგებია, რომ არ ვენდობით ქვეყანას, რომელმაც მოახდინა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია, თუმცა არ შეიძლება, მთელი მსოფლიოსგან და ჩვენი უახლოესი პარტნიორებისგან განსხვავებით, ვიყოთ ერთადერთი ქვეყანა, რომელიც დიპლომატიაზე უარს ამბობს. უნდა ვიცოდეთ, რომ დიალოგი არ ნიშნავს რამის აღიარებას, მოლაპარაკება არ ნიშნავს დათმობას, ხოლო დიპლომატიაზე უარის თქმა ნიშნავს ყველა ბერკეტის ხელიდან გაშვებასა და გაყინვას. დიალოგს კი თავისი ფორმატი აქვს და ჩვენთვის აუცილებელია ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერა ამ მიმართულებითაც“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.**

საქართველოს პრეზიდენტი ასევე გამოვიდა „კავკასიური მშვიდობის პლატფორმის“ შექმნის ინიციატივით: „შეიძლება ვიფიქროთ „კავკასიური მშვიდობის პლატფორმის“ იდეაზე, რომელიც შეკრებს კავკასიის ქვეყნებს, გარე აქტორებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ასეთი პლატფორმა ხელს შეუწყობს ერთობლივი ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური თუ კულტურული პროექტების წარდგენასა და განხორციელებას. გააძლიერებს ამ რეგიონის პოტენციალს, შეასრულოს სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და ენერგეტიკის ჰაბის როლი. თბილისმა უნდა დაიბრუნოს თავისი ადგილი, როგორც კავკასიური იდენტობისა და კავკასიური კვლევების ცენტრმა. ჩვენ თუ ამას არ ვითავებთ, ამისთვის ბევრი სხვა კანდიდატი უკვე მზად არის“, — განაცხადა მან.

კავკასიაში 6 ქვეყნის ინტეგრაციის ინიციატივა წამოაყენა თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა.

**კავკასიაში მოსალოდნელ მნიშვნელოვან მოვლენებზე გვესაუბრება კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე:**

— საქართველოს პრეზიდენტის სიტყვაში, რომელიც მე-10 მოწვევის პარლამენტის გახსნისას წარმოთქვა, აქცენტები სწორად იყო დასმული...

**— როგორც ცნობილია, პრეზიდენტს არ სჩვევია აქცენტების სწორად დასმა, ის ხშირად უშვებს შეცდომას...**

— მისი რიტორიკის შეცვლა შეიძლება პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებამ განაპირობა. თანამედროვე პოლიტიკაში საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მას ანგარიშს უწევენ. ღოგორც ჩანს, შექმნილ ვითარებას ითვალისწინებს პრეზიდენტიც. მიმდინარეობს ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესი, რეგიონული ინტეგრაციის ცვლილება და როგორ განვითარდება მოვლენები, ჯერ არავინ იცის. თურქეთის მმართველმა **ერდოღანმა** „6 ქვეყნის ინტეგრაციის“ შესახებ განაცხადა. ყველას აინტერესებს, რას გულისხმობს ერდოღანი ან ინიციატივაში, არის თუ არა საქართველოსთვის ეს საშიში ან პირიქით... ვიტყვი, რომ ერდოღანის ინიციატივის პირობები შესასწავლია. **ახალშექმნილი ვითარებებიდან გამომდინარე, საქართველომ რეგიონულ ინტეგრაციაზე უნდა იფიქროს, ევროკავშირი ძალიან კარგია, მაგრამ საქართველოს იქ არ ელოდებიან, თანაც თვით ევროკავშირშიც არ არის სახარბიელო მდგომარეობა.**

ამერიკა ერთადერთი ზესახელმწიფო იყო და აკონტროლებდა დანარჩენ მსოფლიოს, დოლარი იყო ერთადერთი ვალუტა, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა, ამერიკის ჰეგემონია სრულდება, ამიტომ რეგიონული გაერთიანებები, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე საჭიროც არის და აუცილებელიც.

**— ამერიკის ჰეგემონია მაინც დასრულდება, თუკი ბაიდენი იქნება პრეზიდენტი?**

— ბაიდენს, შესაძლოა, უნდა ისეთივე გლობალური პოლიტიკის წარმოება, როგორიც აქამდე იყო, მაგრამ ამერიკას ამის რესურსი აღარ აქვს. ჩვენ ახალ წესრიგამდე მივალთ, თუმცა, ალბათ, უფრო მტკივნეულად, ვიდრე **დონალდ ტრამპის** პირობებში მოგვიწევდა.

**— რას გულისხმობთ „მტკივნეულ პროცესებში“?**

— მტკივნეული იქნება გაერთიანება ძველ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სპექტრში, ისეთივეში, როგორიც იყო ამერიკის ჰეგემონიამდე, გაგვიჭირდება, რადგან რესურსები არ გვეყოფა, საქართველო კარგად უნდა გაერკვეს მიმდინარე პროცესებში, უნდა გავთვალოთ ჩვენი შესაძლებლობები...

**საქართველოს ხელისუფლება დიდად არ გამოირჩევა მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებისთვის ფეხის აყოლით, მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, რაღაც გეგმები და მოსაზრებები აქვს, ამას პრეზიდენტის შეცვლილი რიტორიკა მალაპარაკებს.**

**— რომელ ქვეყნებს გულისხმობს ერდოღანი, როდესაც 6 ქვეყნის ინტეგრაციაზე საუბრობს?**

**— 6 ქვეყანაში შედის რუსეთი, თურქეთი, ირანი და სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა, თუკი სომხეთი იქნება თანახმა, რაც იქნება წინაპირობა იმისა, რომ მოგვარდეს თურქეთ-აზერბაიჯანისა და სომხეთის პრობლემა. მშვიდობა თუ არ იქნა, თუ არ მოხდა ერდოღანის შემოთავაზების რეალიზება, სხვა რეგიონული ფორმატის მოგონება მაინც იქნება საჭირო.** საქართველომ უნდა გამოხატოს თავისი ინტერესები და ამაზე ჩვენმა მთავრობამ სერიოზულად უნდა იმუშაოს. აუცილებელია გათვალისწინება ჩვენი ეთნოკონფლიქტების მოგვარების საკითხისა, აგრეთვე, უნდა გაითვალისწინონ ჩვენი ეკონომიკური ინტერესები.

**— ბევრი ექსპერტი წერს, რომ ერდოღანის ეს ინიციატივა კავკასიაზე გავლენის მოპოვების მცდელობაა და შესაძლოა, საქართველო თურქეთის ვილაიეთი გახდეს...**

— თურქეთის სახელმწიფოსა და მისი ეკონომიკის გავლენა საქართველოში, კერძოდ, აჭარაში უკვე არის და ეს თვალსაჩინოა, მაგრამ, თუკი, მართლა მოხდება 6 ქვეყნის ინტეგრაცია, ამ ყველაფერში საქართველომ ბალანსის პოლიტიკა უნდა აწარმოოს რუსეთსა და თურქეთს შორის, მაშინ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. მთავარია, საქართველომ ივაჟკაცოს და თავისი ინტერესები ჩადოს, ზუსტად უნდა განსაზღვროს თავისი მოგება ამ ინტეგრაციისგან. უპირველესია ეთნოკონფლიქტების მოგვარება და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა. საქართველოს ბაზარი ძალიან პატარაა, თუ მას სივცრე არ ექნება, არ ეცოდინება რა აწარმოოს, რა გაიტანოს ბაზარზე, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება.

**საქართველოს მოსახლეობის დღევანდელი გაუსაძლისი ყოფის დიდხანს გაგრძელება არ შეიძლება, ამიტომ გამოსავალი მოსაძებნია და ვთვლი, რომ რეგიონული პროექტი ჩვენთვისაც კარგი გამოსავალი იქნება, მომგებიანი იმაზე მეტად, ვიდრე ევროკავშირში ინტეგრაციაა.** აუცილებელია, მოვახდინოთ იმ პროექტის რეალიზება, რომელიც ჩვენს ხალხს ეკონომიკურად უფრო წაადგება და წელში გამართავს. მთავრობამ ხალხის კეთილდღეობა უნდა უზრუნველყოს. ევროპის ბაზარზე საქართველოს შეღწევა ძალიან ძნელია, ამიტომ უნდა ვიფიქროთ ალტერნატივაზე, ვიფიქროთ ეკონომიკურ პროგრამებზე, რომლებიც ჩვენთვის იქნება ხელმისაწვდომი. მეზობლებთან ურთიერთობა საქართველოს წაადგება.

ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის ბოლო გამოსვლა კარგი ნიშანი იყო. ცხადია, ჩვენი ხელისუფლება მიხვდა, რომ რუსეთი, ყველაზე დიდი მეზობელი, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ის ყველაზე დიდი ეკონომიკური პარტნიორია, რუსეთი ოკუპანტია თუ რაც არის, მაინც ვერსად წავუვალთ მის როლსა და ფაქტორს კავკასიაში. რუსეთთან დიალოგს ალტერნატივა არ აქვს.

**— აფხაზეთის პრეზიდენტი ასლან ბჟანია უკვე მეორედ შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს, მათ მოლაპარაკებები აქვთ რკინიგზის აღდგენაზე. „მოსალოდნელია, რომ საქართველოზე გეოპოლიტიკური შანტაჟი იქნება მოტივით — ჩვენ აფხაზეთი ჩავრთეთ ასეთ დიდ პროექტში და ახლა ჯერი თქვენზეა“. რკინიგზის გახსნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი საქართველოს ტერიტორიაზე გადის. მე ვიტყოდი, რომ ეს არის კრემლის მანიპულაცია, გეოპოლიტიკური შანტაჟი და შესაბამისად, იმის წარმოჩენა, რომ საქართველო ეროვნული უსაფრთხოების ჩიხშია“, — მიაჩნია სამხედრო ექსპერტ ვახტანგ მაისაიას.**

— პირადად მე ასე კატეგორიულად არ ვილაპარაკებდი. რუსეთის გინებამ კარგი არაფერი მოგვიტანა. აფხაზეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობები კონსტრუქციულია და, საერთოდ, საუბრები, რომლებიც ახლა მიმდინარეობს, ყველაფერი კონსტრუქციულობაზეა დაფუძნებული. საქართველოს აქვს პრეტენზიები რუსეთის მიმართ, რადგან მისი პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის მიმართ, ცოტა არ იყოს, გაურკვეველია და მისი პოლიტიკის შედეგები დროის გასვლის შემდეგ გამოჩნდება ხოლმე, რომელიც ხშირად ჩვენთვის წარმოუდგენელია. ეს გამოწვეულია ორ ქვეყანას შორის გაფუჭებული ურთიერთობით. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ მსოფლიოში ვექტორები შეიცვალა, საქართველოს მაინც არ ძლევს ხელს რუსეთის როლის გაუთვალისწინებლობა, განსაკუთრებით კავკასიაში. რაც შეეხება რუსეთის მანიპულაციას, ის დიდი ქვეყანაა, დიდი ქვეყნები კი ყოველთვის მანიპულირებენ და ეს პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, მთავარია, ქვეყანა კარგად დახვდეს ნებისმიერ მანიპულაციას და გაატაროს თავისი ინტერესები. ყოველთვის ვერიდები რომელიმე ქვეყნის გინებას, პოლიტოლოგი ვარ და მესმის, რომ **ყველა ქვეყნის ხელისუფლებას თავისი ეროვნული ინტერესები აქვს და, თუკი ის თავის ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ რაიმეს აკეთებს, წარმატებულია. ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. ნებისმიერი დესტრუქციული ქმედება ჩვენს სასარგებლო ქმედებად უნდა ვაქციოთ. ჩვენ პატარა ქვეყნის შვილები ვართ და მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, სწორი დიპლომატია ვაწარმოოთ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გამოგვდიოდა კიდეც.**

აფხაზეთი და რუსეთი რკინიგზის აღდგენაზე საუბრობენ და ეს კარგია, მივესალმები ნებისმიერ ინტეგრაციას, რომელშიც საქართველოს ინტერესები იქნება გატარებული. საქართველომ ამ შემთხვევაშიც საკუთარი პირობები უნდა წამოაყენოს. დრო გადის და ეს დრო ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ არ მუშაობს.

პრეზიდენტის გამოსვლა შემთხვევითი არ იყო, დიალოგი აუცილებელია რუსეთთან და მინდა, ვიფიქრო, რომ სალომე ზურაბიშვილის სიტყვა იყო აწონილი, გაზომილი, რომ მისი პირით ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ გამოთქვა თავისი აზრი, რომელიც მისასალმებელია. საქართველომ დაკარგა თავისი პოზიცია ყველანაირი მიმართულებით კავკასიაში და ეს აღსადგენია.

**«ცხადია, ჩვენი ხელისუფლება მიხვდა, რომ რუსეთი, ყველაზე დიდი მეზობელი, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ის ყველაზე დიდი ეკონომიკური პარტნიორია, რუსეთი ოკუპანტია თუ რაც არის, მაინც ვერსად წავუვალთ მის როლსა და ფაქტორს კავკასიაში»**

**«ერდოღანის ინიციატივის პირობები შესასწავლია. ახალშექმნილი ვითარებებიდან გამომდინარე, საქართველომ რეგიონულ ინტეგრაციაზე უნდა იფიქროს. ევროკავშირი ძალიან კარგია, მაგრამ საქართველოს იქ არ ელოდებიან, თანაც თვით ევროკავშირშიც არ არის სახარბიელო მდგომარეობა»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არ ვიცი, გვარამიას ეს აშკარა ანტიდასავლური გამოხდომები არის თუ არა შეთანხმებული მთავარ ნაცთან, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აშკარაა, რომ ამერიკელებმა სააკაშვილსა და მის პოლიტიკურ ჯართს პანლური ამოარტყეს. გვარამია მისი ამჟამინდელი ვირეშმაკობით აშშ-ის მომავალ პრეზიდენტსა და ადმინისტრაციას ატყუებს, — ნაცები ტრამპის მმართველობის მსხვერპლნი ვართო, ამიტომაც შეასკდა შუბლით აშშ-ის ელჩ კელი დეგნანს.**

# «ოქროს კვეთა»



## ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია

### ოცდამეცამეტე გადაცემა

# ამერიკელების ორი ქალლისშვილი — ყვარყვარე და ყვარყვარუკა





**ვალერი კვარაცხელია:**
— გამარჯობა, ძვირფასო მაყურებელო, ეთერშია „ოქროს კვეთა“, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე — ვალერი კვარაცხელია.

ფასილიტატორი ელჩები, ფასილიტატორმა ელჩებმა, ფასილიტატორ ელჩებს, ფასილიტატორი ელჩების... — დოღის ცხენებივით დარბიან წინ და უკან ცალტვინა ჟურნალისტები და ამდენ სირბილში შუბლზე ხვითქი გადასდით და პირიდან დორბლი სცვივათ...

ყმაწვილო, მოიხედე აქეთ, დამშვიდდი, დაწყნარდი, დაიოკე ნერვები, გული საგულეს ჩააყენე... არც არაფერი იწყება და არც არაფერი მთავრდება ამ არჩევნებით, არც ამ ფასილიტატორი ელჩებითა და შეხვედრათა არც ამ გაუთავებელი რაუნდებით... შენ კი ერთ რამეს გკითხავ — **დედაშენს სადმე, ოდესმე წარმოუთქვამს სიტყვა „ფასილიტატორი“? გაგიგია დედაშენისგან ასეთი სიტყვა? დედაშენისგან, ჰო, ვინც „იავნანას“ გიმღეროდა, ვინც ალუ... ალუთი დაგაწყებინა და პირველი მარადიული სიტყვები — „დედა“ და „მამა“ წარმოგათქმევინა, „ოჯახი“ წარმოგათქმევინა, „სამშობლო“ წარმოგათქმევინა, „საქართველო“ წარმოგათქმევინა...აი, მაგ დედისგან სიტყვა „ფასილიტატორი“ გაგიგია?** აბა, შენ საიდან მოიტანე, სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ ამოიკითხე თუ სხვა ქართულ ლექსიკონში? **შოშიას ბარტყივით რომ აღებ პირს და გაიძახი: ფასილიტატორი, ფასილიტატორიო, ხომ უნდა დაფიქრდე, ქართული სიტყვაა ეგ? ქართული თუ არაა, რატომ ანაგვიანებ დედაშენის ენას მაგ სიბინძურით? რა, ლამაზად ისმის? კარგი ფონეტიკა აქვს? იქნებ მაგ სიტყვის შესაბამისი სიტყვა და ცნება არ მოგვეპოვება ქართულ ენაში? აბა, რა ჯანდაბა და უბედურებაა ფასილიტატორი, არ გრცხვენია?!**

კარგი, დავანებოთ თავი ენის სიწმინდის საკითხებს. ნეტავ, ამ ერთი სიტყვის გარდა სხვა მრავალი დანაშაულით არ იყოს სავსე თითოეული ქართველი ჟურნალისტის ცოდვათა გუდურა...

კორონავირუსის სახით მსოფლიოში სიკვდილის აჩრდილი დადის;

პლანეტა დენთით სავსე უზარმაზარ კასრად იქცა;

კაცმა არ იცის, როდის იფეთქებს გლობალური ომი;

მსოფლიო გაუგონარი მასშტაბის ეკონომიკურ კრიზისში იძირება.

ამ დროს ქართველი ჟურნალისტები, თვე-ნახევრია, 24 საათის განმავლობაში ყაყანებენ იმაზე, შევლენ თუ არა პარლამენტში ვილაც თაღლითები — **ელისაშვილი, ჯაფარიძე, ოქრუაშვილი, ბაქრაძე, ბოკერია, უგულავა, ვაშაძე...** საქმე გამოგელიათ?! ეს ყველაფერი ქართული პოლიტიკური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი თუ არის, ამის შესახებაც თქვით, მაგრამ ამ ელისაშვილისნაირ უვიცთა წვენში რატომ ხარშავთ საქართველოს? ნუ მომიწოდებთ კორექტულობისკენ. კორექტულობა და თავაზიანობა არ მეშლება მე მათთან ურთიერთობაში, ვისაც თვითონ ესმის კორექტულობისა და თავაზიანობის ანა-ბანა, მაგრამ **ეს ვინმე ელისაშვილი შარშან, 9 მაისს, დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღესასწაულზე მისულ ადამიანებს შეურაცხყოფდა და ჩვენს გმირ წინაპრებს სულში აფურთხებდა. ერთი სიტყვით, ზონდერობდა თბილისის ქუჩებში... შვიდასი ათასი ქართველი ომობდა იმისთვის, რომ ელისაშვილს ოდესმე დედის საშოდან გამოღწევის საშუალება ჰქონოდა, ეს უბედურ დღეზე გაჩენილი კი 9 მაისს ვაკის პარკის მისადგომებთან კინტოს მიხვრა-მოხვრით დადიოდა და წითელი არმიისა და ვერმახტის ჯარისკაცების ნამოქმედარს ერთმანეთში ურევდა, ის ვერც სტალინსა და ჰიტლერს ასხვავებს ერთმანეთისგან.** რა ენაზე უნდა ელაპარაკო ან ელისაშვილს, ან მის ამომრჩეველს, ან იმ ჟურნალისტებს, რომელთა საქმიანობა ელისაშვილითა და მისნაირებით იწყება და ელისაშვილითა და მისნაირებითვე მთავრდება?! ასეა თუ ისე, „ფასილიტატორი ელჩების“ ძახილისა და გაუთავებელი ყაყანის თითქმის თვე-ნახევრიანი პროცესი, როგორც იქნა, დასრულდა და მეათე მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომაც გაიმართა. სხდომას არჩეული 150 დეპუტატიდან მხოლოდ „ქართული ოცნების“ 90 დეპუტატი დაესწრო. პარლამენტში მოხვედრილი დანარჩენი ოპოზიციური პარტიები პარლამენტში შესვლაზე უარს (ჯერჯერობით) აცხადებენ და ახალი არჩევნების დანიშვნას მოითხოვენ.

**რა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის ე.წ. ოპოზიციური პარტიები, რომლებიც „გაყალბებული არჩევნების“ გამო პროტესტის ნიშნად პარლამენტში შესვლაზე უარს აცხადებენ?** პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ისინი უაღრესად არასახარბიელო პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფებიან. საქმე ისაა, რომ თითქმის **ყველა ეს პარტია დასავლეთის „მეხუთე კოლონაა“ საქართველოში. მათ დასავლეთის გარდა სხვა გზა არ გააჩნიათ, ვინაიდან დასავლეთია მათთვის ფინანსების წყაროც და ზურგის ქარიც.** სხვა დასაყრდენი მათ არც საკუთარ ხალხში ჰყავთ, არც სადმე სხვაგან. როდესაც მათ პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადეს, წარმოიდგინეს, რომ ამ საქმეში დასავლეთის სრული მხარდაჭერა ექნებოდათ, რადგან, მათი ვიწრო ხედვით, დასავლეთი უკიდურესად შეწუხდებოდა საქართველოში ერთპარტიული პარლამენტის არსებობით.

ვაი, მათ პატრონს!

*** დასავლეთისთვის მნიშვნელოვანია, საქართველოში პროდასავლური ხელისუფლება ჰყავდეს, რომელიც მუდმივად ნატოსკენ, ევროკავშირისკენ და აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობისკენ იქნება ორიენტირებული, დანარჩენი მას არ აინტერესებს;**

* დასავლეთს ფეხებზე ჰკიდია, ერთპარტიული პარლამენტი იქნება საქართველოში თუ სულაც ნახევარპარტიული;

*** დასავლეთს ფეხებზე ჰკიდია, როგორი იქნება დემოკრატიის ხარისხი საქართველოში;**

* დასავლეთს ფეხებზე ჰკიდია, დაცული იქნება თუ არა ადამიანის უფლებები საქართველოში;

*** დასავლეთს ფეხებზე ჰკიდია, ექნება თუ არ საქართველოს ეკონომიკა;**

* დასავლეთს ფეხებზე ჰკიდია, ეპიდემია დაგვხოცავს ქართველ ხალხს თუ შიმშილი;

*** მოკლედ, დასავლეთს ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია საქართველოში, ერთი რამის გარდა: აქ უნდა იყოს პროდასავლური ხელისუფლება. დანარჩენი, თუ გინდა, წყალს წაუღია ყველაფერი. ქვეყნის ჩარხმა, როგორც ნათქვამია, გინდ წაღმა იტრიალოს და გინდ უკუღმა, თუ უნდა, სულაც ნუ იტრიალებს, მაგაზე დადგა ამერიკელთა დარდი. მთავარია, თავიანთი ყურმოჭრილი ხელისუფლება ჰყავდეთ, დანარჩენი მათ აქ არაფერი ადარდებთ.**

ჰოდა, ჰყავთ ეს ყურმოჭრილი ხელისუფლება — ივანიშვილით დაწყებული და გახარია-თალაკვაძით დამთავრებული. რას იზამენ ახლა ამერიკელები, ივანიშვილს ეტყვიან უარს და ამ თავმირტყმულ ვაშაძეებს დაუჭერენ მხარს? არა, არ უჭერენ და არც დაუჭერენ, პირიქით — ოპოზიციას ღია ტექსტით, ყოველგვარი შეფარვის გარეშე მოუწოდეს, რომ მუშაობა საქართველოს პარლამენტში განაგრძონ.

**კელი დეგნანი, აშშ-ის ელჩი საქართველოში:** — პოზიტიური და კონსტრუქციული შეხვედრა იყო. ყველა მოვიდა. ყველა ელოდება რეალურ გამოსავალს. მოლოდინი მაქვს, რომ პრობლემა გადაიჭრება და კომპრომისი იქნება მიღწეული. ქართველების ინტერესშია პარლამენტის არსებობა.

**ვალერი კვარაცხელია:**
— კელი დეგნანმა ანალოგიური მოწოდება პარლამენტიდანაც გააკეთა, სადაც პირველ სხდომაზე ელჩის რანგში იყო მიწვეული. ხედავთ ხომ სრულ აბსურდულობას მდგომარეობისა, რომელშიც ე.წ. ოპოზიცია აღმოჩნდა? ხმამაღლა არა, მაგრამ კერძო საუბრებში, ალბათ, ეუბნებიან კიდევაც იმ გადარეულ **სააკაშვილსა** და მის ნასხლეტებს, — ▶

**როდესაც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ეს უბადრუკი აგენტი გვარამია ჯანყს იწყებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ტუალეტის გამოყენებული ქაღალდივით მოისროლეს და ახლა დასვრილი ქაღალდის პრინციპით მოქმედებენ — სანამ წყალი საბოლოოდ ჩარეცხავს, რასაც მოასწრებენ, ყველაფერს აბინძურებენ**

**სააკაშვილი და მისი პოლიტიკური ნაგავი, რომელიც ბოლომდე გაშიფრული, გაშარჟებული და გამასხარავებულია, აღარც ტრამპს სჭირდება და არც ბაიდენს დასჭირდება. და ეს ყველაფერი გვარამიადან გადმოღვრილ იმ ბალღამში ჩანს, რომელიც ერთგვარი საერთაშორისო ნიმუშია იმისა, თუ რა სავალალოდ მთავრდება ხოლმე ამერიკელთა თანამშრომლობა „თავიანთ ძაღლიშვილებთან“ (რუზველტის ცნობილი გამოთქმა), როდესაც ეს უკანასკნელნი საკუთარ შესაძლებლობებს ამოწურავენ და უსარგებლო ტვირთად გადაიქცევიან.**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მსოფლიო ძალთა ბალანსში ის კარდინალური ცვლილება, რომელიც ახლა მიმდინარეობს, ჯერ კიდევ გუშინ თუ ძნელი დასანახი იყო, დღეს მისი ვერ დანახვაა ძნელი. ჩვენ არ გვჭირდება ხელისუფლება, რომელიც ამ ვითარებაშიც ბნედიანივით «ნატოს» გაიძახის და სტოლტენბერგის მიერ შეთხზული მითებით ცხოვრობს. ჩვენ არ გვჭირდება ხელისუფლება, რომელიც თავს იბრმავებს და, მით უმეტეს, არ გვჭირდება ხელისუფლება, რომელიც ბრმაა

◀ თქვე ღმერთგამწყრალებო, ისეთი არჩევნები ჩაგატარებინეთ, რომ თითქმის ნახევარი პარლამენტი თქვენია და მეტი რაღა გინდათო?! **რევანში უნდოდათ, სრული რევანში, უმრავლესობით მოსვლა და ხელისუფლების უზურპაცია, მაგრამ არ გამოუვიდათ, რადგან უკვე დამთავრებული და ჩამოწერილი პოლიტიკური ჯართია ეს ე.წ. ოპოზიცია თავისი ძველი და ახალი სახეებით.** აი, ეს ვითარებაა. ოპოზიცია დასავლეთს ხმამაღლა ვერ დაუპირისპირდება (გულში და ჩუმად კი ლანძღავენ მამაპაპურად), თუმცა, რაღა გულში და ჩუმად, მათაც ხომ ჰყავთ თავიანთი ბოლომდე გადარეულები, რომლებმაც ვერ დაიტიეს გულში ბოღმა და გადმოხეთქა სიბინძურემ.

**ნიკა გვარამია, ტელეკომპანია „მთავარის“ დირექტორი:** — თუ რამეა დასავლეთისთვის ზიანის მიმყენებელი, არის ამგვარი ქცევა დასავლური ელჩებისა, რომლებიც ტყვეებით ვაჭრობაში მონაწილეობენ და „ქართული ოცნების“ ინტერესების დაკმაყოფილებაში ცვლიან ტყვეებს. ეს არის სირცხვილი და ანტიდასავლური!

**ვალერი კვარაცხელია:** — დიდი ამბები რომ იწყება საქართველოში, ფაქტია. არ ვიცი, გვარამიას ეს აშკარა ანტიდასავლური გამოხდომები არის თუ არა შეთანხმებული მთავარ ნაცთან, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აშკარაა, რომ ამერიკელებმა სააკაშვილსა და მის პოლიტიკურ ჯართს პანღური ამოარტყეს. გვარამია მისი ამჟამინდელი ვირეშმაკობით აშშ-ის მომავალ პრეზიდენტსა და ადმინისტრაციას ატყუებს: ნაცები ტრამპის მმართველობის მსხვერპლნი ვართო. ამიტომაც შეასკდა შუბლით აშშ-ის ელჩ **კელი დეგნანს.**

**ნიკა გვარამია:** — კელი დეგნანი იქ რომ იჯდა, ჩემი აზრით, სრულიად მძიმე შეცდომის დამშვები კელი დეგნანი, რომ იჯდა პარლამენტში, მისმა სამშობლომ, რომლის ხაზსაც უნდა ატარებდეს აქ, მიულოცა „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში მოსვლა? — არა. აბა, ვისი მანდატით იჯდა ქალბატონი დეგნანი პარლამენტში?

**ვალერი კვარაცხელია:** — ბევრი ითავხედა გვარამიამ სატელევიზიო ეთერში. დღევანდელი ამერიკა არ მომწონსო, დღევანდელი ამერიკა ამერიკა არ არისო. მე ის ამერიკა მინდაო, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ რომ იქნებაო...

**ნიკა გვარამია:** — გაუგებარია, რაზე ვაჭრობით. თურმე, პარლამენტში შესვლით და უკანონო პარლამენტის „გაპრავებაზე“ ვაჭრობით ტყვეების გამოშვება? ამისთვის იმყოფებიან **ჰარცელი** და **დეგნანი** საქართველოში? ეს არის მათი საქმიანობა ჩვენს სასარგებლოდ? ეს არის ჩემი ანტიდასავლური პოზიცია? ანტიდასავლური არის „ქართული ოცნების“ პოზიცია და, სამწუხაროდ, დასავლეთისთვის ზიანის მიმყენებელი არის ამ ორი ელჩის ამგვარი საქმიანობა საქართველოში, ამას ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით. ამას ვაცხადებ მე, ნიკა გვარამია, მთავარი პროდასავლელი ლიდერი ამ ქვეყნის.

**ვალერი კვარაცხელია:** — ბოლოს ისე აყროლდა გვარამია, რომ აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩებს, არც მეტი, არც ნაკლები, კორუფციაში დასდო ბრალი.

**ნიკა გვარამია:** — **21-ე საუკუნეში ფაქტები კი არა, აღქმები წყვეტს ყველაფერს და ვერავინ ვერასდროს დაიჯერებს ამ ქვეყანაში, ქოცებიც კი, რომ ფული არ აიღეთ და იმიტომ არ ლაპარაკობთ. მე დავიჯერებ, სხვები — არა. მე შეიძლება მჯეროდეს, სხვები ვერ დაიჯერებენ.**

**ვალერი კვარაცხელია:** — აი, ასე ანტიამერიკულად და ანტიევროპულად აქოთდა ეს ჩვენი გვარამია. იმას კი არ ვეუბნები, რომ ამერიკელებსა და ევროპელებს კრიტიკა ვით აკადრე-მეთქი. მეოთხედი საუკუნეა, რაც მე მათ ვაკრიტიკებ, თანაც არა გვარამიასავით აქა-იქ და ეპიზოდურად, არამედ ფუნდამენტურად და მიზანმიმართულად. მე იმას ვამბობ, რასაც ნიშნავს გვარამიასგან ამ სიბინძურის ასე უკიდეგანო გადმოფრქვევა. როდესაც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ეს უბადრუკი აგენტი გვარამია ჯანყს იწყებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ტუალეტის გამოყენებული ქაღალდივით მოისროლეს და ახლა დასვრილი ქაღალდის პრინციპით მოქმედებენ — სანამ წყალი საბოლოოდ ჩარეცხავს, რასაც მოასწრებენ, ყველაფერს აბინძურებენ. ეს რომ ასეა, თვითონ გვარამია ადასტურებს. აი, რა საინტერესო მტკიცებულება ამოქექა მან საიდანღაც:

**ნიკა გვარამია:** — უკრაინული წყაროების ინფორმაციით, საქართველოში აშშ-ის ელჩმა, კელი დეგნანმა, ვაშინგტონსა და კიევში სატელეფონო ზარები განახორციელა და კატეგორიულად მოითხოვა, **მიხეილ სააკაშვილი** არც ერთ თანამდებობაზე არ დაენიშნათ.

**ვალერი კვარაცხელია: — ეს ინფორმაცია თუ სიმართლეა (ალბათ, სიმართლეა), მაშინ სააკაშვილი და მისი ხროვა საქართველოსა და უკრაინაში დამთავრებულა. მართალია, გვარამია იმ იმედზეა ჩამოკონწიალებული, რომ ტრამპის წასვლისა და ბაიდენის მოსვლის შემდეგ სააკაშვილის მზე ხელახლა ამობრწყინდება, მაგრამ ეს ასე არ ხდება.** ძველ აგენტურას უშიშროების სამსახურები ჩამოწერენ და არა პრეზიდენტები. **სააკაშვილი და მისი პოლიტიკური ნაგავი, რომელიც ბოლომდე გაშიფრული, გაშარჟებული და გამასხარავებულია, აღარც ტრამპს სჭირდება და არც ბაიდენს დასჭირდება. და ეს ყველაფერი გვარამიადან გადმოღვრილ იმ ბალღამში ჩანს, რომელიც ერთგვარი საერთაშორისო ნიმუშია იმისა, თუ რა სავალალოდ მთავრდება ხოლმე ამერიკელთა თანამშრომლობა „თავიანთ ძაღლისშვილებთან“** (რუზველტის ცნობილი გამოთქმა, რომელიც მან ნიკარაგუის ლიდერ ანასტასიო გარსია სომოსას დახასიათებისას გამოიყენა), **როდესაც ეს უკანასკნელნი საკუთარ შესაძლებლობებს ამოწურავენ და უსარგებლო ტვირთად გადაიქცევიან.**

**ნიკა გვარამია:** — რა თქმა უნდა, მას უპასუხეს, რომ



კარლ ჰარცელი



კელი დეგნანი

საკუთარი მანდატის ფარგლებში ჩაჯდეს და მიხედოს საკუთარ საქმეს, მაგრამ მთავარი კითხვა აქ სხვა არის — **ვინ ეკითხება კელი დეგნანს, მიხეილ სააკაშვილი სად დაინიშნება? ვინ დაავალა მას ამ ზარის განხორციელება და როგორ გაბედა საერთოდ ამის გაკეთება? ვის თამაშს თამაშობდა, როცა ამას შვრებოდა?**

**ვალერი კვარაცხელია:** — აი, აქ გვარამია გვაძლევს სააკაშვილის იმგვარ დახასიათებას, რომელიც მონისა და მონათმფლობელის მახინჯი ურთიერთობის კლასიკურ მაგალითად გამოდგება...

**ნიკა გვარამია:** — რომელ მიხეილ სააკაშვილზეა ლაპარაკი, ქალბატონო დეგნან, იცით, თქვენ? მიხეილ სააკაშვილზე, რომელიც პირდაპირ ხაზზე იყო ამერიკის პრეზიდენტთან, როგორც თანასწორთან. იმ მიხეილ სააკაშვილზე, რომელიც საკუთარი ქვეყნის ინტერესებით, ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნასაც კი არ დაემორჩილა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაზე. ვეტოს უფლება ჰქონდა საქართველოს. წელიწად-ნახევარი ყველაზე მაღალი თანამდებობის პირები ჩამოდიოდნენ და სთხოვდნენ მიხეილ სააკაშვილს დათანხმებას. საბოლოოდ, მიხეილ სააკაშვილი დათანხმდა, ოღონდ გამოიტანა წარმოუდგენელი შედეგი — ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. რა მოხდა მერე — მოვიდნენ ქოცები და ეს ხელშეკრულება გინდ ყოფილა, გინდ — არა, მისი იმპლემენტაცია არ მომხდარა. ამას გარდა, მიხეილ სააკაშვილი არის პოლიტიკური დევნილი. მას უფლება არ აქვს, საქართველოში ჩამოვიდეს? **ერთხელ მაინც თუ უკითხავთ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ან ევროკავშირის ელჩს, ბატონ ჰარცელს, რა ხდება ამ კაცის თავს, რატომ მიმდინარეობს მისი დევნა, მისი განაჩენები თუ შეუსწავლიათ? მიხეილ სააკაშვილზე ვლაპარაკობთ, რომელსაც 500 000 მომხრე ჰყავს ამ ქვეყანაში პირადად.** ამ მიხეილ სააკაშვილზე ვლაპარაკობთ. ერთი ადამიანი მაინც მითხარით, ვისაც ჰყავს ნახევარი მილიონი მომხრე პირადად, პარტიებზე არ ვლაპარაკობ. და ამ ნახევარ მილიონ ადამიანს ელაპარაკებით თქვენ ამ ტონალობაში, რომ მათი ლიდერი თურმე არ იმსახურებს საქართველოში ჩამოსვლას. მეტიც, გასცდით საქართველოს ფარგლებს და კიევში აგვარებთ ბიძინა ივანიშვილისთვის საჭირო საქმეებს, რომ თურმე იქ არ უნდა დაინიშნოს. ამაზე პასუხისგება მოუწევს ნებისმიერს. ეს ძალიან მალე გამოქვეყნდება და **მე მაინტერესებს ქალბატონი დეგნანის პასუხი ამ საკითხზე: რა მანდატით სარგებლობდა, ვის ინტერესებს ატარებდა და როგორ გაბედა ამის გაკეთება, საერთოდ. ამაზე პასუხის გაცემა მოუწევს. ამაზე პასუხები ჩვენ გვჭირდება. სადაც გამოჩნდებით, ყველგან გკითხავთ.**

**ვალერი კვარაცხელია:** — არ მინდა, ნაჩქარევი დასკვნა გავაკეთო, მაგრამ **ისე ჩანს, რომ ქართული პოლიტიკური სიბინძურის ეს ერთი ფრთა — სააკაშვილი და მისი ნაცხროვა, როგორც უსაშინლესი სახადი, უკვე მოიხადა საქართველომ. ისინი ველარ წამოყოფენ თავს, რადგან ის იდიოტი თავები აღარც წამოეყოფათ და აღარც გამოეყოფათ სადმე. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველომ მთლიანად მოიხადა სახადი.** ის, ვინც დღეს ხელისუფლებაშია, არაფრით არ არის ნაკლები სახადი საქართველოსთვის. შესაძლებელია, მეტი სახადიც კი იყოს, ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ამერიკელებმა საბოლოოდ მათ დაუჭირეს მხარი. ქოცები და მათი ლიდერი ნაცებივითა და სააკაშვილივით არ ხმაურობენ, მაგრამ მათაც ბევრის გაფუჭება შეუძლიათ. ამერიკული პოლიტიკის გაგრძელება, ნატოსა და ევროკავშირის გაუთავებელი ძახილი და რუსეთთან დაპირისპირების გამწვავება საბოლოოდ დაანგრევს ისედაც დანგრეულსა და განადგურებულ საქართველოს. ეს ამბავი დღესავით ნათელია. **არ უნდა ჩავთვალოთ, რომ საქართველო მხოლოდ სააკაშვილის უგუნურ-ფაშისტურ-სადისტური იდეოლოგიისგანაა გასათავისუფლებელი, საქართველო ამერიკული ურჩხულისგანაა გასათავისუფლებელი. საქართველოსთან დამოკიდებულების თვალსაზრისით განსხვავება ცოტაა ან თითქმის არ არის იმაში, თუ ვინ იქნება აშშ-ის პრეზიდენტი: ბაიდენი, ტრამპი, ობამა, ბუში... ამერიკა თავადაა გასათავისუფლებელი მსოფლიო ურჩხულისგან, რომელსაც ცენტრალური ოფისი ამერიკაში აქვს და რომელიც მართავს აშშ-ის პრეზიდენტსაც.**

* აშშ საკუთარი ცხოვრების წესისგანაა გასათავისუფლებელი;

* აშშ სოციალური და ყველა სხვა სახის უსამართლობებისგანაა გასათავისუფლებელი;

* აშშ საკუთარი დემოკრატიული ფასადისგანაა გასათავისუფლებელი, რომელიც გუდავს, ახრჩობს ფასადს უკან არსებულ სრულიად არადემოკრატიულ რეალობას;

* აშშ ფსევდოთავისუფლებისგანაა გასათავისუფლებელი, რომელსაც ეწირება თავისუფლებაცა და ადამიანთა უფლებებიც;

* აშშ უკიდეგანო და ყოვლისმომცველი უთანასწორობისგანაა გასათავისუფლებელი;

* აშშ რასიზმის საშინელებისგანაა გასათავისუფლებელი;

* აშშ მსოფლოზე ერთპიროვნული ბატონობის დაუოკებელი სურვილისგანაა გასათავისუფლებელი;

* აშშ დემოკრატიისა და თავისუფლების ფალას-ფულასში შეფუთული, მაგრამ შიგნიდან აბსოლუტურად გამომპალი ფაშისტური ტენდენციებისგანაა გასათავისუფლებელი;

* აშშ და ამერიკელი ხალხი ბურჟუაზიული მარწუხებისა და სულ უფრო მზარდი კაპიტალისტური წინააღმდეგობებისგანაა გასათავისუფლებელი, რომელიც თანდათანობით დაუძლეველ ფაზაში შედის და შეუქცევად ხასიათს იღებს.

აშშ-ში სამოქალაქო დაპირისპირების, სახელმწიფო გადატრიალების თუ სულაც რევოლუციის სუნი იგრძნობა.

**ორმა გადარეულმა ქართველმა — გვარამიამ და სააკაშვილმა — იმდენი არც ფილოსოფია იცის, არც სოციოლოგია და არც ისტორია, რომ მათგან მსოფლიო მოვლენების რამე საინტერესო ანალიზი მოვისმინოთ. ეს ორი ყვარყვარეა, უფრო სწორად ერთი დიდი ყვარყვარე და მეორე მას აკიდებული პატარა ყვარყვარუკა. მასშტაბებით ისე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც აქლემი და ინდაური, მაგრამ შინაგანი სიბინძურით ერთმანეთს ტოლს არ უდებენ.** მათ დიდხანს იტივტივეს აშშ-დან ოცდაათი წლის წინათ მოვარდნილ ბინძურ ტალღაზე. ახლა ისინი ისევე ჩარეცხა მღვრიე ტალღამ, როგორ ჩარეცხილადაც სხვები ეჩვენებოდათ ცოტა ხნის წინათ, თუმცა, ეს საქმეს არ შველის. ქართული პოლიტიკა, საერთოდ, ქიმიურად არის დასამუშავებელი, რათა ამერიკული პოლიტიკური ვირუსისა და ყვარყვარეთა ჯოგისგან დიდი ხნით გაიწმინდოს.

**P. S. აშშ კრიზისიდან კი არ გამოდის, უფრო ეფლობა. რუსეთი კი აფრიკაში, სუდანში, წითელი ზღვის სანაპიროზე სამხედრო ბაზას ხსნის, რომლიდანაც თავისუფლად შეძლებს სუეცის არხის გაკონტროლებას. იმ წერტილიდან, სადაც რუსი სამხედროები განთავსდებიან, საუდის არაბეთამდე სულ რაღაც 300 კმ-ია. არ ვიცი, რას ეუბნება ასეთი ფაქტები ქოცებს ან ნაცებს, ალბათ, არც არაფერს, მაგრამ მსოფლიო ძალთა ბალანსში ის კარდინალური ცვლილება, რომელიც ახლა მიმდინარეობს, ჯერ კიდევ გუშინ თუ ძნელი დასანახი იყო, დღეს მისი ვერ დანახვაა ძნელი. ჩვენ არ გვჭირდება ხელისუფლება, რომელიც ამ ვითარებაშიც ბნედიანივით „ნატოს“ გაიძახის და სტოლტენბერგის მიერ შეთხზული მითებით ცხოვრობს. ჩვენ არ გვჭირდება ხელისუფლება, რომელიც თავს იბრმავებს და, მით უმეტეს, არ გვჭირდება ხელისუფლება, რომელიც ბრმაა.**

**ვალერი კვარაცხელია**

გამოხმაურება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვაფრთხილებ საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც მხარს უჭერს „ვარდებიან“ რევანშს: ქვეყნის მმართველობის სათავეში ამჟამად მყოფი ბანდის სააკაშვილის ბანდით ჩანაცვლებით არაფერი შეიცვლება. მიშა ვერ გვიშველის, სიდუხჭირე და კრიზისი ისევ იქნება და კიდევ უფრო გაღრმავდება“.**



თემურ ფიფია:

# «მითების დეტექტორი» არის დღევანდელი «დემოკრატიის», ანუ ბანკირთა დიქტატურის ბუნებრივი ატრიბუტი, საყოველთაო ცენზურის გამოვლინება

**ვებპლატფორმა „მითების დეტექტორი“ დაფინანსებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების ფონდის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს თამარ კინწურაშვილი — ე.წ. ლიბერალური ბომონდის საკმაოდ ოდიოზური ფიგურა. თამარ კინწურაშვილი სხვადასხვა პერიოდში იყო „თავისუფლების ინსტიტუტის“ კომუნიკაციებისა და მედიაპროგრამების დირექტორი, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეთნიკური უმცირესობებისა და ინტეგრაციის საკითხებში. ამჟამად ხელმძღვანელობს მედიის განვითარების ფონდს.**

**ზემოხსენებული ვებპლატფორმა კომუნისტური პარტიის ლიდერ თემურ ფიფიას, რომელთანაც ინტერვიუ ონლაინგამოცემა „საქართველო და მსოფლიომ“ 1 დეკემბერს გამოაქვეყნა, ედავება შემდეგ მტკიცებებში: 1. საბჭოთა კავშირი ადამიანის სოციალურ კეთილდღეობაზე იყო ორიენტირებული; 2. სსრკ-ის დაშლის შემდეგ საქართველომ განვითარების პერსპექტივა დაკარგა; 3. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს და მათ სოციალიზმის დაბრუნება სურთ. იყო თუ არა საბჭოთა კავშირი ადამიანის სოციალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული ქვეყანა — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი თემურ ფიფია გვესაუბრება:**

— საბჭოთა კავშირი კაცობრიობის ისტორიაში პირველი სოციალურად ორიენტირებული ქვეყანა იყო, რომელმაც დედამიწის მეექვსედზე განახორციელა რადიკალური ცვლილებები მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით. სსრკ იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც თავისი სიმდიდრეები დაუქვემდებარა საზოგადოების ინტერესებს. სწორედ სსრკ-ში მოხდა ქარხნებისა და ფაბრიკების, მიწისა და საბინაო ფონდის ნაციონალიზაცია და ამ სიმდიდრის სამართლიანი მართვა და გადანაწილება.

სოციალიზმის მონაპოვართა მართლაც შთამბეჭდავი სიიდან ბევრი პოზიციაა ისეთი, რომლებსაც დასავლეთის განვითარებულმა ქვეყნებმა ბოლო ათწლეულებში მიაღწიეს, ხოლო საბჭოთა ქვეყანამ — გასული საუკუნის 30-იან წლებში: **8-საათიანი სამუშაო დღე; ყოველწლიური 24-დღიანი შვებულება ხელფასის შენარჩუნებით; მშრომელთა ხელშეუხებლობა, როცა ადმინისტრაციას არ შეეძლო მოსამსახურის სამსახურიდან განთავისუფლება პარტიული კომიტეტის, პროფკომიტეტისა და, საერთოდ, კოლექტივის გარეშე; გარანტირებული ხელფასი, რომელიც აღემატებოდა საარსებო მინიმუმს; მძიმე და მაღალკვალიფიციური შრომის შესაბამისად მაღალი ანაზღაურება ათასგვარი დამატებითი შეღავათების გათვალისწინებით; უფასო, საყოველთაო საშუალო თუ უმაღლესი განათლება; ჯანდაცვის საუკეთესო საყოველთაო უფასო სისტემა; უფასო საცხოვრებელი ფართობი მუშაობის სტაჟისა და დამსახურების მიხედვით; პრაქტიკულად უფასო კომუნალური მომსახურება: ბუნებრივი აირი, ელექტროობა და წყალი (იაფ კომუნალურ სისტემას ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ მხოლოდ ახლა მიაღწია); უფასო ბიბლიოთეკები ყველასთვის; უფასო საყოველთაო ფიზიკური კულტურა; სასამართლო, ყოველგვარი ბაჟისა და საფასურის გარეშე; ათასგვარი უფასო სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ მხატვრული წრეები; ფართო მკითხველისთვის ხელმისაწვდომი ათასგვარი სამეცნიერო-პოპულარული, ლიტერატურული და კულტურულ-სახელოვნებო გამოცემა; ამას დავუმატოთ უპრეცედენტო, მიზანმიმართული პოლიტიკა ქალთა ემანსიპაციის, ახალგაზრდა ოჯახების, საერთოდ, ახალგაზრდობის ხელისშეწყობის მიზნით.**

რაც მთავარია, საბჭოთა სოციალისტური სისტემის პირობებში გვქონდა ყველაზე ძვირფასი რამ, რასაც ფულით ვერ იყიდი: **ხვალინდელი დღისა და ერთმანეთის იმედი; ადამიანთა შორის ადამიანური, თბილი დამოკიდებულება.** უკეთესი მომავლის მშენებლობის საერთო ფერხულში მონაწილეობდა მაღალი რანგის ინჟინერი თუ სახელმწიფო მოხელე, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ — დარაჯი და დამლაგებელი. ორივე კატეგორიის ადამიანები თანასწორნი იყვნენ ამ მეტად მნიშვნელოვან ასპექტში და დაფასებული ერთნაირად. შეადარეთ იმჟამინდელი და დღევანდელი ბავშვების ოცნებები. **საბჭოთა კავშირში ბავშვი ოცნებობდა ექიმობაზე, რათა სხვისთვის ემკურნალა, ინჟინრობაზე, რათა აეშენებინა, კოსმონავტობაზე — კოსმოსში რომ გაჭრილიყო... ახლანდელმა ბავშვებმა რაზე უნდა იოცნებონ? ვინ ჰყავთ თვალწინ, მაგალითი რომ აიღონ და მის გზას დაადგნენ? დაუფასებელი ღარიბი მეცნიერები? ხუთ ადგილას მომუშავე ქანცგამოცლილი ექიმები თუ კოსმონავტები ჰყავთ თვალწინ? ან იქნებ დღევანდელი მოხტუნავე მომღერლები, შოუმენები, გაუმაძღარი ბიზნესმენები და ბანკირები, მატყუარა მინისტრები, პოლიტიკოსები და „სლენგებით“ მოსაუბრე თავხედი ჟურნალისტები არიან მათთვის მაგალითი,** რომელთა „ნაბუძუხუსაც“ კი, — გემრიელი მეგრული სიტყვაა, არ შემიცვალოთ, — ვერ ნახავდით იმ სისტემის პირობებში?

**«საბჭოთა კავშირში ბავშვი ოცნებობდა ექიმობაზე, რათა სხვისთვის ემკურნალა, ინჟინრობაზე, რათა აეშენებინა, კოსმონავტობაზე — კოსმოსში რომ გაჭრილიყო... ახლანდელმა ბავშვებმა რაზე უნდა იოცნებონ? ვინ ჰყავთ თვალწინ, მაგალითი რომ აიღონ და მის გზას დაადგნენ? დაუფასებელი ღარიბი მეცნიერები? ხუთ ადგილას მომუშავე ქანცგამოცლილი ექიმები თუ კოსმონავტები ჰყავთ თვალწინ? ან იქნებ დღევანდელი მოხტუნავე მომღერლები, შოუმენები, გაუმაძღარი ბიზნესმენები და ბანკირები, მატყუარა მინისტრები, პოლიტიკოსები და «სლენგებით» მოსაუბრე თავხედი ჟურნალისტები არიან მათთვის მაგალითი?»**

**— კინწურაშვილის „მითების დეტექტორი“ აღშფოთებულია თქვენი მოსაზრებით, რომ სსრკ-ის დაშლასთან ერთად საქართველომ განვითარების პერსპექტივა დაკარგა. იქნებ მცდარია თქვენი ასეთი კატეგორიულობა?**

— 30 წელიწადი გავიდა სსრკ-ის დაშლის შემდეგ და კინწურაშვილმა მოიყვანოს ერთი მაგალითი მაინც, რა მიმართულებით გაასწრო ამჟამინდელმა საქართველომ საბჭოთა პერიოდის სოციალისტურ წინამორბედს. ჩვენ ყველა მიმართულებით უკუსვლა გვაქვს.

საბჭოთა კავშირის დანგრევასა და საქართველოს მისგან გამოყოფას მოჰყვა ორი ძირითადი უარყოფითი ეფექტი საქართველოს ეკონომიკისთვის: **პირველი** — საქართველოს ეკონომიკა გამოეყო დიდ სამეურნეო-ეკონომიკურ სისტემას, რომლის ორგანული ნაწილიც ის იყო. შესაბამისად, დაირღვა ეკონომიკური კავშირები, დაიკარგა ერთიანი ბაზარი და ასე შემდეგ.

**მეორე** — მასობრივი პრივატიზების შედეგად დამკვიდრდა კერძო საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები, ეკონომიკის გეგმური განვითარება შეცვალა საბაზრო სტიქიამ. ამან დაარღვია დარგთაშორისი კავშირები, ტექნოლოგიური კავშირები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგები განზრახ გააჩერა კონკურენტმა უცხო კაპიტალმა. მაგალითად, **ჩაის ქართული წარმოება გააჩერა ფირმა „მარტინ ბაუერმა“, რომელიც შემოვიდა ჩვენს ბაზარზე, ჩალის ფასად შეისყიდა ჩაის ფაბრიკები და 1-2 წელიწადში გააჩერა ისინი. ქართული მეღვინეობა, ბოლო წლებია, იბრუნებს პოზიციებს, სხვათა შორის, ყოფილ საბჭოთა ბაზარზე ხელახლა დამკვიდრების წყალობით** და ესეც საბჭოთა პერიოდის დამსახურებაა, ისევე, როგორც „ბორჯომის“ მიერ პოზიციების ხელახალი დაბრუნება და სხვა ცალკეული „გამონათებები“. ჩვენი ეკონომიკა შიდა ბაზარს ვერ ფლობს წესიერად, არათუ საგარეო ბაზარზე მოიკიდა ფეხი. არადა, „დემოკრატიული აღმშენებლობის“ მთელი ეპოქა გავიდა — 30 წელიწადი!

**„თავისუფალი ბაზარი“ რეგვენთათვის მოგონილი ბლეფია. 2-3 კერძო მონოპოლიური დაჯგუფება ფლობს ეკონომიკის, საბანკო-საფინანსო და სოციალური მომსახურების ყველა სფეროს და ამ მონოპოლიური ჯგუფების (და არა მოსახლეობის) მოგების ინტერესების შესაბამისად გეგმავს ეკონომიკურ პროცესებს.** შეხედეთ სახელმწიფო ბიუჯეტს ან აჭარის, თბილისის თუ ქუთაისის ბიუჯეტს, ყველა ეს ბიუჯეტი იგეგმება მონოპოლისტებისა და მათი მომსახურე შედარებით წვრილი ბიზნესების ინტერსების შესაბამისად...

მინისტრებისა და დეპუტატების კუთვნილი მსხვილი ბიზნესები მისხდომიან ბიუჯეტს და თქვლეფენ ღორებივით: ისინი იღებენ შეკვეთებს, ისინი ასრულებენ სამუშაოებს, თანაც უხარისხოდ, ისინი მდიდრდებიან ჩვენი ბიუჯეტით.

ციფრებს დავესესხები სპეციალისტებს, „დეტექტორმა“ მითად რომ არ ჩამითვალოს ნათქვამი. აი, რას ამბობს მეცნიერ-ეკონომისტი **გიორგი ხარშილაძე** თავის სადისერტაციო ნაშრომში „საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებები გარდამავალ პერიოდში“.

1990-იან წლებში „ინგრეოდა შემოსავლების სისტემა, კატასტროფულად იზრდებოდა დავალიანებები, რომელსაც დაერთო ჯერ სწრაფი, ხოლო შემდეგ ჰიპერინფლაცია, რომელმაც სახელმწიფო სექტორის მუშაკთა ხელფასები სიმბოლურად აქცია და მოსახლეობის უმრავლესობა სიღატაკის ზღვარს დაბლა დასცა. 1990-1993 წლებში მშპ საშუალოდ წლიური 28%-ით მცირდებოდა და მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით მოსახლეობის ერთ სულზე იგი 4433 დოლარიდან 1437 დოლარამდე შემცირდა. 1995 წელს წარმოება 1990 წლის დონესთან შედარებით 78%-ით შემცირდა, რაც თითქმის 3-ჯერ აღემატებოდა „დიდი დეპრესიის“ პერიოდში აშშ-ში წარმოების „დაცემის დონეს“. **სხვათა შორის, საქართველოში ეკონომიკის შემცირება ყველაზე მასშტაბური იყო მთელ პოსტსოციალისტურ სივრცეში.**

2000-იან წლებში გვქონდა ერთგვარი ეკონომიკური „გამოცოცხლება“. ახალგაზრდა და ენერგიული **სააკაშვილის** „დამსახურება“ არის ის, რომ მან „დამკვრელურად“ შექმნა და გამართა ოლიგარქიულ-მონოპოლისტური სისტემა და სწრაფად მიიყვანა პროცესები ლოგიკურ დასასრულამდე. შემოიღეს ახალი საგადასახადო სისტემა, შეცვალეს ბიუჯეტის შევსების სისტემა, მკვეთრად გაიაფდა ადგილობრივი სამუშაო ძალა. სააკაშვილმა დაასრულა საქართველოში არსებული ყველა სახის სიმდიდრის ცენტრალიზაციისა და მონოპოლიზაციის პროცესი.

**— იქნებ ამიტომაც აცხადებს მითად „მითების დეტექტორი“ ამჟამინდელი საქართველოს უპერსპექტივობას?**

— სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ჩვენ მივიღეთ კაპიტალისტური ურთიერთობების ისეთი სისტემა, რომელსაც წინსვლის რესურსი არ აქვს. ამ სისტემამ ამოწურა თავისი თავი დასავლეთის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი. სააკაშვილის ხელისუფლების კრიზისის ძირითადი მიზეზიც ეს იყო. **წინსვლა მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ეს სისტემები, რომლებსაც მართავს რამდენიმე მცირე ჯგუფი თავისი ჯგუფური ინტერესების შესაბამისად, გადავა საზოგადოების განკარგულებაში და საზოგადოება დაიწყებს მის მართვას ყველა ადამიანის ინტერესების შესაბამისად.**

ვაფრთხილებ საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც მხარს უჭერს „ვარდებიან“ რევანშს: ქვეყნის მმართველობის სათავეში ამჟამად მყოფი ბანდის სააკაშვილის ბანდით ჩანაცვლებით არაფერი შეიცვლება. მიშა ვერ გვიშველის, სიდუხჭირე და კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდება.

2003-2010 წლებში 4280 ობიექტის პრივატიზაცია მოხდა, მიღებულმა შემოსავალმა 1.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ ობიექტების პრივატიზება მოხდა შემცირებული ფასებით, ასე რომ, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ერთგვარი ეკონომიკური აღმავლობა მოხდა არა მხოლოდ კაპიტალიზმის „მოწესრიგების“, არამედ ხალხის სიმდიდრის გაყიდვის ხარჯზეც.

2006 წელს მიიღეს შრომის ახალი კოდექსი, რომელმაც მსოფლიოში ყველაზე უუფლებო მშრომელებად გვაქცია. საქართველოს შრომის კოდექსი ეწინააღმდეგება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პრინციპებს, ევროპულ სტანდარტებსა და ევროპის სოციალურ ქარტიას. სწორედ ამიტომ ჩავარდა გაუსაძლის მდგომარეობაში საქართველოს მშრომელთა უდიდესი ნაწილი. არა მგონია, „დეტექტორმა“ მითად გამოაცხადოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გამომთვლელი საერთაშორისო სტრუქტურის ეს დასკვნა. „მითების დეტექტორი“, რომელიც ემსახურება სოციალიზმისა და საბჭოთა ეპოქის ნამდვილი სახის დამახინჯებას, არის დღევანდელი „დემოკრატიის“, ანუ ბანკირთა დიქტატურის ბუნებრივი ატრიბუტი, საყოველთაო ცენზურის გამოვლინება. ის არის ოლიგარქიულ-საბანკო ხელისუფლებისა და მისი მოკავშირე ბიზნესმენების ხელში არსებული კლასობრივი იარაღი, მიმართული თავისუფალი აზრის წინააღმდეგ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

2021 წელს ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელიც კი გვაქვს. ეკონომიკა გაიზრდებაო, — გვიმტკიცებს ხელისუფლება და მერე რა, რომ დანარჩენი მსოფლიო ახლავე ითვლის იმ დანაკარგს, რომელიც არა მხოლოდ 2021 წელს ექნება, არამედ, სულ ცოტა, მიმდევნო 3 წლის განმავლობაში. ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკაც მყარია და არანაირი შოკები თუ შოკუნიები არ აშინებთ, გაისად წაგებას ელოდებიან, ასე თვლიან და, უდიდესი ალბათობით, ასეც იქნება, მაგრამ ჩვენ არა, ჩვენ თურმე მომგებიანი და წარმატებული წელიწადი გვექნება.

**2021 წლის ბიუჯეტი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახალი პარლამენტი 2021 წლის ბიუჯეტს მიმდინარე წლის ბოლომდე დაამტკიცებს. ბიუჯეტი წინა მოწვევის პარლამენტის კომიტეტებში უკვე განიხილეს, მოიწონეს და ძველი პარლამენტის მოწონებულს ახალი მიიღებს. ესეც პარადოქსია, მაგრამ, მოდი, შევთანხმდეთ, რომ საქართველოში არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს.**

# რამდენიმე მილიონად ნაყიდ ვაქცინაზეც თუ გვეტყვიან, როგორც «ჯაველინებზე», სანაგვეში გადააგდეთო, მალე გაირკვევა

ხელისუფლება კი გვიმტკიცებს, ახალი ბიუჯეტი ძველზე რამდენიმე ათეული მილიონით მეტია და მთლიანად ხალხის ინტერესებზეა მორგებული, მაგრამ იმას კი აღარ გვეუბნება, რომ ამ ახალ ბიუჯეტს 1 მილიარდ 374 მილიონი ლარის ახალი კრედიტი ემატება ანუ ვალი გვემატება ჩვენ, რიგით ადამიანებს. არაერთხელ თქვეს ექსპერტებმა: ამ საგარეო ვალს როგორმე ბოლო თუ არ მოეღო, დეფოლტამდე, ანუ სახელმწიფოს გაკოტრებამდე მივალთო. **ამის მიუხედავად, ხელისუფლება, წინა თუ მოქმედი, ვალს ვალზე იღებს და არ აინტერესებს, რა იქნება მერე,** თუმცა, ხომ შევთანხმდით, რომ საქართველოში არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ **ამავე ბიუჯეტიდან 12.5 მილიონი ლარი იმ პარტიების დაფინანსებაზე წავა, რომლებმაც საპარლამენტო მანდატები მოიპოვეს და, შევლენ თუ არა, არავის აინტერესებს — კანონით ეს თანხა ეკუთვნით და მიიღებენ კიდეც, ანუ 4 წელიწადში დაახლოებით 40 მილიონი მათთვის არის „გახაზირებული“.**

ახალი ბიუჯეტის მიხედვით, 2021 წელს ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელიც კი გვაქვს. ეკონომიკა გაიზრდებაო, — გვიმტკიცებს ხელისუფლება და მერე რა, რომ დანარჩენი მსოფლიო ახლავე ითვლის იმ დანაკარგს, რომელიც არა მხოლოდ 2021 წელს ექნება, არამედ, სულ ცოტა, მიმდევნო 3 წლის განმავლობაში. ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკაც მყარია და არანაირი შოკები თუ შოკუნიები არ აშინებს, გაისად წაგებას ელოდებიან, ასე თვლიან და უდიდესი ალბათობით ასეც იქნება, მაგრამ ჩვენ არა, ჩვენ თურმე მომგებიანი და წარმატებული წელიწადი გვექნება.

ერთია, რას ამბობს ხელისუფლება, ხოლო მეორე — რა ხდება რეალურად. პანდემიის გამო სამსახური ეტაპობრივად 160 ათასზე მეტმა ადამიანმა დაკარგა. ტურისტული სეზონი, რომელიც შარშანდელთან შედარებით, 3%-ით „ჩატარდა“, ანუ 97%-იანი ზარალი ნახეს რიგითმა ადამიანებმა, ვერც გაისად იქნება შემოსავლიანი, რადგან არავინ აპირებს არც საზღვრების გახსნას და არც ადამიანები არიან მოწადინებულნი სამოგზაუროდ. შესაბამისად, **შესაძლებლობა იმისა, რომ ამ სფეროში დასაქმებულები მომავალი წლიდან კვლავ დაუბრუნდებიან საკუთარ სამუშაო ადგილებს, პრაქტიკულად ნულის ტოლია.** ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას კვების ობიექტებზე. ძალიან დიდი ალბათობით, რესტორნები და ბარები მუშაობას განაახლებენ, მაგრამ მომხმარებელი ისეა შეშინებული, საეჭვოა, საქეიფოდ წასვლის ან ხალისი, ან ფული ჰქონდეს, ამიტომ რესტორნის უმუშევრად დარჩენილი პერსონალის დასაქმების შესაძლებლობაც პრაქტიკულად მცირეა. **სამაგიეროდ, კაზინოებისთვის დადგა რენესანსის ხანა. ისინიც დისტანციურ მუშაობაზე გადავიდნენ, რამდენიმე ოპერატორი დაიტოვეს და, თუ შარშან მათი ბრუნვა 15 მილიარდი იყო, წელს გაცილებით მეტი იქნება.** რატომ? იმიტომ, რომ შინ გამოკეტილი ადამიანები, უსაქმურობისგან, რომ არ იციან, რა ქნან, ბოლო თეთრებს იმეტებენ იმისთვის, რომ იქნებ ერთხელ მათვისაც მოხდეს სასწაული და ამ სასწაულის ძიებაში, უკანასკნელ პურის ფულს კარგავენ.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია დაბეჯითებით ამბობს, რომ, თუ ვაქცინა გაამართლებს და მას ეფექტი ექნება (ვაქცინას იყენებენ ბრიტანეთში, ამერიკასა და რუსეთში, სამივე ქვეყანას საკუთარი წარმოება აქვს და ზუსტად არავინ იცის, რა ეფექტი ექნება), დაახლოებით სამ წელიწადში შესაძლებელი იქნება დავუახლოვდეთ იმ რეალობას, რომელიც ვირუსის გამოჩენამდე არსებობდა. **სამ წელიწადში, თანაც იმ პირობებში, თუ ვაქცინა გაამართლებს და აცრები საყოველთაოდ ჩატარდება, დავუახლოვდებით იმ რეალობას, როგორიც ადრე იყო. ჩვენ კი ამ რეალობასთან დაახლოებას უკვე 2021 წელს ვაპირებთ იმ იმედით, რომ ვაქცინას შემოვიტანთ და ყველაფერი მოგვარდება.** ვაქცინას, რომლის ვარგისიანობის შესახებ ჯერ თვითონ მწარმოებელმა ქვეყნებმაც არ იციან და ვერც იმას ამბობენ, რამდენად ეფექტურია მათ მიერ შექმნილი პრეპარატი. რამდენიმე ათეულ მილიონს სწორედ ამ ვაქცინის შეძენაში გავისვრით და მერე, თუ არ გაამართლებს, თავსაც მარტივად ვიმართლებთ: ამერიკა და ბრიტანეთი ატარებდნენ ვაქცინაციას და ჩვენ რატომ უნდა ჩამოვრჩენილიყავით... **გამორიცხულია, ჩვენმა ხელისუფლებამ კოვიდის საწინააღმდეგო რუსული პრეპარატი შეიძინოს და ეს იმის მიუხედავად, კარგი იქნება თუ არა ის. ჩვენ ხომ დასავლეთს უნდა დავუცალოთ ხელი ზუსტად ისე, როგორც ეს „ჯაველინების“ შემთხვევაში მოხდა და აგერ, ყარაბაღის ომის შემდეგ ყველამ აღიარა: „ჯაველინები“ ვისაც აქვს, შეუძლია, ჯართში ჩააბაროსო. ჰო, 75 მილიონად ნაყიდი იარაღი ჯართში ჩააბარეთო, — ასე თქვეს. გვეტყვიან თუ არა, რამდენიმე მილიონად ნაყიდი ვაქცინა სანაგვეში გადააგდეთო, მალე გაირკვევა, მანამდე კი...**




**გამორიცხულია, ჩვენმა ხელისუფლებამ კოვიდის საწინააღმდეგო რუსული პრეპარატი შეიძინოს და ეს იმის მიუხედავად, კარგი იქნება თუ არა ის. ჩვენ ხომ დასავლეთს უნდა დავუცალოთ ხელი ზუსტად ისე, როგორც ეს «ჯაველინების» შემთხვევაში მოხდა და აგერ, ყარაბაღის ომის შემდეგ, ყველამ აღიარა: «ჯაველინები» ვისაც აქვს, შეუძლია, ჯართში ჩააბაროსო**

გრიპის ვირუსის გავრცელებასთან ერთად, მსოფლიო ბაზარზე ოქროს ფასმა მოიმატა და ეს ლოგიკურიცაა. ძვირფასი ლითონი ყოველთვის ღირებულია და მაშინ, როცა ყველგან ყველაფერი გაჩერდა, მისმა ფასმა მოიმატა და აგვისტოში რეკორდულ ნიშნულაც მიუახლოვდა. შემდეგ ფასმა ნელ-ნელა კლება დაიწყო, მაგრამ არა ისე, ყველასთვის ხელმისაწვდომი რომ იყოს. საქართველოში საქორწინო ბეჭედი შარშანდელთან შედარებით 41%-ით გაძვირდა და ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზეა. ჰოდა, **მუდმივად იმას რომ ვიმეორებთ, დემოგრაფიის მიმართულებით უდიდესი ჩავარდნა გვაქვს, ერი დაბერდა, გადაშენების გზაზე ვართო, როგორ უნდა მოსთხოვო ახალგაზრდებს ოჯახის შექმნა, როცა, ელემენტარულად, ბეჭდები უნდა გაცვალონ და ეს უკვე ისეთ ხარჯთან არის დაკავშირებული, ნახევარი საქართველო რომ ვერ გასწვდება. თანაც, ამ უმუშევრობის პირობებში, ამ კრიზისში, ოქროს ბეჭედი კი არა, პურის ფულია სანატრელი და...**

„გაისად ჩემი შვილი აბიტურიენტი ხდება და, წესით, მომზადება ახლავე უნდა დავიწყო, მაგრამ რა მომზადება, ვერ მივედი მომზადებამდე, საჭმლისა და ჩასაცმელის პრობლემა მიდგას ჯერ“, — ეს სიტყვები იმ კაცმა მითხრა, რომელსაც ცოლი და ერთი შვილი ჰყავს და 500-ლარიანი სამსახური აქვს. ჰო, 500-ლარიანი და, საქსტატს თუ დავუჯერებთ, ოთხსულიანი ოჯახის სარჩენად 334 ლარი საკმარისი ყოფილა თურმე.

**აბა, თუ მიხვდებით, ოქროს ფასის მატება მეორე ადგილზე რომ არის საქართველოში, პირველ ადგილზე რა გავიდა? წიწიბურა, ბატონებო, წიწიბურა, რომელიც შარშანდელთან შედარებით, 67%-ით გაძვირდა.** დიდები კი გავძლებთ წიწიბურას გარეშე, მაგრამ ეს პროდუქტი ბევრ რკინას რომ შეიცავს და ბავშვებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რომ არის, რა ვქნათ და რა გავაკეთოთ? ვერაფერსაც ვერ გავაკეთებთ, უნდა მოვიკლოთ ჩვენ, დიდებმა, და ბავშვები ვკვებოთ, სხვა საშველი ამ ეტაპზე არ ჩანს.

ამ ყველაფრის პარალელურად, **ამაზრზენია, რომ ახალი მოწვევის პარლამენტის დეპუტატი 20 ათას დოლარად ნაყიდ საათს იაფფასიანს ეძახის. ეს იმას ნიშნავს, რომ მას წარმოდგენა არ აქვს, რა სჭირდება ხალხს, როგორ უჭირს და ეს იმ პათოსის გაგრძელებაა, საქართველოში თურმე ბავშვები რომ არ შიმშილობენ. ასეთმა ადამიანებმა არ იციან, რომ საახალწლოდ თოვლის პაპა ძალიან ბევრ ოჯახში ვერ მივა და ვერ მიიტანს საახალწლო საჩუქრებს, თუმცა ამას ვერ გაიგებენ და ვერ გაიგებენ იმიტომ, რომ მათ ამის პრობლემა არასდროს არ ექნებათ და არც მათი შვილები დარჩებიან უსაჩუქროდ ახალ წელს.**

ამ გადმოსახედიდან ძალიან ძნელია მომავალ წელს იმედით შევხედოთ. ეს იმის მიუხედავად, რომ მთავრობა იმედიან პროგნოზს აკეთებს და გვიმტკიცებს, რომ 2021-ში ეკონომიკის ზრდა გარდაუვალია და მსოფლიოს გავაოცებთ ჩვენი ეკონომიკის ფეხზე დაყენებითო. **მსოფლიოს ჯერჯერობით მხოლოდ იმით ვაოცებთ, რომ ეს პატარა ერი ინფიცირებულების მატებითა და გარდაცვლილების ოდენობით პირველ ადგილზე ვართ. ექიმების ვარაუდით, პირველობას წელს არ დავთმობთ და გაისად ძალიან უნდა მოვინდომოთ, ეს რომ მოვახერხოთ.** მანამდე კი... ოქრო ისე გაძვირდა, უმრავლესობა საქორწინო ბეჭდის შეძენას ვერ მოახერხებს და, ვიღაცას რომ 20-ათასდოლარიანი საათი იაფი ჰგონია, ამ ფასად ადამიანები ცხოვრებას იწყობენ და ასეთი შემოსავალი წლიდან წლამდე საქართველოში 70%-ზე მეტს არ აქვს.

**ბესო ბარბაქაძე**

**ამაზრზენია, რომ ახალი მოწვევის პარლამენტის დეპუტატი 20 ათას დოლარად ნაყიდ საათს იაფფასიანს ეძახის. ეს იმას ნიშნავს, რომ მას წარმოდგენა არ აქვს, რა სჭირდება ხალხს, როგორ უჭირს და ეს იმ პათოსის გაგრძელებაა, საქართველოში თურმე ბავშვები რომ არ შიმშილობენ. ასეთმა ადამიანებმა არ იციან, რომ საახალწლოდ თოვლის პაპა ძალიან ბევრ ოჯახში ვერ მივა და ვერ მიიტანს საახალწლო საჩუქრებს, თუმცა ამას ვერ გაიგებენ და ვერ გაიგებენ იმიტომ, რომ მათ ამის პრობლემა არასდროს არ ექნებათ და არც მათი შვილები დარჩებიან უსაჩუქროდ ახალ წელს**

პროცესი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ალარმისტული განწყობილების ტრიგერად — მაპროვოცირებელ ფაქტორად იქცა 18 შტატის სარჩელი პრეზიდენტის არჩევნების შედეგების ბათილად ცნობაზე 4 საკვანძო შტატში. მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ უზენაესმა სასამართლომ ეს სარჩელი არ მიიღო. ტეხასის მიერ მომზადებულმა სარჩელმა, რომელსაც მხარი კიდევ 17-მა შტატმა დაუჭირა, გაავლო მკაფიო საზღვარი, რომლის მიხედვითაც შეიძლება დაიშალოს ამერიკის შეერთებული შტატები.**



**ამერიკელებს სერიოზულად შეეშინდათ სეცესიის (სახელმწიფოს შემადგენლობიდან რომელიმე ნაწილის გასვლა — გ. გ.). ასე აკურატულად, ვინმე რომ არ დააფრთხონ, უწოდებენ სეპარატისტულ პროცესებს, რომლებიც სახელმწიფოს ნაწილებად დაშლას იწვევს. დღეს აშშ ბალანსის დაცვას ცდილობს იმ უფსკრულის თავზე, რომელსაც გასცდა რუსეთი 1990-იან წლებში და რომელშიც გადაიჩეხა ჯერ იუგოსლავია, შემდეგ — უკრაინა.**

# ფრთხილად, ამერიკის შეერთებული შტატები იშლება!



ალარმისტული განწყობილების ტრიგერად — მაპროვოცირებელ ფაქტორად, იქცა 18 შტატის სარჩელი პრეზიდენტის არჩევნების შედეგების ბათილად ცნობაზე 4 საკვანძო შტატში. მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ უზენაესმა სასამართლომ ეს სარჩელი არ მიიღო. ტეხასის მიერ მომზადებულმა სარჩელმა, რომელსაც მხარი კიდევ 17-მა შტატმა დაუჭირა, გაავლო მკაფიო საზღვარი, რომლის მიხედვითაც შეიძლება დაიშალოს ამერიკის შეერთებული შტატები.

**მილიონობით ადამიანი, რომლებმაც ხმა მისცეს ტრამპს, თავს გაყიდულად და მოტყუებულად მიიჩნევს. მათგან არავის სჯეროდა, რომ არჩევნები პატიოსნად ჩატარდა. და ახლა მათ იმედი გაუცრუა უზენაესმა სასამართლომ — მთავარმა კანონმდებელმა ორგანომ ქვეყანაში. ამას ემატება ისიც, რომ ამ ადამიანების არავის ესმის. მათ დემონსტრაციულად არ აქცევენ ყურადღებას თავიანთი ქვეყნის ჟურნალისტები.**

დაპირისპირების გეოგრაფიაში ახალი არაფერია. **ბაიდენსა და დემოკრატიულ პარტიას მხარს უჭერენ დასავლეთი და აღმოსავლეთი სანაპიროები და დიდი მეგაპოლისები. ტრამპს მხარს უჭერს აშშ-ის ცენტრი, „დაჟანგული სარტყელის“ ქალაქები, სოფლის მეურნეობა, მენავთობეები, ტოტალური დეინდუსტრიალიზაციის შედეგად გალატაკებული სივრცეები.**

სილატაკე, უიმედობა, შთამომავლობითი ალკოჰოლიზმი, „სასოწარკვეთილებით გამოწვეული სიკვდილიანობა“, ოპიოიდური ეპიდემია... ყველა რუკაზე, რომლებზეც გამოსახულია ბაიდენისა და ტრამპის დაპირისპირება, ნათლად ჩანს უზარმაზარი წითელი (რესპუბლიკური) კონტინენტი, რომელსაც გარს აკრავს ლურჯი (დემოკრატიული) სანაპიროები.

**წითელ და ლურჯ შტატებს შორის იდეური ომი, დიდი ხანია, გიზგიზებს. პირველებმა ფსონი დადეს ბიზნესის, ინდუსტრიის, ტრადიციული ფასეულობების, საშუალო კლასის განვითარებაზე; მეორეებმა — ახალ ტექნოლოგიებზე, ლგბტ თემის 100 ფერზე, დეინდუსტრიალიზაციასა და მხოლოდ ელიტების გამდიდრებაზე.**

კულტურული ომები არასდროს შეწყვეტილა, სანაპიროებზე სვამდნენ ღვინოს, ცენტრში — ლუდს. დემოკრატები დადიოდნენ ელექტრული „ტესლებით“, ტრამპისტები — ჟანგიანი „ფორდებით“. მეგაპოლისებში Black Lives Matter-ის მხარდამჭერ მიტინგებს მართავდნენ. შუა ამერიკაში ეხურათ კეპები წარწერით „გადავაქციოთ ამერიკა კვლავ დიადი“.

**ტრამპის პრეზიდენტობის 4-მა წელმა გააფთრებულ საინფორმაციო ომში ჩაიარა. ამ მომენტისთვის ვითარება ისეთია, რომ პრეზიდენტის მილიონობით მომხრემ საერთოდ დაკარგა საინფორმაციო ველზე გასვლის საშუალება, მათ პოზიციებს არ აშუქებს თითქმის არც ერთი გაზეთი, არც ერთი პოპულარული ტელეარხი. მათ მასობრივად ბლოკავენ ინტერნეტპლატფორმები და სოციალური ქსელები.**

მაგალითად, ბევრი გსმენიათ, ტრამპის მხარდამჭერ მრავალათასიან მიტინგებზე, მილიონობით ადამიანზე, რომლებმაც მას მხარი დაუჭირეს და ახლა ცდილობენ, გარე სამყარომდე მიიტანონ თავიანთი პოზიცია? გსმენიათ ტრამპისადმი მასობრივ თხოვნაზე, გამოეცხადებინა სამხედრო მდგომარეობა და გაეუქმებინა პრეზიდენტის არჩევნების შედეგები? არადა, ეს ყველაფერი ყოველდღიურად ხდება ამერიკაში.

**უფრო ნაკლებად შესამჩნევი, მაგრამ გაცილებით სასტიკია ეკონომიკური ომი, რომელსაც შტატები ერთმანეთის წინააღმდეგ აწარმოებენ. ავიღოთ, მაგალითად, ე.წ. მწვანე გარიგება (GREEM DEAL), რომელსაც დღეს აქტიურად უჭერენ მხარს დემოკრატები.**

მაღალტექნოლოგიური კალიფორნია ორივე ხელით უჭერს მხარს ამ პროექტს. ჰოლივუდსა და სილიკონის ველთან ერთად „სუფთა“ ენერგიაზე გადასვლით კალიფორნიას არაფერი დაუშავდება, მაგრამ ტეხასის შტატისთვის, რომლის კეთილდღეობაც ემყარება ნავთობსა და გაზს, „მწვანე გარიგება“, უბრალოდ, თვითმკვლელობაა. ხოლო, თუ გლობალური დათბობით შეშფოთებული ნიუ-იორკელები უარს იტყვიან ხორცსა და რძეზე, ეს სასიკვდილო განაჩენი იქნება მისურისა და ოკლაჰომაში მცხოვრები ფერმერებისთვის. ჩვენ დღეს ვაკვირდებით საინტერესო პროცესს — ასეთი რამ არ უნახავს **მარქსს.**

ექსპანსიისთვის საგარეო ბაზრების არარსებობის პირობებში ნაციონალური კორპორაციები ერთმანეთს ართმევენ თითქოს უკვე დიდი ხნის წინათ განაწილებულ ადგილობრივ ბაზარს. ეს მილიონობით ადამიანს ეკონომიკური კატასტროფით ემუქრება, მაგრამ მილიარდერებს თანამემამულეების ბედი არ აღელვებთ.

შტატები ერთმანეთს არა მხოლოდ ეკონომიკური მეთოდებით ებრძვიან, თითოეულ შტატს უკვე ჰყავს თავისი ოლიგარქი, რომელიც ქვეყნის დაშლის შემთხვევაში ბარონად იქცევა და იბატონებს. ანალოგიური პროცესი, ოღონდ მინიატურული, მიმდინარეობს უკრაინაშიც. დონბასს **ახმეტოვი** აკონტროლებს, დნეპროპეტროვსკს — **კოლომოისკი.**

**ბრინი, ცუკერბერგი,**

**წითელ და ლურჯ შტატებს შორის იდეური ომი, დიდი ხანია, გიზგიზებს. პირველებმა ფსონი დადეს ბიზნესის, ინდუსტრიის, ტრადიციული ფასეულობების, საშუალო კლასის განვითარებაზე; მეორეებმა — ახალ ტექნოლოგიებზე, ლგბტ თემის 100 ფერზე, დეინდუსტრიალიზაციასა და მხოლოდ ელიტების გამდიდრებაზე**



**ელისონი** — კალიფორნიის ბარონები იქნებიან, **როკფელერები, მელონები, პოლები** — ტეხასის. ისინი ჯერჯერობით მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური მეთოდებით იბრძვიან, მაგრამ ქვეყანაში მილიონობით იარაღია, რომლებიც, ადრე თუ გვიან, გაისვრის.

პანდემიამ დააჩქარა და გააღრმავა განხეთქილება ამერიკის სანაპიროსა და ცენტრს შორის. მეგაპოლისებმა, მაღალტექნოლოგიურმა ანკლავებმა უპრობლემოდ გადაიტანეს ლოკდუნის პერიოდი და მოგებაც კი მიიღეს. ამერიკის შუა ნაწილი კი იძირება სილარიბესა და უიმედობაში, რომლიდან ამოყვანასაც ტრამპი ცდილობდა.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმ ინსტინქტური, ბრმა სიძულვილის დავიწყებაც, რომლითაც გაჟღენთილნი არიან ერთმანეთის მიმართ წითელ და ლურჯ შტატებში მცხოვრებნი. ამ სიძულვილს დიდხანს აღვივებდა მასმედია და კულტურული ისტებლიშმენტი, ინტელექტუალები. შუა ამერიკის მცხოვრებნი სანაპიროზე მცხოვრებთ გარყვნილებად და სატანისტებად მიიჩნევენ. ისინი კი თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს გენეტიკურ ნაგავს, მსუქან უზრდელებს უწოდებენ. ამ ყველაფერზე დაუფარავად წერდნენ და წერენ სოციალურ ქსელებში და ახლა დაპირისპირება ქუჩაში გადადის.

და აი აშშ-ის დაშლის თემა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ტაბუდადებული იყო მასმედიაში და სიგიჟედ ითვლებოდა, ახლა საჯაროდ განსახილველ თემად იქცა.

პროფესორი **ფრენკ ბაკლი** მალე გამოსცემს წიგნს **„ამერიკული სეცესია: ეროვნული დაშლის მოახლოებული საფრთხე“** და ამ წიგნს საჯაროდ განიხილავენ მეინსტრიმელ მედიაში. პროფესორი აგიტაციას უწევს დაშლას და წერს: **„ჩვენ ძალიან დიდნი ვართ. ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი ქვეყანა ვართ. პატარა ქვეყნები უფრო ბედნიერები არიან და იქ კორუფციის დონე ნაკლებია. ისინი არ აჟღარუნებენ იარაღს. ისინი უფრო თავისუფლები არიან... დიდი ნიშნავს ცუდს“.**

ზოგიერთი იტყვის, რომ ეს კონსპიროლოგიაა, მაგრამ სინამდვილეში პროცესი უკვე დაწყებულია, ამერიკა უკვე ნაკუწებად ნაწევრდება, ოღონდ მასმედია ცდილობს, ამის შესახებ ძალიან არ იხმაუროს.

შარშან თავის განზრახვაზე, გამოსულიყო ნიუ-იორკის შემადგენლობიდან, განაცხადა რაიონმა **სტეიტენ-აილენდმა.** ეს ის რაიონია, რომლის გვერდითაც თავისუფლების ქანდაკებაა. კუნძულის მოსახლეობა რეგულარულად უჭერს მხარს რესპუბლიკელებს და არ სურს, რამე საერთო ჰქონდეს დემოკრატებთან. მოქალაქეები ჩივიან მაღალი გადასახადებისა და კრიმინალის გამო. გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერს ამ იდეას. სასაცილოა? მაგრამ სტეიტენ-აილენდის მოსახლეობა 460 ათასი კაცია. ეს რამდენიმე სახელმწიფოს მოსახლეობაზე მეტია.

2020 წლის ზაფხულში სრულიად კანონიერად, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ოკლაჰომას ნახევარი გამოეყო. აღმოსავლეთი ნაწილი სამართავად გადაეცათ ინდიელებს, 2 მლნ ადამიანი (ეს მეტია, კოსოვოს მოსახლეობაზე და ცოტა ნაკლებია ყირიმში მცხოვრებ ადამიანებზე) თითქოს ახალ სახელმწიფოში აღმოჩნდა თავისი კანონებითა და წესებით.

ამერიკელი ხალხის ორი ნაწილი დღეს განქორწინების პირას მყოფ მეუღლეებს ჰგავს. მათ ერთმანეთს თავი მოაბეზრეს და თითქმის ვერაფერზე თანხმდებიან. ზოგს სტაბილური სამუშაო სურს, ზოგს კიდევ — მარსზე გაფრენა, ერთს სტეიკი უნდა, მეორენი იმაზე ნერვიულობენ, რას გრძნობს ძროხა, როცა კლავენ. ზოგს სურს, სექსით დაკავდეს, ზოგი შიშობს, ჰარასმენტის მსხვერპლი არ გახდეს ან თვითონ არ ჩაიდინოს ძალადობა.

შეიძლება მართალია პროფესორი ბაკლი: **„ამერიკელები არასოდეს ყოფილან ასე დაყოფილნი, ჩვენ მოვმწიფდით დასაშლელად!“**

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

„ნებისმიერი „ფერადი რევოლუცია“ — ეს არის კოგნიტური ტექნოლოგიების გამოყენებით მასობრივი ცნობიერების მართვა. რა არის ამისთვის საჭირო? ამისთვის თავდაპირველად საჭიროა, ბრიყვად გაქციოთ; გაგიმარტივოთ თქვენი განათლების სისტემა ისე, რომ თქვენ მხოლოდ ტესტებზე პასუხობდეთ; გაგასულელოთ მაქსიმალურად, შემდეგ დაგირიგოთ აიფონები, კოსმოსში გავუშვათ თანამგზავრი და მორჩა“.

ციფრული «მუდამი»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ბრძოლა ისტორიისთვის — ეს არის ბრძოლა მომავლისთვის»

## რატომ შექმნეს ძმებმა დალესებმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

**პროგრამა „ბესოგონის“ ერთ-ერთ გადაცემაში მისმა ავტორმა და წამყვანმა, ცნობილმა კინორეჟისორმა ნიკიტა მიხალკოვმა ამხილა დასავლეთის აგენტები, რომლებიც თავიანთ მისიას მაღალფარდოვნად უწოდებენ „მსოფლიოში დემოკრატიისა და თავისუფლების დამყარებისა და განვითარებისთვის ხელის შეწყობას“ (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №41, 2020 წ.). ამავე გადაცემაში მიხალკოვმა ჩართო საბჭოთა და რუსი ფიზიკოსის, კურჩატოვის სახელობის ინსტიტუტის პრეზიდენტის, მიხეილ კოვალჩუკის, გამოსვლა რუსეთის თავდაცვის სამინისტროში გამართულ ფორუმზე სახელწოდებით „ფსიქოლოგიური თავდაცვა. ბრძოლა ისტორიისთვის — ეს არის ბრძოლა მომავლისთვის“. გთავაზობთ ამ გამოსვლის სრულ ვერსიას, რომელიც ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება.**

„მშვენივრად გესმით, რომ ეკონომიკა, ე.ი., პოლიტიკაც ყოველთვის, ცივილიზაციის განვითარების დასაწყისიდანვე, განისაზღვრებოდა ტექნოლოგიებით. დღეს მეცნიერების დონე ისე ამაღლდა, რომ ჩვენ, ფაქტობრივად, ჩავერიეთ, ასე ვთქვათ, ღმერთის საქმეში. ჩვენ დღეს რეალურად ვცხოვრობთ ომის პირობებში. პირველ ეტაპს დავარქმევდი ომისწინა ჰიბრიდულ „ცივ“ ომს. **სამიზნეში იღებენ სახელმწიფოს, შემდეგ იწყება ამ სახელმწიფოს მაქსიმალურად დასუსტება. უტევენ ყველა სფეროს: განათლებას, კულტურას, ეკონომიკას, მეცნიერებას, თავდაცვას, უსაფრთხოებას — ყველაფერს. დღეს მიმდინარეობს ამ ომის მოსამზადებელი მეორე ეტაპი —ეს არის პირდაპირი დაპყრობა.** დღეს ვითარება ასეთია: **კოლონიალიზმით დაპყრობა შეიცვალა ტექნოლოგიებით დაპყრობით.** უწინ ეს კეთდებოდა სამხედრო ძალით, დღეს კი ეს შესაძლებელია ტექნოლოგიებით. მოვიყვან მაგალითს: ინტერნეტი. **რა არის ინტერნეტი? — ეს არის ციფრული „გულაგი“ („გულაგი“ — საბჭოთა პერიოდში შრომა-გასწორების ბანაკების სამმართველო — გ.გ.) სუფთა სახით. ოღონდ „გულაგისგან“ განსხვავებით, სადაც დაპატიმრებულ ადამიანებს მავთულხლართებით შემოღობილ ტერიტორიაზე გამოამწყვდევდნენ ხოლმე, ინტერნეტის ამ ციფრულ გულაგში ადამიანები თვითონ მიდიან და იქ კომფორტულად ცხოვრობენ.**

**როდესაც ადამიანებს ეუბნებიან, რომ სწავლა საჭირო არ არის, რადგან ვიკიპედიაში ყველაფერი წერია და ინტერნეტში ყველაფერია, აშენებენ საზოგადოებას იმ ადამიანებისგან, რომლებსაც ჩამრაზის („რუბილნიკის“) ერთი გადაწევით, ანუ ინტერნეტის გათიშვით მოაჭრიან თავს.** მეორე საკითხი კოგნიტიურია. მარტივი ენით ვიტყვი: **ნებისმიერი „ფერადი რევოლუცია“ — ეს არის კოგნიტიური ტექნოლოგიების გამოყენებით მასობრივი ცნობიერების მართვა. რა არის ამისთვის საჭირო? ამისთვის თავდაპირველად საჭიროა, ბრიყვად გაქციოთ; გაგიმარტივოთ თქვენი განათლების სისტემა ისე, რომ თქვენ მხოლოდ ტესტებზე პასუხობდეთ, გაგასულელოთ მაქსიმალურად, შემდეგ დაგირიგოთ აიფონები, კოსმოსში გავუშვათ თანამგზავრი და მორჩა.**

დღეს ცივილიზაციის ისტორიაში პირველად გაჩნდა სამსახურებრივი ადამიანის გამოყვანის ტექნოლოგიური შესაძლებლობა. ამის საშუალებას იძლევა **გენომური რედაქტირების ტექნოლოგია.** წარმოიდგინეთ ასეთი რამ: ვიღებთ ხელოვნურ საშვილოსნოს, როგორც წიწილების გამოსაყვან ინკუბატორს, შემდეგ ხელოვნური განაყოფიერების სინჯარიდან მასში ჩავნერგავთ იმას, რაც მოგვესურვება, გენომური რედაქტირების ტექნოლოგიის გამოყენებით შევუკვეცავთ ფუნქციებს და მივიღებთ ადამიანს, რომელსაც მხოლოდ მოსამსახურის ფიზიკურ-ფსიქიკური შესაძლებლობები ექნება. დღეს ეს შესაძლებელია და ეს აბსოლუტური ფაქტია! ეს ტექნოლოგიურად შესაძლებელია. **ძმებმა დალესებმა ერთმა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა, მეორემ — სახელმწიფო მდივანმა როკფელერის, ფინანსური მხარდაჭერით დაიწყეს ის, რაც დღეს ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებს. მათ შექმნეს WORLD HEALTH ORGANIZATION-ი — ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია. შექმნეს არა იმისათვის, რომ ადამიანებისთვის ემკურნალათ, არამედ იმისთვის, რომ გაეკონტროლებინათ მსოფლიოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ადამიანებზე გავლენა მოეხდინათ ვაქცინაციისა და ნებისმიერი სხვა გზით.** ამ ორგანიზაციის პირველ პრეზიდენტად 1948 წელს დანიშნეს როკფელერის თანამებრძოლი და უახლოესი მეგობარი **ბროკ ჩისჰოლმი.**

აი მისი ციტატა: **„მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბებამდე რომ მივიდეთ, საჭიროა, ადამიანების ცნობიერებიდან განვდევნოთ მათი ინდივიდუალურობა, ოჯახური ტრადიციებისადმი ერთგულება, ეროვნული პატრიოტიზმი და რელიგიური დოგმები... განადგურება ცნებებისა — „ჭეშმარიტება“ და „სიცრუე“, რომლებიც ბავშვის აღზრდის საფუძველია, უფროსების გამოცდილებისადმი რწმენის შეცვლა რაციონალური აზროვნებით — აი შორეული მიზნები, ...რომლებიც საჭიროა ადამიანის ქცევების შესაცვლელად“.**

ეს არის 1948 წლის მემორანდუმი, შემდეგ იყო ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების 1974 წლის მემორანდუმი:

**„პოლიტიკა ხალხის განსახლების სფეროში ძალიან მნიშვნელოვანი ხდება აშშ-ის ეკონომიკური ინტერესებისთვის. უნდა შეიქმნას სოციალური და ფსიქოლოგიური წინამძღვრები შობადობის თითქოსდა სტიქიურად შესამცირებლად... ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენი მოღვაწეობა განვითარებადმა ქვეყნებმა არ აღიქვან, როგორც ამ ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული განვითარებული ქვეყნის პოლიტიკა“.**

ამ მემორანდუმის შემდეგ დაიწყო ჟურნალ „ფლეიბოი“-ს გამოცემა, რომელმაც ხელი მიჰყო მორალის განადგურებას. აი ეს მომავალი იწყება დღეს.

ამ ყველაფრის პარალელურად მიმდინარეობს შობადობის შემცირება მასობრივ ცნობიერებაში ისეთი წარმოდგენების ჩანერგვით, რომ უარყო გამრავლება ბუნებრივი გზით. ეს არის ლგბტ და სხვ. უკვე თითქმის ყველაფერი შეიცვალა და ეს, ასე ვთქვათ, დაგვიანებული მზერაა უკან, ჩვენ კი წინ უნდა ვიყურებოდეთ და ვქმნიდეთ დღის წესრიგს, თუ გვსურს, ვიყოთ დიდი ქვეყანა, როგორიც ყოველთვის ვიყავით“.


მიხეილ კოვალჩუკი

**«წარმოიდგინეთ ასეთი რამ: ვიღებთ ხელოვნურ საშვილოსნოს, როგორც წიწილების გამოსაყვან ინკუბატორს, შემდეგ ხელოვნური განაყოფიერების სინჯარიდან მასში ჩავნერგავთ იმას, რაც მოგვესურვება, გენომური რედაქტირების ტექნოლოგიის გამოყენებით შევუკვეცავთ ფუნქციებს და მივიღებთ ადამიანს, რომელსაც მხოლოდ მოსამსახურის ფიზიკურ-ფსიქიკური შესაძლებლობები ექნება. დღეს ეს შესაძლებელია და ეს აბსოლუტური ფაქტია!»**


ძმები ჯონ ფოსტერ და ალან დალესები


ბროკ ჩისჰოლმი







**Youtube.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„თავის დროზე ჟიუტად მთავაზობდნენ მოსკოვისთვის სტალინოდარის დარქმევას. მე წინააღმდეგი ვიყავი. კაგანოვიჩი მთავაზობდა. ასე ამბობდა: „მხოლოდ ლენინიზმი არ არსებობს, სტალინიზმიც არსებობს!“ სტალინს ძალიან ეუხერხულებოდა“, — იხსენებდა ვიაჩესლავ მოლოტოვი მწერალ ფელიქს ჩუევთან საუბარში 1970 წელს.**

**ახლოვდება 21 დეკემბერი — სტალინის დაბადების დღე. ვიფიქრე, სტალინზე განსხვავებული მასალა უნდა მოვამზადო-მეთქი. პირველი თემა, რომელიც მომაფიქრდა, იყო „ჩემი სტალინი“. უცბად შევცბი — ვინ მომაკუთვნა მე სტალინი? მეორე ვარიანტად განვიხილე „ჩემი თვალით დანახული სტალინი“ და ესეც ზედმეტად ჩავთვალე — სტალინისთვის თვალი არასოდეს მომიკრავს. როდესაც რომელიმე დოკუმენტს ან საარქივო მასალას ვკითხულობ, ძალაუნებურად წარმოვიდგენ, როგორ აწერდა სტალინი ამა თუ იმ დოკუმენტს რეზოლუციას. მეც ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, მკითხველისთვის ჯერ თვითონ სტალინის აზრი გამეცნო საკუთარ თავზე, როგორ ხედავდა ის სტალინს, და მერე ჩემი თვალსაზრისი წარმომედგინა.**

# სტალინი ჩემი წარმოდგენით



**ფოიხტვანგერთან საუბარში სტალინმა თქვა, რომ თავისი 55 წლის იუბილის აღნიშვნა აკრძალა. ეს ასეც იყო. ძველი ბოლშევიკების კავშირის წერილს, რომელშიც ამ იუბილის პროპაგანდისტულ კამპანიად გამოყენებაზე იყო საუბარი, სტალინმა დაადო რეზოლუცია: «წინააღმდეგი ვარ, რადგან მსგავსი წამოწყებები «პიროვნების კულტის» გაძლიერებას უწყობს ხელს**

იესოსთან ერთად იშვა იუდაც. სადაც სიკეთეა, იქვეა ბოროტებაც, სადაც სიცოცხლეა, იქ არის სიკვდილიც! რატომ არ მარცხდება იუდა, როდესაც მსოფლიოს ყველა ღვთისმადიდებელი ადამიანი წყევლის მას? ვფიქრობ, უფალი „კოაბიტაციაშია“ იუდასთან. მათ სძულთ ერთმანეთი, მაგრამ ერთად ცხოვრობენ და ერთად საქმიანობენ — „სიკეთის თესლი იხარებს, დადო თუნდ სიპსა ქვაზედა“; მაშინ რატომ არ ხარობს ნოყიერ ნიადაგზე უფრო კარგად სიკეთის თესლი და არ ახრჩობს ბოროტების თესლს, რად იფურჩქნება და მძლავრობს ბოროტება? — როგორც ჩანს, ესეც ურთიერთკავშირშია. ჩვენმა სისხლმა და ხორცმა, ბრძენმა **ვაჟამ** აკი საქვეყნოდ განაცხადა: „შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“.

სტალინი ღმერთისა და ადამიანის ერთობლივი მცდელობის შედეგი უნდა იყოს, რომელმაც მიზნად დაისახა, თავის სიცოცხლეშივე საზოგადოებაში ნაწილობრივ დააკანონა და მომავალ თაობებს გზა გაუკაფა ქრისტეს ათი მცნების სრულად ასათვისებლად. თავმდაბლობა, გამბედაობა, შრომისმოყვარეობა, ცოდნა და მიზნისკენ დაუოკებელი სწრაფვა საზოგადოებას ჩაუნერგა, როგორც ახალი ცხოვრების აშენების ძირითადი პრინციპი. ახლა კი ვნახოთ, ვინ იყო სტალინი სტალინის შეფასებით.

**საახალწლო სუფრაზე გეორგიევსკის დარბაზში, სადაც, როგორც წესი, ყოველთვის მოლოტოვი თამადობდა, სტალინმა პირველი სადღეგრძელოს ნებართვა ითხოვა, შემდეგ კი სერიოზულად წარმოთქვა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, ხალხთა მამისა და მასწავლებლის, გენიოსის — იოსებ ბესარიონის ძე სტალინის სადღეგრძელო: — მოდი, მეგობრებო, ეს იყოს ჩვენი ბელადის პირველი და ბოლო სადღეგრძელო ამ წელიწადში. სუფრის არც ერთმა წევრმა ტაში არ დაუკრა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სტალინს სიტყვა „ჩაუვარდა“.**

უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება სტალინის გაღიზიანებისა მისი განდიდების გამო, მას არ ხიბლავდა ქება-დიდება. როდესაც კატეგორიულად იუარა გენერალისიმუსის წოდება, განაცხადა: **„რას მახარბებთ ამ მაღალ წოდებას, განა ჩან კაიშიც გენერალისიმუსი არ არის?“**

ერთ-ერთ საზეიმო სხდომაზე, რომელზეც გამომსვლელთა გადაჭარბებულმა ქებადიდებამ ძალიან შეაწუხა, სტალინმა დასკვნით სიტყვაში თქვა:

**„ამხანაგებო, უნდა გითხრათ, რომ იმ ქების ნახევრიც არ დამიმსახურებია, რომელიც ჩემი მისამართით დღეს აქ გაისმა. როგორც გაირკვა, ოქტომბრის გმირიც მე ვარ, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ხელმძღვანელიც, სამინისტროების წინამძღოლიცა და სასწაულმოქმედიც კი. ეს ყველაფერი სისულელეა, ამხანაგებო, და საჭირო არ არის გადაჭარბება. ასეთი ტონით, ჩვეულებრივ, გარდაცვლილი რევოლუციონერის პატივსაცემად, დაკრძალვისას გამოსასალმებელ სიტყვას ამბობენ“.**

თუ ასე წუხდებოდა სტალინი თავისი ქება-დიდების მოსმენით, რატომ არ აკრძალა კანონის ძალით? ამ კითხვაზე პასუხი შეგვიძლია ამოვიკითხოთ ცნობილი გერმანელი მწერლის, **ლიონ ფოიხტვანგერისა** და სტალინის საუბარში, რომელიც 1937 წლის 8 იანვარს გაიმართა.

**ფოიხტვანგერი:** — სულ 4-5 კვირაა, რაც აქ ვიმყოფები. მოგახსენებთ ჩემს ერთ-ერთ შთაბეჭდილებას: თქვენ მიმართ პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვის რამდენიმე ფორმა ცოტა გადაჭარბებულად და უგემოვნოდ მეჩვენება. ხომ არ არის ეს თქვენთვის ზედმეტი ტვირთი?

**სტალინი:** — თუ რომელიმე მათგანს ზედმეტი აღფრთოვანება შევამჩნიე, დაბეჭდვას ვუკრძალავ. ათი ასეთი სიტყვიდან ცხრა მართლაც სრულიად უგემოვნოა და ისინი უსიამოვნებას მგვრის. გამართლებას არ ვცდილობ. ამის გამართლება არც შეიძლება. მინდა, ადამიანურად აგიხსნათ, საიდან მოდის ჩემი პიროვნების მიმართ ასეთი ყოვლისმომცველი, უკვე მომაბეზრებელი აღფრთოვანება. როგორც ჩანს, ქვეყანაში ისეთი დიდი ამოცანა გადაწყდა, რომლის გამოც თაობები საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ. ესენი იყვნენ ფრანგი, ინგლისელი და გერმანელი რევოლუციონერი სექტანტები, ბაბუვისტები და გებისტები. ექსპლუატაციისგან გათავისუფლებამ ადამიანებში, ცხადია, უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია. ადამიანები ძალიან ბედნიერი არიან, რომ ექსპლუატაციისგან გათავისუფლდნენ და არ იციან, ეს სიხარული სად წაიღონ. ექსპლუატაციისგან გათავისუფლება ძალიან დიდი საქმეა და მასები ამ მოვლენას თავისებურად აღნიშნავენ. ამ ყველაფერს მე მომაწერენ, რაც, რა თქმა უნდა, მართალი არ არის, რა შეუძლია ერთ ადამიანს? — ისინი ჩემში კოლექტიურ კონცეფციას ხედავენ და ჩემ გარშემო ალმაფრენის კოცონს აჩაღებენ.

**ფოიხტვანგერი:** — როგორც ადამიანი, რომელიც სსრკ-ს თანაუგრძნობს, ვხედავ და ვგრძნობ, რომ თქვენ მიმართ გამოვლენილი სიყვარული და პატივისცემა სრულიად გულწრფელი და ელემენტარულია. სწორედ იმიტომ, რომ ასე უყვარხართ და პატივს გცემენ, არ შეგიძლიათ, ალმაფრენის ამ ფორმით გამოხატვა ერთი სიტყვით შეაწყვეტინოთ?

**სტალინი:** — რამდენიმეჯერ ვცადე ამის გაკეთება, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ეუბნები, რომ ცუდია, ასე არ ვარგა, ადამიანები კი ფიქრობენ, რომ ამას მოჩვენებითი მოკრძალებით ვეუბნები. ჩემი 55 წლის იუბილის საზეიმოდ აღნიშვნა უნდოდათ. ცეკას მეშვეობით ამის აკრძალვა მოვითხოვე. დაიწყო საჩივრების შემოსვლა, რომ მათ ზეიმის ჩატარებასა და გრძნობების გამოხატვას ვუკრძალავდი, რომ საქმე ჩემში არ იყო. სხვები ამბობდნენ, რომ წესს ვარღვევდი. როგორ უნდა ამეკრძალა აღფრთოვანების გამოვლენა? ამის გაკეთება ძალით არ შეიძლებოდა, არსებობის გამოხატვის თავისუფლება. ამ დროს შეიძლება მეგობრულად სთხოვო. ეს უკულტუროების ერთგვარი გამოვლენაა. დროთა განმავლობაში მობეზრდებათ. რთულია, ადამიანს სიხარულის გამოვლენა აუკრძალო. გლეხებისა და მშრომელების მიმართ კაპიტალისტური მკაცრი ზომების გატარება საცოდაობაა. ადრე მემამულე და კაპიტალისტი დემიურგი იყო, მუშებსა და გლეხებს ადამიანებად არ თვლიდნენ. ახლა მშრომელებს კაბალა მოეხსნათ. ეს უდიდესი გამარჯვებაა! მემამულეები და კაპიტალისტები გავაძევეთ, მუშები და მშრომელები კი თავიანთი ცხოვრების ბატონ-პატრონები არიან. ამის გამო სიხარულს კუნტრუშით გამოხატავენ. ჩვენში ხალხი ზოგად კულტურას ჯერ კიდევ ჩამორჩება, ამიტომ აღტაცების გამოხატვა ასე გამოსდით. კანონითა და აკრძალვით აქ ვერაფერს გავხდებით. შეიძლება სასაცილო ვითარებაში აღმოვჩნდეთ. საზღვარგარეთ მყოფ ზოგიერთ ადამიანს ეს აღიზიანებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერაფერს გავაწყობთ. კულტურას მაშინვე ვერ ვეზიარებით. ამ სფეროში ბევრს ვმუშაობთ. მაგალითად, 1935-დან 1936 წლამდე სხვადასხვა ქალაქში ორი ათასზე მეტი სკოლა ავაშენეთ. ყველანაირად ვცდილობთ კულტურის ამაღლებას, მაგრამ შედეგებს, ალბათ, 5-6 წლის შემდეგ მოვიმკით. კულტურული აღმავლობა ნელი ტემპით მიმდინარეობს.

**ფეიხტვანგერი:** — მე, მუშებისა და გლეხების მხრიდან გამოვლენილ სიყვარულსა და პატივისცემაზე კი არა, სხვა შემთხვევებზე ვსაუბრობ. სხვადასხვა ადგილას გამოფენილი თქვენი ბიუსტების უმეტესობა ულამაზოდ გამოიყურება, ზოგი ცუდი ნახელავია.

**სტალინი:** — მე ფართო მასები ვიგულისხმე და არა სხვადასხვა ბიუროკრატიული დაწესებულება. **რაც შეეხება ბიუროკრატებს, არ შეიძლება ვთქვათ, რომ მათ გემოვნება არ აქვთ. ეშინიათ, თუ სტალინის ბიუსტი არ ექნებათ, მათ ან გაზეთი, ან უფროსი გალანძღავს, ან ვინმე მნახველს გაუკვირდება. ეს კარიერიზმის სფეროა. ბიუროკრატების თავისებური თავდაცვაა: ხელი რომ არ ახლონ, სტალინის ბიუსტი აუცილებლად უნდა გამოჭიმონ.** ყველა პარტიას, რომლებიც იმარჯვებენ, მაშინვე ეტმასნებიან უცხო ელემენტები, კარიერისტები. ისინი ცდილობენ, თავიანთი თავი მიმიკრიის პრინციპით დაიცვან — დგამენ ბიუსტებს, წერენ ლოზუნგებს, რომელთა შინაარსის თვითონაც არ სჯერათ. რაც შეეხება ცუდ ნამუშევარს, ეს მხოლოდ განზრახ კი არ ხდება (ვიცი, ასეც ხდება ხოლმე), არამედ არჩევანის გაკეთების არცოდნის გამოც. მაგალითად, პირველი მაისის დემონსტრაციებზე მინახავს ჩემი და ჩემი მეგობრების პორტრეტები, რომლებზეც ეშმაკებს ვგავართ. ადამიანებს ისინი ალმაფრენით მოაქვთ და არ ესმით, რომ ეს პორტრეტები არ ვარგა. არ შეიძლება, კარგი ბიუსტების ჩამოსხმის ბრძანება გასცე. ეშმაკმაც დალახვროს! ასეთი რაღაცებისთვის დრო არ გვაქვს. ჩვენ სხვა საქმე და საზრუნავი გვაქვს“.

ასე რომ, **„კულტის“ წარმოშობას ორი წყარო ჰქონდა: პირველ რიგში, ახალი მთავრობის მიმართ გამოვლენილი მადლიერების გულწრფელი განცდა, რომელიც მოსახლეობის ფართო მასების მხრიდან სტალინის პიროვნებასთან იყო პერსონიფიცირებული. მასთან ბრძოლა ძალიან რთულია. თვალსაჩინო მაგალითისთვის ასეთ რამეს შემოგთავაზებთ: საკუთარ დაბადების დღეზე სცადეთ და თქვენი მისამართით წარმოთქმული მეგობრული ქება-დიდება ჩაახშეთ. ეს რბილად და დელიკატურადაც რომ სთხოვოთ, მაინც არაფერი გამოგივათ. თუ დაჟინებით და მკაცრად მოითხოვთ, მეგობრებთან კამათის სერიოზულ საფრთხეს შექმნით.**

როგორც უნდა ყოფილიყო, სტალინი თავისი კულტის წინააღმდეგ ბრძოლას ყველანაირად ცდილობდა. 1930-იან წლებში, კერძო წერილებსა და მითითებებში, მხატვრული ლიტერატურის, კინოსცენარისტთა და რედაქტორთა პარტიული პუბლიცისტიკის ცენზორის რანგში, არაერთგზის ურჩევდა, რომ სიტყვა „ბელადი“ შეეცვალათ „ცენტრალური კომიტეტით“, ანუ „კოლექტიური ბელადის“ მეტაფორით.

მაგალითად, ახალგაზრდა დრამატურგის, **ალექსანდრე აფინოგენოვის,** პიესაში „ტყუილი“ (1933წ.) ორ გმირს შორის ასეთი დიალოგი იყო: „ჩვენი ცენტრალუ- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „იოსებ ბესარიონოვიჩი, — წერდა დიმიტროვი, — არ დაგვეთანხმდა, მიმართვაში დაგვეტოვებინა სახელები მარქსი-ენგელსი-ლენინი-სტალინი და მხოლოდ მარქსი-ენგელსი-ლენინი დაგვეტოვებინა“. კიდევ უამრავი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ვინც კი სტალინს შეხვედრია, თითქმის ყველა ავტორი თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ სტალინი საკუთარი პიროვნების განდიდებისკენ არასდროს ისწრაფვოდა.

◀ რი კომიტეტის შესახებ გელაპარაკები, ბელადზე გელაპარაკები, რომელიც ჩვენ მიგვიძღვის, რომელმაც ბევრ ცრუ ბელადს ნიღაბი ჩამოხსნა. იმ ადამიანზე გელაპარაკები, რომლის ძალაც გრანიტის სიმტკიცის ტოლფასია და ასობით მილიონი ადამიანის ნდობით არის განმტკიცებული. მისი სახელი მსოფლიოს ყველა ენაზე ბოლშევიკური ციხესიმაგრის სიმბოლოდ ისმის. და ეს ბელადი უძლეველია“.

როცა ეს პიესა სტალინთან აღმოჩნდა, ტექსტში შესწორებები შეიტანა და საბოლოოდ ასე ჩამოაყალიბა: **„ჩვენი ცენტრალური კომიტეტის შესახებ გეუბნები, რომელიც ჩვენ მიგვიძღვის, რომელმაც ბევრ ცრუ ლიდერს ნიღაბი ჩამოხსნა. რომლებსაც უსაზღვრო შესაძლებლობები ჰქონდათ და ყველა გაკოტრდა. საბჭოთა ქვეყნის პარტიის იმ ცენტრალური კომიტეტის კომუნისტებზე გესაუბრები, რომელთა ძალაც მილიონობით ადამიანის ნდობის საფუძველზე გრანიტივით არის განმტკიცებული. მისი სახელი მსოფლიოს ყველა ენაზე ბოლშევიკური ციხესიმაგრის სიმბოლოდ ისმის და ეს კოლექტიური ბელადი უძლეველია“.** შესწორებას თან კომენტარი ახლდა:

„P.S. სიტყვა „ბელადს“ ტყუილად უწევთ ტირაჟირებას. ეს ცუდია და არც ისე მისაღები. საქმე ბელადში კი არა, კოლექტიურ ხელმძღვანელშია. ი. სტალინი“.

1936 წელს **სერგო ორჯონიკიძის** შესახებ ბიოგრაფიული შტრიხები დაიბეჭდა, რომელიც **მამია ორახელაშვილის** მიერ იყო შედგენილი. სტალინმა წიგნი წაიკითხა და თითქმის ყველა გვერდზე შენიშვნა დატოვა:

„პროლეტარული რევოლუციის ამ მძიმე პერიოდში, როცა ბევრს შეეშინდა, როდესაც ისინი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, ცეკას ხელმძღვანელის თანამდებობაზე მყარად რჩებოდა ამხანაგი სტალინი. ამხანაგი ორჯონიკიძეც მის გვერდით იყო და ლენინური ლოზუნგებისთვის ენერგიულ და წარმოუდგენელ ბრძოლას ხელმძღვანელობდა“.

მოცემული ციტატა სტალინის მიერ ხაზგასმულია და მინდორზე წითელი ფანქრით აქვს მიწერილი: „ცეკა? პარტია?“

სხვა ადგილას საუბარი იყო 1917 წლის მე-6 ყრილობასა და იმაზე, როგორ იმალებოდა ლენინი: „დღის წესრიგში მდგარი საკითხებისთვის საჭირო მითითებებს იძლეოდა. ლენინის დირექტივების მისაღებად ორჯონიკიძე სტალინის დავალებით ლენინთან ორჯერ გაემგზავრა“. სტალინის შენიშვნა: „ცეკა სად არის?“

1937 წლის 27 იანვარს ფილმ „დიადი მოქალაქის“ სცენარის წაკითხვის შემდეგ სტალინმა საბჭოთა კინემატოგრაფის ხელმძღვანელ **ბორის შუმიაცკის** გაუგზავნა წერილი, რომელშიც ბევრ კრიტიკულ შენიშვნასთან ერთად ეწერა: „სტალინის სახელის ხსენება უნდა გამოირიცხოს. მის ნაცვლად უნდა ჩაისვას პარტიის ცეკა“.

ფოიხტვანგერთან ზემომოყვანილ საუბარში **სტალინმა თქვა, რომ თავისი 55 წლის იუბილის აღნიშვნა აკრძალა. ეს ასეც იყო. ძველი ბოლშევიკების კავშირის წერილს, რომელშიც ამ იუბილის პრო-**



სტალინი და ლიონ ფოიხტვანგერი

სტალინი და გიორგი დიმიტროვი



### ყველა პარტიას, რომლებიც იმარჯვებენ, მაშინვე ეტმასნებიან უცხო ელემენტები, კარიერისტები. ისინი ცდილობენ, თავიანთი თავი მიმიკრიის პრინციპით დაიცვან — დგამენ ბიუსტებს, წერენ ლოზუნგებს, რომელთა შინაარსის თვითონაც არ სჯერათ

**პაგანდისტულ კამპანიად გამოყენებაზე იყო საუბარი, სტალინმა დაადო რეზოლუცია: „წინააღმდეგი ვარ, რადგან მსგავსი წამოწყებები „პიროვნების კულტის“ გაძლიერებას უწყობს ხელს“.**

1934 წლის 19 დეკემბერს პოლიტბიურომ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: „პატივი ვცეთ სტალინის თხოვნას იმის შესახებ, რომ 21 დეკემბერს მისი დაბადების 55 წლისთავის აღსანიშნავად არ დავუშვათ არანაირი ზეიმი და ღონისძიება გაზეთებსა და საზოგადოების შეკრების ადგილებში“. ეს გადაწყვეტილება თბილისშიც გამოიგზავნა, დაიბეჭდა „პრავდაში“, „იზვესტიასა“ და სხვა გაზეთებში.

1937-1938 წლებში არაერთხელ გამოუთქვამთ სურვილი, მოსკოვისთვის სახელი შეეცვალათ და მისთვის სტალინოდარი დაერქმიათ. ასეთი წინადადებება 1937 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-17 ყრილობაზეც გაისმა.

ნაწყვეტი **დ. ზაიცევის** წერილიდან, რომელიც სსრკ-ის შინაგან საქმეთა მინისტრ **ნიკოლოზ ეჟოვს** მისწერა 1937 წლის 28 დეკემბერს:

„დღევანდელი სოციალისტური მოსკოვი, რომელიც მომავალი კომუნისტური საზოგადოების აკვანია, სტალინის დიდებული ეპოქის ისტორიული ნაკვალევი უნდა გახდეს. **სტალინის გენია კაცობრიობისთვის ის საჩუქარია, რომელიც მისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე ასავლელი გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად იქცევა, ამიტომ ღრმად ვარ დარწმუნებული, როგორც ჩვენი ეპოქის, ისე მომავალი საუკუნეების დედამიწის მოსახლეობა დიდი მადლიერებით მიიღებს მოსკოვისთვის სახელის შეცვლას და მისთვის სტალინოდარის დარქმევას. სტალინოდარი ამაყად და საზეიმოდ ითქმება მრავალი ათასწლეულის განმავლობაში, დღევანდელი თაობის გმირული გამარჯვებების სიამაყეს საუკუნეების განმავლობაში შეინახავს და კომუნიზმის ერთგული მილიონობით ადამიანი ამ ზეიმში თავისი ბრძოლისა და შრომის შედეგს დაინახავს.** ჩვენი სამშობლოს თითოეული მოქალაქე კი იმით იამაყებს, რომ სტალინის დიადი სახელი ყველა იმ ქალაქის დაფებზე იარსებებს, რომლებშიც კი მსოფლიო კომუნიზმის აკვანი დარწეულა“.

მსგავსი მიმართვების საფუძველზე ეჟოვის რეფერენტებმა მოსკოვისთვის სახელის შეცვლის თაობაზე მოამზადეს პროექტი უმაღლეს საბჭოში წარსადგენად. თავდაპირველად ის ცეკას პოლიტბიუროსა და სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გაგზავნეს. იოსებ სტალინი მათ ნებას არ დაჰყვა. **მიხეილ კალინინმა** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეატყობინა, რომ სტალინი კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მოსკოვი მოსკოვად დარჩა.

**„თავის დროზე ჯიუტად მთავაზობდნენ მოსკოვისთვის სტალინოდარის დარქმევას. მე წინააღმდეგი ვიყავი. კაგანოვიჩი მთავაზობდა. ასე ამბობდა: „მხოლოდ ლენინიზმი არ არსებობს, სტალინიზმიც არსებობს!“ სტალინს ძალიან ეუხერხულებოდა“, — იხსენებდა ვიაჩესლავ მოლოტოვი მწერალ ფელიქს ჩუევთან საუბარში 1970 წელს.**

სოციალისტური ბულგარეთის მომავალი ხელმძღვანელის, **გიორგი დიმიტროვის,** დღიურში არსებობს ჩანაწერი **კლიმენტ ვოროშილოვის** კრემლის ბინაში ოქტომბრის სოციალსტური რევოლუციის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ვახშმის შესახებ. დიმიტროვმა სადღეგრძელოს სათქმელად სიტყვა ითხოვა, რათა სტალინზე, როგორც ლენინის საქმეების გამგრძელებელზე, თავისი აზრი განევრცო:

**„დიმიტროვი:** — არ შეიძლება ლენინზე საუბარი, თუ მასთან ერთად სტალინსაც არ ვახსენებთ.

**სტალინი:** — დიმიტროვს პატივს ვცემ. მეგობრები ვართ და მეგობრებად დავრჩებით, მაგრამ მას არ ვეთანხმები. მარქსისტულადაც კი არ გამოუვიდა. გამარჯვებისთვის შესაბამისი პირობებია საჭირო, ბელადები კი ყოველთვის მოიძებნებიან“.

1938 წლის 16 თებერვალს სტალინმა საბავშვო გამომცემლობას შემდეგი წერილი მისწერა:

„ამხანაგებს — ანდრეევსა და სმირნოვას (ავტორს წიგნისა „მოთხრობები სტალინის ბავშვობაზე“)!

გადაჭრით ვამბობ უარს, რომ დაიბეჭდოს „მოთხრობები სტალინის ბავშვობაზე“. წიგნი სავსეა როგორც არასწორი მასალით, ისე გადაჭარბებული და დაუმსახურებელი ქება-დიდებით. შეიძლება ეს ყველაფერი კეთილსინდისიერი ტყუილია, მაგრამ ავტორი მოტყუვდა, ფაქტი ფაქტად რჩება, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი ისაა, რომ წიგნს აქვს ტენდენცია, საბჭოთა ბავშვების (და, საერთოდ, ადამიანების) ცნობიერებაში პიროვნების, ბელადებისა და უცოდველი გმირების კულტი ჩამოაყალიბოს. ეს საშიში და საზიანოა. გმირებისა და ბრბოს თეორია არა ბოლშევიკური, არამედ ესერული თეორიაა. **გმირი ხალხს ქმნის, ბრბოდან ხალხი გამოჰყავს, — ამბობენ ესერები. ხალხი ქმნის გმირებს, — პასუხობენ ბოლშევიკები ესერებს. ასე რომ, წიგნი ესერების წისქვილზე ასხამს წყალს. ყოველი ასეთი წიგნი ესერების საქმეს ემსახურება და ჩვენს ბოლშევიკურ საერთო საქმეს ყოველთვის საფრთხეს შეუქმნის. გირჩევთ, წიგნი დაწვათ“.**

კიდევ ერთი ჩანაწერი დიმიტროვის დღიურიდან, რომელიც 1939 წლის საპირველმაისო მიმართვას ეხება. სტალინის შეკითხვას, წაიკითხა თუ არა დიმიტროვმა მიმართვა, მან უპასუხა, რომ ბოლო რედაქციის შემდეგ არ წაუკითხავს. სტალინმა სთხოვა, ყურადღება მიექცია ზოგიერთი ნაწყვეტისთვის, რომლებშიც მისი პიროვნების ბევრი ქება იყო (გაუმარჯოს სტალინს! სტალინი მშვიდობაა! სტალინი კომუნიზმია! სტალინი ჩვენი გამარჯვებაა!) და განუცხადა: **„მანუილსკი ქვეშქვეშაა! ის ტროცკისტი იყო! ჩვენ ის იმისთვის გავაკრიტიკეთ, რომ, როცა პარტიაში ტროცკისტი ბანდიტების მოსაშორებლად წმენდა მიმდინარეობდა, ჩუმად იყო, სიტყვითაც არ გამოსულა, პირიქით, თავს გვაწონებდა. ეს ამბავი რაღაც საეჭვოა! „პრავდაში“ დაბეჭდილი სტატია „სტალინი და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა“ ზიანის მომტანი და პროვოკაციული სტატიაა“.**

„იოსებ ბესარიონოვიჩი, — წერდა დიმიტროვი, — არ დაგვეთანხმდა, მიმართვაში დაგვეტოვებინა სახელები მარქსი-ენგელსი-ლენინი-სტალინი და მხოლოდ მარქსი-ენგელსი-ლენინი დაგვეტოვებინა“. კიდევ უამრავი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ვინც კი სტალინს შეხვედრია, თითქმის ყველა ავტორი თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ სტალინი საკუთარი პიროვნების განდიდებისკენ არასოდეს ისწრაფვოდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)




## ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

უაზრო კვოტები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კალიფორნიაში უკვე არსებობს კანონი, რომლის თანახმად თითოეული კომპანიის დირექტორთა საბჭოში უნდა იყოს, სულ ცოტა, ერთი ქალი. ახლა ქალების კვოტას დაემატა ნაციონალური და სექსუალური უმცირესობების კვოტები. ეს ეხება ათასობით კომპანიას, რომლებიც ამ კვოტების გარეშე მშვენივრად მუშაობდნენ. ბევრი ბიზნესმენი ვარაუდობს, რომ კვოტების უაზრო წესები შტატის ეკონომიკას დააზარალებს.**

# ამერიკელ მილიარდერებს «რევოლუციონერი» შავკანიანები და გეები კომპანიების დირექტორთა საბჭოებში შეჰყავთ

**აშშ-ში პოლიტკორექტულობისთვის ბრძოლამ ახალ სიმაღლეებს მიაღწია. მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანებმა, ბანკებისა და კორპორაციების ხელმძღვანელებმა ერთმანეთის მიყოლებით აიტაცეს რადიკალური მემარცხენე რიტორიკა და შემოაქვთ სიმბოლური ზომები დამცირებულთა და ჩაგრულთა, შავკანიანთა და სექსუმცირესობის უფლებებისთვის ბრძოლაში. მაგრამ რა რეალური მოტივები დგას ამ ლამაზი ჟესტების უკან?**

აშშ-ის ერთ-ერთ წამყვან შტატ კალიფორნიაში დაიწყო მასშტაბური სასამართლო დავები, რომელთა გაშუქებასაც თავს არიდებენ ამერიკული მედიასაშუალებები. კონფლიქტის არსი საკმაოდ არაპოლიტკორექტულია. ადგილობრივი ბიზნესთანამეგობრობის წარმომადგენლებმა შტატის ხელისუფლება აავსეს სარჩელებით შემოდგომაზე მიღებული კანონის გამო, რომელიც ავალდებულებს შტატში მომუშავე თითოეულ კომპანიას, დირექტორთა საბჭოში ჰყავდეს უმცირესობების, სულ ცოტა, 2-3 წარმომადგენელი.

**კალიფორნიაში უკვე არსებობს კანონი, რომლის თანახმადაც თითოეული კომპანიის დირექტორთა საბჭოში უნდა იყოს, სულ ცოტა, ერთი ქალი. ახლა ქალების კვოტას დაემატა ნაციონალური და სექსუალური უმცირესობების კვოტები. ეს ეხება ათასობით კომპანიას, რომლებიც ამ კვოტების გარეშე მშვენივრად მუშაობდნენ. კალიფორნია აშშ-ის ყველაზე მდიდარი შტატების სიაშია, მისი ეკონომიკა მსოფლიოს ყველაზე აყვავებული ეკონომიკებს შორისაა. ბევრი ბიზნესმენი ვარაუდობს, რომ კვოტების უაზრო წესები შტატის ეკონომიკას დააზარალებს.**

გუბერნატორ **გევინ ნიუსონის** მიერ ხელმოწერილ კანონთან იურიდიული პრეტენზიებიც არსებობს — ის ზღუდავს მეწარმეთა თავისუფლებას. კიდევ უფრო მეტი კითხვაა ლოგიკური, მაგალითად, **დირექტორთა საბჭოებში უმცირესობების რამდენიმე წარმომადგენლის ყოფნა როგორ შეცვლის მათი მილიონობით თანამოძმის რეალურ მდგომარეობას? როგორ შეესაბამება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს კანონმდებელთა ფსევდოდემოკრატიული ინიციატივები? როგორ შეძლებენ კომუნისტებად და ინტერნაციონალისტებად თავის წარმოჩენას მილიარდობით შემოსავლის მქონე დიდი კორპორაციების ხელმძღვანელები?**

კალიფორნიული სასამართლო დავების პარალელურად ამერიკულმა ბირჟამ — NASDAQ-მა გამოაცხადა, რომ 2021 წელს თავის მოედანზე არ შეუშვებს კომპანიებს, თუკი მათ დირექტორთა საბჭოებში არ იქნება უმცირესობის 2 წარმომადგენელი, მაგალითად, ქალი და გეი ან ინვალიდი და ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი. მცირე და ღარიბი კომპანიებისთვის დაშვებულია გამონაკლისი — მათ შეუძლიათ, ჰყავდეთ ორი ქალი. **იმ კომპანიებმა, რომლებიც მოხვდნენ ჩამონათვალში, დირექტორთა საბჭოში ცვლილებები უნდა შეიტანონ. სხვაგვარად, მათ მოუწევთ პასუხის გაცემა კითხვაზე — რატომ ხართ გეების გარეშე?**

აქვს კი NASDAQ-ს ასეთი უფლებამოსილება? რა თქმა უნდა. ელექტრონული ბირჟა ძალიან მკაცრად ადევნებს თვალყურს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შემოსავლებს. როგორც კი რომელიმე კომპანია ველარ დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, მას მყისვე შლიან სიიდან. ახლა ფინანსურ მოთხოვნებს დაემატა პოლიტიკურიც. მართალია, კომპანიებს შეუძლიათ იჩივლონ, რომ მოთხოვნა არაკონსტიტუციურია, მაგრამ ბირჟის იურისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ყველა სასამართლო პროცესს მოიგებენ.

ეს ყველაფერი სიგიჟედ გამოიყურება, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. ბირჟები ბაზრის სტიქიურობის განსახიერებაა. კომპანიის ფინანსური მომხიბვლელობის გარდა იქ სხვა არაფერია. **რა ეკონომიკურ წარმატებას მოუტანს ფირმას, მაგალითად, შავკანიანი ლესბოსელი, თუ მას დირექტორთა საბჭოში შეიყვანს? რა გავლენას იქონიებს მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლების ან ტრანსგენდერების ყოლა კორპორაციაში აქციების კურსზე? კრიტიკოსებმა უკვე აღნიშნეს, რომ ეს ინიციატივა დამამცირებელია თვითონ უმცირესობის წარმომადგენლებისთვის.** ისინი შეიძლება მოხვდნენ დირექტორთა საბჭოში თავიანთი გენიალური მენეჯერული მონაცემების, შრომისმოყვარეობისა და საქმისადმი ერთგულების გამო, „მაგრამ მას ყოველთვის ზემოდან დახედავენ, როგორც ადამიანს, რომელმაც ადგილი კვოტის მიხედვით დაიკავა. დირექტორთა საბჭოს ნებისმიერ შავკანიან წევრზე იტყვიან: „ეს ზანგი დირექტორთა საბჭოდანაა". გეიზე კი იტყვიან: „ეს ის გეია", — ასე დასცინა NASDAQ-ის ინიციატივას ინტერნეტგამოცემა Washingtonexaminer-მა.

**აშშ-ში წლების განმავლობაში ეჭვის თვალით უყურებდნენ უმაღლესი თანამდებობის შავკანიან პირს. არასასიამოვნო კითხვების თავიდან აცილების მიზნით, შავკანიანი მმართველები ინვესტორებთან მოლაპარაკებებზე მიდიოდნენ თეთრკანიან მეგობართან ერთად, რომელიც აწარმოებდა კიდეც მოლაპარაკებას.**

ბირჟა NASDAQ-მა მოღვაწეობა დაიწყო 1970-იან წლებში. ეს იყო ვაჭრობის პირველი ელექტრონული სისტემა მსოფლიოში. ის ამბიციურ და არც ისე მდიდარ კომპანიებს, რომლებსაც არ შეეძლიათ ნიუიორკის ბირჟაზე ვაჭრობა, აქციებს ბირჟაზე გასვლის საშუალებას აძლევდა. აქ მოიფიქრეს და განახორციელეს პირველად IPO — აქციების პირველადი განთავსება.

**„ეს ბირჟა მრავალი წლის განმავლობაში იყო შესანიშნავად მომუშავე საბაზრო ინსტრუმენტი. აქ გამდიდრდნენ თანამედროვე კომპანიები — Star hucks-ი და Nettlix-ი,**



> **დირექტორთა საბჭოებში უმცირესობების რამდენიმე წარმომადგენლის ყოფნა როგორ შეცვლის მათი მილიონობით თანამოძმის რეალურ მდგომარეობას? როგორ შეესაბამება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს კანონმდებელთა ფსევდოდემოკრატიული ინიციატივები? როგორ შეძლებენ კომუნისტებად და ინტერნაციონალისტებად თავის წარმოჩენას მილიარდობით შემოსავლის მქონე დიდი კორპორაციების ხელმძღვანელები?**




**Moderna და Phizer-ი. უზრალოებამ და სიიაფემ მიიპყრო ისეთი კომპანიების ყურადღება, როგორებიც არის Mickrosoft-ი, Nvidia, Adode.**

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **NASDAQ-ი წარმატების სიმბოლო და მიზანი იყო თითოეული სტარტაპისთვის. დღეს კი ეს ნაკრძალია ბიზნესის ტიტანებისთვის. მათი კოლოსალური მოგება უკვე არა პატივისცემას, არამედ გაღიზიანებას იწვევს. მასები ეჭვობენ, რომ ამ მილიარდებს მათი ჯიბეებიდან ქაჩავენ, ამიტომ, თავიდან რომ აეცილებინა კანონიერი კითხვები ფულის წარმომავლობის შესახებ, ბირჟის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ყველაზე მოდური რიტორიკით შეიარაღებულიყო და გამოსულიყო ინიციატივით უმცირესობის დაცვის შესახებ.**

ეს ინიციატივა მოჰყვა საინვესტიციო ბანაკის, Goldman Sachs-ის, განცხადებას იმის შესახებ, რომ კერძო კომპანიების აქციების პირველად საჯარო გაყიდვას არ დაიწყებს, თუ მისი დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში არ იქნება უმცირესობის, სულ მცირე, 2 წარმომადგენელი. **Goldman Sachs-თან ამერიკულ საზოგადოებას ბევრი კითხვა დაუგროვდა ჯერ კიდევ 2007-2008 წლის კრიზისის პერიოდიდან. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ინვესტბანკის ხელმძღვანელობამ უძრავი ქონების ბაზარზე ფასების დაცემაზე ითამაშა და დიდძალი ფული გამოიმუშავა იპოთეკურ კრახზე, რომელმაც ბიძგი მისცა კრიზისს.**

დღეს კი ეკონომიკის სასტიკი კრიზისის ფონზე, რომლის ბენეფიციარები კვლავ დიდი ბანკები არიან, **დევიდ სოლომონი,** Goldman Sachs-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე სულ უფრო მეტ მემარცხენე ინიციატივებს აფრქვევს.

**ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს აშშ-ის უმდიდრესი მოქალაქეები ერთდროულად იქცნენ მარქსისტებად. პრაქტიკულად, ერთდროულად გამოვიდა თავისი ინიციატივით Facebook-იც. მიმდინარე წლის მაისში სოციალური ქსელის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ 20 მილიონ დოლარს გაიღებდა მცირე ბიზნესის დასახმარებლად.** საინტერესოა, რომ 2020 წლის მაისში აშშ-ში კარანტინი იყო გამოცხადებული და მცირე ბიზნესი, მათ შორის პატარა მაღაზიები, კაფეები და საპარიკმახეროები, რომელთა მფლობელები იყვნენ ქალები ან უმცირესობის წარმომადგენლები, მასობრივად კოტრდებოდა. სამაგიეროდ, მკვეთრად იმატებდა ინტერნეტვაჭრობა და Facebook-ის აქციების ფასი.

**ამ კორპორაციამ, პრაქტიკულად, გაანადგურა საქონლის წვრილი რეალიზაცია სამომხმარებლო ბაზარზე და მასთან ერთად მილიონობით ადამიანის საარსებო წყარო, ამიტომ სახალხო აღშფოთების ჩასაცხრობად 20 მლნ გადაუყარეს გაკოტრებულ მეწარმეებს — მოგებიდან უმნიშვნელო პროცენტი. ზუსტად ასე აძლევდნენ მილიონობით დოლარს ამა წლის ზაფხულში Black Lives Matter-ის წარმომადგენლებსაც მსოფლიოს უდიდესი კორპორაციები — Amazon-ით დაწყებული, Pokemon-ით დამთავრებული.** ამას თითქმის არ უმოქმედია აშშ-ის შავკანიან უმცირესობაზე. ის კვლავ განიცდის ტოტალურ უპერსპექტივობას, კორპორაციებმა კი ოდნავ გამოისწორეს იმიჯი.

მემარცხენე რიტორიკა, ბრძოლა დამცირებულთა და ჩაგრულთა უფლებებისთვის — ეს ყველაფერი გაოცებს თავისი ცინიზმით, როცა ისმის მილიარდერთა ბაგეებიდან. საინტერესოა, როდემდე მოითმენენ ამას დასავლეთის ხალხები.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

ასეთი საბჭოს შექმნის იდეა გაჩნდა 2016 წელს, რომში გამართული გლობალური ფორუმის შემდეგ, რომელზეც მსოფლიოს მსხვილი კომპანიების წარმომადგენელთა წინაშე პონტიფიკოსი სიტყვით გამოვიდა. საბჭოში, აგრეთვე, შედიან ისეთი კომპანიები, როგორებიც არიან IBM-ი, LENOVO, EY, MASTERCARD-ი, DUPUNT-ი, ALLIANZ SE, TUAA, STATE STREET CORPORATION-ი. ცოტა ხნის წინათ საბჭოს შეუერთდნენ: BANK OF AMERICA; BP; JONSON&JONSON-ი, SOLESFORCL და სხვ.

შეთქმულება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95






**რამდენიმე დღის წინათ ვატიკანმა პარტნიორული შეთანხმება გააფორმა რაღაც „საბჭოსთან ინკლუზიური კაპიტალიზმისთვის“, — ასეთი სათაურებით დაიბეჭდა წერილები დასავლეთის სხვადასხვა მედიასაშუალებაში. სინამდვილეში „საბჭო ინკლუზიური კაპიტალიზმისთვის“ პროექტია თვით ვატიკანისა, რომელიც მხარს უჭერს (დიდი ალბათობით, ეს ურთიერთმხარდაჭერაა) დიდ ფინანსურ ორგანიზაციებს, მათ შორის როკფელერების, როტშილდების, ფორდებისა და სხვა კლანების.**

# 27 მცველი: მსოფლიო ოლიგარქებმა ხალხების მართვის მეთოდს მიაგნეს

ასეთი საბჭოს შექმნის იდეა გაჩნდა 2016 წელს რომში გამართული გლობალური ფორუმის შემდეგ, რომელზეც მსოფლიოს მსხვილი კომპანიების წარმომადგენელთა წინაშე პონტიფიკოსი სიტყვით გამოვიდა. საბჭოში, აგრეთვე, შედიან ისეთი კომპანიები, როგორებიც არიან **IBM-ი, Lenovo, EY, Mastercard-ი, Dupunt-ი, Allianz SE, TUAA, State Street Corporation**-ი და სხვ.

გამოცემა Fortune-მ აღნიშნა, რომ ცოტა ხნის წინათ საბჭოს შეუერთდნენ **Bank of America; BP; Jonson & Jonson-ი, Solesforcl** და სხვები. აღსანიშნავია, რომ თვით გამოცემა საბჭოს მედიაპარტნიორია.

საბჭოს პრეზენტაციას, რომელიც 8 დეკემბერს გაიმართა, პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის გენერალური მდივანიც ესწრებოდა.

## მთავრობებისა და ხალხების მცველები?

საბჭოს ვებგვერდზე მითითებულია, რომ მის განკარგულებაშია 10,5 ტრილიონი დოლარი. 2,1 ტრილიონი დოლარი მონაწილე კომპანიების საბაზრო კაპიტალიზაციაა, ორგანიზაციებს ჰყავთ 200 მლნ მუშა-მოსამსახურე 163 ქვეყანაში. საბჭოს პირამიდის წვერში არის მმართველი სტრუქტურა, რომელსაც ეწოდება „მცველები“. ერთ-ერთი ასეთი „მცველია“ Bank of America-ს აღმასრულებელი დირექტორი **ბრაიან მოინიჰენი.** მისი აზრით, „კაპიტალიზმი იმისთვის არსებობს, რომ გააკეთოს მართებული რაღაცები, თუკი ის იმართება შესაბამისად“. სულ 27 ასეთი „მცველია“. აქ აუცილებელია, აღინიშნოს ძალიან საინტერესო „დამთხვევა“: მასონიზმში 27-ე საფეხური — ეს არის „ტაძრის მბრძანებელი“. ამ საფეხურზე ასვლისას ახალმა წევრებმა უნდა დაიცვან ტაძრის დოქტრინები და პრინციპები, აგრეთვე, თვალყური ადევნონ დაცვას განაწესისა, რომელსაც ადგენენ ორდენის უმაღლესი პირები. ამას გარდა, 27-ე საფეხურის მასონები, სავარაუდოდ, არიან თავისებური მოსამართლეები, რომლებსაც შეუძლიათ გაავრცელონ თავიანთი ძალაუფლება მთავრობებსა და ხელისუფლებებზე.

„მცველებს“ შორის არიან, აგრეთვე, Jonson&Jonson-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექს გოსკინი**, ეკონომისტი, თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გენერალური მდივანი **ანხელ გურია,** Visa inc-ის თავმჯდომარე **ალფრედ კელი,** კალიფორნიის შტატის ხაზინადარი **ფიონა მა,** როკფელერების ფონდის პრეზიდენტი **რაჯივ შაჰი,** ფორდის ფონდის პრეზიდენტი **დარენ უოლკერი,** ცნობილი ინვესტორი და მმართველი **მარკ ვაინბერგერი.**

**ლინ ფორესტერ დე როტშილდმა,** რომელიც Inclusive Capital Partners-ის დამფუძნებელი და მმართველია, განაცხადა, რომ „ეს საბჭო გაითვალისწინებს რომის პაპ **ფრანცისკეს** გაფრთხილებას და შეისმენს „დედამიწის ძახილსა და ღარიბთა ძახილს“ და საზოგადოების მოთხოვნებს ზრდის უფრო სამართლიანი და მდგრადი მოდელით უპასუხებს“.

## „დავოსი“, „მცველები“, ბილდერბერგის კლუბი – კულისებსმიღმა მსოფლიოს ერთობლივი გადაწყვეტილებები

საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპების განყოფილებაში ნათქვამია, რომ აუცილებელია მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს:

*** ყველა ადამიანისთვის თანასწორუფლებიანობის შესაძლებლობებით მიაღწიოს ცხოვრების აყვავებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, დამოუკიდებლად ისეთი პარამეტრებისა, როგორებიც არის სოციალურ-ეკონომიკური წარმოშობა, სქესი, ეთნიკური კუთვნილება, რელიგია ან ასაკი;**

*** სამართლიან შედეგებს მათთვის, ვისაც აქვს თანაბარი შესაძლებობები და მათ თანაბრად იყენებს;**

* სამართლიანობას თაობებს შორის, რათა ერთმა თაობამ არ გადატვირთოს პლანეტა და არ მიიღოს მოკლევადიანი სარგებელი, რომელიც გამოიწვევს ხანგრძლივვადიან გასავლებს მომავალი თაობების ხარჯზე; სამართლიანობას საზოგადოების იმ წევრების მიმართ, რომლებსაც გარკვეული გარემოებების გამო საშუალება არ აქვთ, სრულად ჩაერთონ ეკონომიკაში“.


ჰილარი კლინტონი და ლინ ფორესტერ როტშილდი

FORTUNE+TIME GLOBAL FORUM

საბჭოს მიერ დეკლარირებული მიზნები განსაცვიფრებლად ჰგავს იმ მიზნებს, რომლებსაც „თავისუფალი ქვის მთლელთა“ ორდენი არ მალავს საზოგადოებისგან, პირიქით — მოურიდებლად წარმოაჩენს. სხვათა შორის, თუკი საბჭოს ანალოგიების მასონიზმთან შეხებას ირიბი ხასიათი აქვს, მსოფლიოს სხვა მძლავრ ძალასთან — გლობალიზმთან ეს შეხება პირდაპირია.

**სამართლიანობის აუცილებლობისა და რესურსების განაწილების შესახებ მსგავსი განცხადებების მოძიება შეიძლება იმ სტრუქტურებში, რომლებშიც გაერთიანებულნი არიან ერთი და იგივე ადამიანები. ეს არის დავოსის ფორუმი, ბილდერბერგის კლუბი და სხვ. იქ მიღებული გადაწყვეტილებებისა და შედეგების შესახებ ცნობილია ფართო საზოგადოებისთვის. ასე რომ, არავის უნდა ჰქონდეს ილუზია ამ საბჭოს ხელმძღვანელობის განზრახვების მიმართ.**

„ინკლუზიური კაპიტალიზმისთვის საბჭოში“ ვატიკანის ყოფნა აშკარად მიუთითებს გარკვეულ წნეხზე რელიგიური მიზეზებით. ამისთვის საკმარისია, გავიხსენოთ რომის პაპის დადებითი განწყობა სოდომიის მიმდევართა მიმართ და მისი განცხადებები. აშკარაა, რომ დარტყმის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება მართლმადიდებლობა (კონსტანტინოპოლის პატრიარქი არ ითვლება, რადგან ის, უკვე კარგა ხანია, ემსახურება კულისებს მიღმა გლობალურ ძალებს, როგორც პოლიტიკური, ისე სულიერი თვალსაზრისით) და ისლამი (როგორც შიიზმი, ისე სუნიზმი) — ე.ი., აბრაამის ის ტრადიციები, რომელთა დამცველებიც მსგავს პროექტებში ანტიქრისტეს მოსვლის ნიშნებს ხედავენ.

**tsargracl.tv-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**საბჭოს ვებგვერდზე მითითებულია, რომ მის განკარგულებაშია 10,5 ტრილიონი დოლარი. 2,1 ტრილიონი დოლარი მონაწილე კომპანიების საბაზრო კაპიტალიზაციაა, ორგანიზაციებს ჰყავს 200 მლნ მუშა-მოსამსახურე 163 ქვეყანაში. საბჭოს პირამიდის წვერში არის მმართველი სტრუქტურა, რომელსაც ეწოდება «მცველები». ერთ-ერთი ასეთი «მცველია» Bank of America-ს აღმასრულებელი დირექტორი ბრაიან მოინიჰენი. მისი აზრით, «კაპიტალიზმი იმისთვის არსებობს, რომ გააკეთოს მართებული რაღაცები, თუკი ის იმართება შესაბამისად»**

**ლინ ფორესტერ დე როტშილდმა, რომელიც Inclusive Capital Partners-ის დამფუძნებელი და მმართველია, განაცხადა, რომ „ეს საბჭო გაითვალისწინებს რომის პაპ ფრანცისკეს გაფრთხილებას და შეისმენს „დედამიწის ძახილსა და ღარიბთა ძახილს“ და საზოგადოების მოთხოვნებს ზრდის უფრო სამართლიანი და მდგრადი მოდელით უპასუხებს**

ვაქცინა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინა არც ასპირინია პარაცეტამოლთან ერთად და არც ანგინის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკი. ეს ძალიან მტკივნეული დარტყმაა, რომელსაც დასავლეთი არ ელოდებოდა. სწორედ ამიტომ აქვს რუსული ვაქცინის გარშემო ატეხილი ფათიფუცი ბინძურ კრივს მოსყიდული მსაჯებით.**

# რატომ დაიწყო საინფორმაციო შეტევა რუსულ «სპუტნიკ V»-ზე

**კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის დამზადებისთვის ბრძოლა გეოპოლიტიკური გავლენის იარაღად იქცა. საკუთარი ვაქცინის შექმნა არა მხოლოდ პრესტიჟის სიმბოლოდ იქცა, არამედ შემქმნელი სახელმწიფოს სიმძლავრის მაჩვენებლად — თავის მოქალაქეებს სიცოცხლე შეუნარჩუნოს საგანგებო ვითარებაში. დღეს ვაქცინა სახელმწიფოს, როგორც ბრენდის, მსოფლიო არენაზე წამოწევის მარკეტინგული საშუალებაა.**

გავლენისთვის ბრძოლაში ჩართულია ყველა საშუალება — სრული საინფორმაციო ბლოკადით დაწყებული, დეზინფორმაციით დასრულებული. **გებელსის** ზეობის პერიოდში პოპულარული იყო ფრაზა: „მსოფლიოზე ბატონობს ის, ვინც პირველი ეტყვის მას სიტყვას“. დღეს მსოფლიოზე გაბატონდება ის, ვინც პირველი მისცემს მას კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინას.

როგორც კი რუსეთმა გამოაცხადა, რომ წარმატებით მუშაობს ვაქცინის შექმნაზე, უცხოეთში ამ ვაქცინის წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღეს რუსეთის გეოპოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა, ქვეყნის შიგნით კი — ამ მოწინააღმდეგეების მიერ შექმნილმა და გამოკვებილმა „გავლენიანმა“ არასამთავრობოებმა და ზოგიერთმა მედიასაშუალებამ.

ვაქცინის შექმნის ვადა უპრეცედენტოდ მოკლეა, ტრადიციული პროცედურები დარღვეულია იმის გამო, რომ კაცობრიობას არ აქვს საშუალება, აუჩქარებლად დაამზადოს პრეპარატი, მაგრამ დრო მიდის და მასთან ერთად მიმდინარეობს ყველაფრისთვის თავისი ადგილის მიჩენის პროცესი. **დაიწყო საინფორმაციო შეტევა ვაქცინა „სპუტნიკ V“-ზე. რუსეთში თითქოს კარგად ინფორმირებული ელიტა იმედგაცრუებულია ვაქცინაციის შემდეგ ინფიცირების შემთხვევების გამოვლენით და უპირატესობას ანიჭებს „ეპივაკკორონას“ (კოვიდის საწინააღმდეგო ერთკომპონენტიანი პეპტიციდურ ვაქცინას, რომელიც სამეცნიერო ცენტრმა „ვექტორმა“ შექმნა და ახლა შემოწმების მესამე ფაზას გადის — გ. გ.). ეს იმ ვითარებაში, როცა ამ ვაქცინის ეფექტიანობაზე ჯერჯერობით ყველაფერი ცნობილი არ არის, „სპუტნიკმა“ კი ყველას გაუსწრო წარმატებული შედეგისა და დისტრიბუციის თვალსაზრისით.**

ყველაზე საინტერესოა ის, რომ რეალური ფაქტები აღრიცხული არ არის. **თუკი არსებობს ვაქცინაციის შემდგომ ინფიცირების შემთხვევები, საჭიროა გამოძიება, როგორ, რა პირობებში შეიქნა ეს შესაძლებელი: ხომ არ იყო ეს ადამიანი ინფიცირებული აცრამდე და ვისთან ჰქონდა ურთიერთობა ვაქცინაციის ვადის ამოწურვამდე? — ამ კითხვებზე პასუხები არ არსებობს. სამაგიეროდ, არის ჭორების ტალღა და პანიკის შექმნის მცდელობა.**

„სპუტნიკის“ კომპრომეტაცია — ეს არის არა, უბრალოდ, სტარტზევე ბაზრის ხელში ჩაგდების მცდელობა, არამედ გარკვეული მმართველი წრეების კომპრომეტაციაც, რომლებიც ხელს უწყობდნენ, სახელდობრ, „სპუტნიკის“ შექმნასა და მის წარმოჩენას საერთაშორისო არენაზე. ეს არჩევნების შედეგებზე გავლენის ფაქტორიცაა. წარმოიდგინეთ შედეგები იმ პოლიტიკოსებისთვის, რომლებიც მონაწილეობდნენ ვაქცინის პოპულარიზაციაში საერთაშორისო ასპარეზზე.

„სპუტნიკი“ უკვე ბევრ ქვეყანაშია და დაიწყო მის საწარმოებლად საჭირო ბაზის შექმნა არა მხოლოდ **არგენტინაში, ვენესუელასა** და **ბელარუსში,** ამ ვაქცინას **უკრაინასა** და **თურქეთშიც** კი ცდიან ტოქსიკურობაზე, რათა შემდეგ დაიწყონ მისი წარმოება. პროპაგანდა — პროპაგანდად, მაგრამ ცხოვრება ყველას უნდა, თანაც კარგად ცხოვრება.

**სხვადასხვა სქემის მიხედვით (ერთიანი სტანდარტი ჯერჯერობით არ არსებობს) ჩატარებული ტესტირების შედეგები აჩვენებს, რომ „სპუტნიკის“ ეფექტიანობის 95% შენარჩუნებული იყო პირველი აცრიდან 42-ე დღეს. ასეთი შედეგები სხვა ვაქცინებს არ აქვს.**

დასავლური ანალოგების მაჩვენებლები გაცილებით ნაკლებია. ბრიტანეთში მოსახლეობა გააფრთხილეს, რომ, თუ პაციენტი გარდაიცვლება ვაქცინაციის შემდეგ, ამის გამო არ უნდა ინერვიულონ — სიკვდილი შეიძლება სხვა დაავადებით იყოს გამოწვეული.

**სრულიად შესაძლებელია, რომ ორივე რუსული ვაქცინა საკმარისად ეფექტიანია. სპეციალისტებს შეუძლიათ გააანალიზონ და შეადარონ პარამეტრები და იმსჯელონ დეტალებზე, მაგრამ ფაქტია: რუსეთი პირველი გავიდა კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინის მსოფლიო ბაზარზე, როცა ეფექტიანი პრეპარატი შექმნა, რომელზე უკეთესიც ჯერ არ არსებობს, და ამით დაანგრია მათი გეგმები, ვინც მიჩვეულია, თავი უკონკურენტოდ მიიჩნიოს.**





**სრულიად შესაძლებელია, რომ ორივე რუსული ვაქცინა საკმარისად ეფექტიანია. სპეციალისტებს შეუძლიათ გააანალიზონ და შეადარონ პარამეტრები და იმსჯელონ დეტალებზე, მაგრამ ფაქტია: რუსეთი პირველი გავიდა კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინის მსოფლიო ბაზარზე, როცა ეფექტიანი პრეპარატი შექმნა, რომელზე უკეთესიც ჯერ არ არსებობს და ამით დაანგრია მათი გეგმები, ვინც მიჩვეულია, თავი უკონკურენტოდ მიიჩნიოს**




ალსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთმა რუსულმა მედიასაშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ თურქეთმა, რომელთანაც რუსეთს არც ისე კარგი ურთიერთობა აქვს, თავდაპირველად, აიღო ვაქცინები ტოქსიკოლოგიაზე გამოსაცდელად, შემდეგ კი უკან დააბრუნა. ამ ინფორმაციით გამოვიდა თურქული გამოცემა Haber Turk-ი, რომელიც თითქოს თურქეთის ჯანდაცვის მინისტრ **ფაჰრეტინ კოჯას** ნათქვამს ეყრდნობოდა. შემდეგ ეს ინფორმაცია მსოფლიოში გავრცელდა, რაც რუსეთის რეპუტაციისთვის მტკივნეული დარტყმა იყო. **ახლახან კი გაირკვა, რომ გავრცელებული ინფორმაცია სიცრუეა — თურქეთის ჯანდაცვის მინისტრმა უარყო Haber Turk-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია და დაადასტურა, რომ რუსული ვაქცინის ტესტირების დასრულების შემდეგ მისი შესყიდვა დაიწყება.**

ალსანიშნავია, რომ, ზემოაღნიშნული 2 ვაქცინის გარდა, რუსეთში მესამე ვაქცინაც იქმნება, გენეტიკური — **„ურალი“.**

კოვიდის საწინააღმდეგო რუსული ვაქცინების ისტორიაში ძალიან ბევრია პოლიტიკა და ცოტა — მედიცინა. ვაქცინის მეთოდების შესწავლა ახლა იწყება, მაგრამ უკვე ცხადია, ვინ ვინ არის ამ საკითხში, რომელშიც ბიოტექნოლოგიები ყველაფერს მართავს. და უცებ... ერთ-ერთი მიმართულებით დასავლეთი რუსეთს მკვეთრად ჩამორჩება.

კოვიდის საწინააღმდეგ ვაქცინა არც ასპირინია პარაცეტამოლთან ერთად და არც ანგინის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკი. ეს ძალიან მტკივნეული დარტყმაა, რომელსაც დასავლეთი არ ელოდებოდა. სწორედ ამიტომ აქვს რუსული ვაქცინის გარშემო ატეხილი ფათიფუცი ბინძურ კრივს მოსყიდული მსაჯებით.

**iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**«სპუტნიკი» უკვე ბევრ ქვეყანაშია და მის საწარმოებლად საჭირო ბაზის შექმნა დაიწყო არა მხოლოდ არგენტინაში, ვენესუელასა და ბელარუსში, ამ ვაქცინას უკრაინასა და თურქეთშიც კი ცდიან ტოქსიკურობაზე, რათა შემდეგ დაიწყონ მისი წარმოება. პროპაგანდა — პროპაგანდად, მაგრამ ცხოვრება ყველას უნდა, თანაც — კარგად ცხოვრება**

# Pfizer-სა და BioNTech-ის ვაქცინის გამოცდისას 6 ადამიანი დაიღუპა




**The Wall Street Journal-ის მიერ აშშ-ის სურსათისა და მედიკამენტების ხარისხის საკითხების სამმართველოზე (FDA) დაყრდნობით გავრცელებული ინფორმაციით, Pfizer-ისა და BioNTech-ის ვაქცინის კვლევისას ცდების 6 მონაწილე გარდაიცვალა.**

„საანგარიშო პერიოდში იყო 6 სიკვდილი (ორი ლეტალური შედეგი — ვაქცინაციის ჯგუფში, 4 — პლაცებოს ჯგუფში)“, — ნათქვამია FDA-ს მიერ მომზადებულ დოკუმენტში. მითითებულია, რომ ვაქცინის გამომცდელთა ჯგუფის ერთი მონაწილე, რომელიც დაავადებული იყო ათეროსკლეროზითა და სიმსუქნით, ორგანიზმში პრეპარატის პირველი დოზის შეყვანიდან მესამე დღეს გარდაიცვალა, მეორეს გული გაუჩერდა მეორე დოზის შეყვანიდან (მეორე დოზა შეუყვანეს I დოზიდან მე-10 დღეს) მესამე დღეს. პლაცებოს ჯგუფში ორი ადამიანი დაიღუპა ინსულტისა და ინფარქტისგან. კიდევ 2 მონაწილის სიკვდილის მიზეზი ჯერ დადგენილი არ არის. ამერიკული ფარმაკოლოგიური ფირმა Pfizer-ისა და გერმანული BioNTech-ის შემუშავებული ვაქცინის შეტანა აშშ-Iსა და ევროპის საწყობებში ნოემბრის ბოლოს დაიწყეს. ვაქცინის შემქმნელებმა განაცხადეს, რომ ვაქცინამ ფინალურ სტადიაზე 95%-იანი ეფექტიანობა აჩვენა.

**iz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

**P.S.** მედიკოსების განცხადებით, Pfizer-ისა და BioNTech-ის ვაქცინა ალერგიულ რეაქციას იწვევს და პირებს, რომლებიც ალერგიულები არიან, მოუწოდებენ, ამ ვაქცინაზე უარი თქვან.

**P.P.S.** ბრიტანულმა ფარმაცევტულმა გიგანტმა Astra Zeneca-მ განაცხადა, რომ მზად არის, ითანამშრომლოს „სპუტნიკ V“-ის შემქმნელ რუსეთის გამალეიას სახელობის ნაციონალურ კვლევით ცენტრთან ორი პრეპარატის გაერთიანებისა და მათგან უფრო ეფექტიანი ვაქცინის შექმნის შესახებ.

**ბაიდენის საეჭვო მოღვაწეობის კვალი აღმოჩენილია ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც. ამასთანავე, მან პირად საუბრებში რამდენიმეჯერ ახსენა „დიდი კაცი“, რომელსაც შეეძლო დახმარება სერიოზული პრობლემების მოგვარებაში. ეს „დიდი კაცი“, დიდი ალბათობით, არის აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი ჯო ბაიდენი.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პროკურორებმა ჯო ბაიდენის ოჯახის წევრებს შეუტიეს

## რაში ადანაშაულებენ ჰანტერ და ჯეიმს ბაიდენებს

**ჯო ბაიდენი, რომლის გამარჯვებასაც დონალდ ტრამპი არ აღიარებს, მშვიდ ცხოვრებას არ უნდა ელოდოს. მისი შეშფოთების მიზეზია დაწყება რამდენიმე გამოძიებისა, რომლებიც აღიძრა მისი ძმის, ჯეიმსისა, და სკანდალებით განთქმული შვილის, ჰანტერის, წინააღმდეგ. ეს ორი ადამიანი მხოლოდ სატყუარაა უფრო მსხვილი თევზის, უფრო ზუსტად „დიდი კაცის“ დასაჭერად, რომელზეც ლაპარაკობდა ჰანტერ ბაიდენი.**



ჯო ბაიდენი

**ჯო ბაიდენის** ოჯახის წევრების თავზე ცა მოიქუფრა. თუ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მისი ვაჟის, **ჰანტერის,** წინააღმდეგ დაწყებულ გამოძიებას ბევრი პოლიტიკურ ბრძოლის ნაწილად აღიქვამდა, ახლა ჯო ბაიდენის ვაჟის საქმეების გამოძიებაში ფედერალური პროკურორები ჩაერივნენ. გამოძიების ინტერესთა სფეროში მოხვდა, აგრეთვე, ჯო ბაიდენის ღვიძლი ძმა **ჯეიმსი,** რომელიც ძმის თანამდებობრივ მდგომარეობას პირადი სარგებლის მისაღებად იყენებდა.

ჰანტერ ბაიდენი, რომელიც ცოტა ხნის წინათ ლეგალური ნარკოტიკის გამოყენებასა და მეძავებთან ორგიებში ამხილეს, ახლა გაცილებით სერიოზულ შარში გაეხვია. მის წინააღმდეგ რამდენიმე საქმეა აღძრული და მათ შორის არის სერიოზული ბრალდებები.

**ჰანტერ ბაიდენმა 9 დეკემბერს განაცხადა, რომ მას გადასახადების გადაუხდელობის გამო დაუკავშირდნენ დელავერის შტატის პროკურორები. მშობლიური შტატის გარდა, ნიუ-იორკის ფასიანი ქაღალდების თაღლითობის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილებაც გულდასმით ამოწმებს ჰანტერ ბაიდენის ფინანსებს. ეს არ არის საეჭვო ფინანსურ ოპერაციებში ჰანტერ ბაიდენისადმი წაყენებული ერთადერთი ბრალდება. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აშშ-ის ყოფილი ვიცეპრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, შვილის საეჭვო მოღვაწეობა უცხოურ კორპორაციებში.**

ბოლო წლებში ჰანტერ ბაიდენი მუშაობდა უკრაინის ენერგეტიკულ კომპანია Burisma-ს დირექტორთა საბჭოში, რომლის დირექტორიც კორუფციაშია ბრალდებული. ამას გარდა, უმცროსმა ბაიდენმა შეთანხმება გააფორმა ნავთობის ჩინელ მაგნატ **ე ძინმინსა** და მის თანამებრძოლ **პატრიკ ჰოსთან.** 2018 წელს ჰო ნიუ-იორკის სამხრეთ ოლქში გაასამართლეს უცხოეთში კორუფციის შესახებ კანონის დარღვევის გამო. ის აფრიკის სახელმწიფოებში — ჩადსა და უგანდაში — მაღალი თანამდებობის პირების მოსყიდვას შეეცადა. ამით ბრალდებები არ მთავრდება. **ბაიდენის საეჭვო მოღვაწეობის კვალი აღმოჩენილია ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც. ამასთანავე, მან პირად საუბრებში რამდენჯერმე ახსენა „დიდი კაცი“, რომელსაც შეეძლო დახმარება სერიოზული პრობლემების მოგვარებაში. ეს „დიდი კაცი“, დიდი ალბათობით, არის აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი ჯო ბაიდენი.**



ჯეიმს ბაიდენი



ჰანტერ ბაიდენი

ჰანტერ ბაიდენის საქმეების გამოძიების კვალდაკვალ პენსილვანიის დასავლეთის ოლქის ფედერალური ხელისუფლება იძიებს საავადმყოფოების ბიზნესის საქმეს, რომელშიც გარეულია ჯო ბაიდენის ძმა **ჯეიმსი.**

კომპანია American Health გაკოტრების პროცესშია და გამომძიებლებს აქვთ კითხვები ამ კომპანიის ხელმძღვანელობასთან. ამ მომენტისთვის პირადად ჯეიმს ბაიდენისთვის ბრალდება ჯერ არ წაუყენებიათ, მაგრამ სამართალდამცველები სწავლობენ პოტენციურ კავშირს კომპანიასა და ჯო ბაიდენს შორის. **არის ეჭვი, რომ ჯეიმს ბაიდენი თავის პირად კავშირებს იყენებდა კომპანიის დასახმარებლად. ცნობილია, რომ კომპანიის დირექტორი შეხვდა ჯო ბაიდენს და ეს მოხდა 2017 წლის სექტემბერში, როცა ჯო ბაიდენი უკვე აღარ იყო აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი. ჯო ბაიდენის ოჯახი და შტაბი ყველა ბრალდებას უარყოფს.**

„არჩეული პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ძალიან ამაყობს თავისი ვაჟით, რომელმაც ცხოვრების რთული გზა გაიარა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში“, — ნათქვამია ბაიდენის შტაბის განცხადებაში.

„ჩემი შვილი, ჩემი ოჯახი, არასოდეს ჩაერთვება ისეთ ბიზნესში ან ღონისძიებებში, რომლებიც კონფლიქტურია და არ შეეფერება პრეზიდენტსა და მთავრობას“, — ყველას ჰპირდებოდა ჯო ბაიდენი.

არ არსებობს იმის ნიშნები, რომ თვითონ ჯო ბაიდენის წინააღმდეგ აღძრულია რაიმე საქმე, მაგრამ, თუ გამოძიებები გაგრძელდება, ეს დემოკრატების პრეზიდენტს საქმეს გაურთულებს და მის რეიტინგს დასცემს.

ცხადია, **რესპუბლიკელები ხელიდან არ გაუშვებენ ჯო ბაიდენზე შეტევის შესაძლებლობას მისი შვილისა და ძმის მიერ ჩადენილი ცოდვების გამო. სენატში რესპუბლიკელების ლიდერმა მიტჩ მაკონელმა უკვე განაცხადა, რომ აპირებს, სამართალდამცველებს გამოძიება დააწყებინოს უკრაინაში ბაიდენის ოჯახის წევრების მოღვაწეობის შესახებ.**

რთული სათქმელია, რით დასრულდება ეს გამოძიებები, მაგრამ ჩანს, რომ უმცროსი ბაიდენის მდგომარეობა სახარბიელო ნამდვილად არ არის. თუ შეძლებს თავის დაძვრენას ბრალდებიდან, საქმეების განხილვა მაინც ნეგატიურად აისახება მისი ოჯახისა და პირადად ჯო ბაიდენის რეპუტაციაზე.



აქცია ჰანტერ ბაიდენის წინააღმდეგ

**mk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



# აშშ-ს საარჩევნო კოლეგიამ ჯო ბაიდენი პრეზიდენტად გამოაცხადა

**აშშ-ის საარჩევნო კოლეგიის წევრებმა საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად ჯო ბაიდენი გამოაცხადეს.**

BBC-ის ინფორმაციით, დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა ჯო ბაიდენმა კოლეგიის 306 ხმა მოიპოვა, „რესპუბლიკელმა“ დონალდ ტრამპმა კი — 232. პრეზიდენტად არჩევისთვის საარჩევნო კოლეგიის, სულ ცოტა, 270 წევრის თანხმობა იყო საჭირო.

კენჭისყრის შედეგები ვაშინგტონში გაიგზავნება და ხმებს 6 იანვარს კონგრესის ერთობლივ სხდომაზე ოფიციალურად დაამტკიცებენ.

ახალარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია 20 იანვარს გაიმართება.




# კონგრესმენი, რომელიც ტრამპს რუსეთთან გარიგებაში ადანაშაულებდა, ჩინელ ჯაშუშთან ურთიერთობაში ამხილეს

**აშშ-ის დაზვერვის მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ამერიკელ კონგრესმენს, დაზვერვის კომიტეტის წევრ ერიკ სვოლველს სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა ჩინელ ჯაშუშთან, — იუწყება Fox News-ი და დასძენს, რომ სვოლველი თავს მიიჩნევდა უცხო ქვეყნის ჩარევის გამოვლენის სპეციალისტად და პრეზიდენტ დონალდ ტრამპს რუსეთთან გარიგებაში ადანაშაულებდა.**

ჩინეთის დაზვერვის აგენტმა **ფონ ფანმა** ან როგორც ის აშშ-ში ჩასვლის შემდეგ თავს უწოდებდა, **კრისტინ ფანმა** გავლენა მოიპოვა დემოკრატიული პარტიის წევრებზე კალიფორნიაში. ის „ამუშავებდა“ რამდენიმე დემოკრატს, რომლებსაც სახელმწიფო პოსტები ეკავათ. ესენი იყვნენ ე.წ. შუა დასავლეთის ქალაქების მერები. მათთან კრისტინ ფანს ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა. ფანმა, აგრეთვე, გააბა კავშირი მაღალჩინოსან **ერიკ სვოლველთან,** რომელიც აშშ-ის კონგრესის წევრია. არის წარმომადგენელთა პალატის დაზვერვის კომიტეტის წევრი და ხელი მიუწვდება ქვეყნის საიდუმლო მასალებზე.

ფანისა და სვოლველის ურთიერთობა 2012 წელს დაიწყო. ფანი საფარველად კოლეჯს იყენებდა. სვოლველი სანფრანცისკოს საქალაქო საბჭოს წევრი იყო, როცა ის ფანს შეხვდა. ფანმა სხვადასხვა წყაროდან დაიწყო მისთვის თანხების შეგროვება, პოლიტიკური კარიერის გაკეთებაში რომ დახმარებოდა.

ფანის სადაზვერვო საქმიანობაზე ბევრი ინფორმაცია არ ვრცელდება, მაგრამ ცნობილია, რომ მან მოახერხა აშშ-დან ჩინეთში გაქცევა, როცა გამოძიების ფედერალურმა ბიურომ გამოძიება დაიწყო. ერიკ სვოლველის სახით ჩინეთის მთავრობას კარგი ლობისტი და შუამავალი ჰყავდა. სვოლველი კონგრესის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია, შარშან კენჭს იყრიდა აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიულ პარტიაში. ერიკ სვოლველი საიმედო წყარო იყო ჩინური სახელმწიფო პროპაგანდისთვის. არადა, თავს უცხო ქვეყნის ჩარევის გამოვლენის ექსპერტად მიიჩნევდა და წლების განმავლობაში ტრამპს რუსეთთან გარიგებაში ადანაშაულებდა.

**ru-an.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საყოველთაო რა გვაქვს? ჩვენში არის: „მე თუ შენ, შენ თუ მე“ და ორივენი ერთად კი არაო“. ასეთი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ დღეს „თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი, თავთავად შემოილობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი „მამული“ თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო“.

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

# როცა «ერთის გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით ცალკ-ცალკე და თავ-თავად დავგორავთ»...



**«ოცნებამ» სიხარულის ბუკი და ნაღარა დაჰკრა, რომ ხელისუფლებას მას ვერავინ შეეცილება, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს სიხარული იმით კი არ არის გამოწვეული, რომ საქვეყნო საქმეს ასე არგებს, არამედ იმით, რომ «გამარჯვება ჩვენია და არა თქვენიო, ესე იგი, მე და არა შენაო. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამისთანა საქმეში საერთოდ პატივსაცემელი «ჩვენ» უნდა ჰლაპარაკობდეს და არა მე თუ შენ»**

როგორც იქნა, ავად თუ კარგად, ახალი პარლამენტი შეიკრიბა და პირველი სხდომაც გაიმართა, ოღონდ ოპოზიციის გარეშე. ბევრი ამაში დასაძრახსა და საწყენს ვერაფერს ხედავს, მიაჩნია, რომ ოპოზიცია ამ საქმეში ისე მოიქცა, როგორც ჭკუა, გონება და ნამუსი კარნახობდა... თუმცა, ილიას სიტყვებით თუ ვიტყვით, „ეგ ჯერ კიდევ იმასა არა ჰნიშნავს, რომ მართალნი არიან გამარჯვებულნი“.

მართალია, „ოცნებამ“ სიხარულის ბუკი და ნაღარა დაჰკრა, რომ ხელისუფლებას მას ვერავინ შეეცილება, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს სიხარული იმით კი არ არის გამოწვეული, რომ საქვეყნო საქმეს ასე არგებს, არამედ იმით, რომ „გამარჯვება ჩვენია და არა თქვენიო, ესე იგი, მე და არა შენაო. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამისთანა საქმეში საერთოდ პატივსაცემელი „ჩვენ“ უნდა ჰლაპარაკობდეს და არა მე თუ შენ“.

ამისთანა ამბავი „გასაბიაბრულებელია თვითონ საზოგადოებისათვის“, იმიტომ რომ პოლიტიკოსისთვის, რომელიც სახეზე სირცხვილის ალმურმოუკიდებლად „ამისთანა გულნადების გამოაშკარავებას არ ერიდება“, საზოგადოება მეტად დაბალ საფეხურზე მდგომი ჰგონია.

ოპოზიცია ქვეყნის საჭიროების თვალით რომ იყურებოდეს და „საზოგადო საქმეთა ავკარგიანობის სასწორი და საწყაო“ ეჭიროს ხელთ, მაშინ საზოგადოებას კიდევ შერჩებოდა იმედის ნაპერწკალი, რომ ამ ქვეყანაში არიან ძალები, რომელთათვისაც საერთო საქმის სამსახურია მთავარი.

მაგრამ „ნუთუ ესენი თვითეულად ცალკე და ყოველნივე ერთად ქართველი ჰგონია ვისმე! ქართველი საყოველთაო სახელია და ამათში რა არის საყოველთაო. ეგ თითო-თითოდ, ერთის გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით რომ ცალკ-ცალკე და თავ-თავად დავგორავთ, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ნუთუ ეგ თვითეული ქართველი ჰგონია ვისმე! თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის: ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის. ქართველი საყოველთაო სახელია და კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაქვს? ჩვენში არის: „მე თუ შენ, შენ თუ მე“ და ორივენი ერთად კი არაო“.

ასეთი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ დღეს „თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი, თავთავად შემოილობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი „მამული“ თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა; და რომ თვითეულმან ჩვენგანმან საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა, ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ველარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა“.

1891 წელს ილია აქვეყნებს წერილს „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ“, რომელიც ქვეყანაში პოზიციისა და ოპოზიციის საქმიანობის საკითხებს შეეხება და საყურადღებოა დღეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე.

## საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ

**ტფილისი, 30 იანვარი, 1891 წელი.**

გათავდა არჩევანები ქალაქის ხმოსანთა, გამგეობა ქალაქის თვითმმართველობისა შესდგა და ყოველ ამით გამოწვეული ფიცხი და ზოგჯერ წრეს-გარეთ ატაცებული ლაპარაკიც მოსწყდა, განელდა და ადგილი დაუთმო ჭკუა-დამჯდარს მსჯელობას იმ კაცებისას, რომელთაც არჩევანების გათავებით არ გაიგრილეს გული საქალაქო საქმეების მიმართ და რომელნიც არჩევანებს უყურებენ და სამართლიანადაც, როგორც ერთადერთს ღონეს ქალაქის საქმეთა განწყობისას, მიმართვისას, ასე თუ ისე კეთებისას და წარმოებისას.

**მაშასადამე, საკვირველი არ არის, რომ პირველი და უპირატესი საგანი დღევანდელის მსჯელობისა საზოგადოებაში ის არის, რომ კარგად გამორკვეულ იქმნას, — რა მოხდა და რის მომასწავებელია ყოველივე, რაც მოხდა და მოგვიტანა ამ არჩევანებმა.** საღის და მიუდგომელის თვალით რომ შევხედოთ მას, რაც მოხდა, და მომხდარი რის მომასწავებელია, დავინახავთ, რომ **ქალაქის მცხოვრებთა საჭიროდ დაინახეს და თვისდა სასარგებლოდ იცნეს, გაეახლებინათ ქალაქის საბჭო, სხვა ახალის ნაკადულისათვის საბჭოში გზა მიეცათ და მით აქამდე ყოფილი და ყოველ საქმის ერთნაირად წამწყმედი ერთსახობა, ერთგვარობა საბჭოსი მოესპოთ. სხვა აზრი ამ არჩევნებს არ უნდა ჰქონდეს, თუ სახეში ვიქონიებთ, რომ არჩევანებს სხვა მნიშვნელობა არა აქვს-რა, თუ არ ამომრჩეველთა სურვილის გამოთქმისა.** მართალია, ამ კეთილს და სამართლიანს სურვილს მოქალაქეებისას ზოგიერთებმა თავისებური კვამლი შეუბოლეს, რომ ცხადი და მართალი სურვილი ამომრჩევლებისა კაცს არ დაანახვონ, სახე და მიმზიდველობა შეუშალონ და მოქალაქეთა შორის აზრუ გაუტეხონ. ამისათვის ამ ზოგიერთებმა ხელი ჩაჰკიდეს იმისთანა საგანს, როგორც მაგალითებრ, ეროვნებაა, რომელსაც დიდი გზა და ავალა აქვს ყოველგვარ ქსელის გასაბმელად, და ეს არაფერს შუაში მყოფი ეროვნება ხიდად გაიდეს, რომ სხვადასხვა თესლის მცხოვრებნი ერთმანეთს დააჯახონ სამტროდ, ერთმანეთის წეწვა-გლეჯად და მით მათი თვალი საერთო საქმეს ქალაქისას მოაშორონ. ამ ვაჟბატონებს მით უფრო მოუხერხდათ ამ სამარცხვინო ხიდის გადება, რომ ამ არჩევანებმა დიდი მონაწილეობა მისცა ქართველებს საბჭოში. რიგიანმა სომეხმა ამ ქართველების საბჭოში შესვლა, რასაკვირველია, საამურად მიიღო და არამცთუ იხამუშა, არამედ ჰკვირობდა კიდეც, რატომ აქამდისაც არ იყო ესეო, ხოლო ტერაცუები შესდგნენ ყალხზედ, ვაჰ, ქალაქი ჩვენია და ქართველებს ქალაქში რა ხელი აქვთო. ამათ ისე შეჰხედეს ამ არჩევანებს, რომ ჩვეული ბატონობა ქალაქში გვერთმევა და ქართველები იჩემებენო. შეჰხტა და შემოტრიალდა ტერაცუობა, რომელთანაც ჭკუა დამჯდარს და რიგიანს სომხობას არავითარი ურთიერთობა არა აქვს, — და სხვა რო ვერა იხერხა-რა, ბოლოს ისა სთქვა, რომ აბა ქალაქის საქმეში რა შესატანია ეროვნება, ეროვნებაზე აქ კრინტიც არ უნდა დაიძრასო. ეს, რასაკვირველია, იმ ანგარიშით უნდა იყოს თქმული, რომ აქამომდე ტფილისში გაბატონებულს ეროვნებას არავინ იერიშის მიტანა არ გაუბედოს და ტერაცუებსაც ხომ სხვა არა უნდათ-რა. ამ სახით, ამისი მთქმელი თუმცა სოროში ჰძვრება, მაგრამ კუდი-კი გარედა ჰრჩება და საქმეც ეს კუდია: ოღონდ-კი ხალისი იყოს, თორემ, როცა გნებავთ, ხელს წაავლებს კაცი და სოროში შემძვრალს ჩხავილით გარედ გამოათრევს. სირცხვილია, რომ კაცი ამისთანა ფეხის ხმას აჰყვეს.

აქ არავითარი მიხვევ-მოხვევა საჭირო არ არის. მოქალაქეების სურვილი ცხადად მეტყველებს ამ არჩევანებში. აქ სომხობა ცალკე და ქართველობა ცალკე-კი არ ირჩევდა კაცებს საბჭოსათვის, არამედ შემძლებელობა და შეუძლებელობა მოქალაქეთა. დღეს-აქამომდე ქალაქის საბჭოს მოედანი ხელთ ეჭირათ მარტო შემძლებელთ მოქალაქეთა, ხოლო შეუძლებელთ საბჭოში წარმომადგენელნი ან სულ არა ჰყავდათ, ან თუ ჰყავდათ, თითო ოროლა, რომელთა ხმა იკარგებოდა მრავალთა შორის. ეს შეუძლებელთა რიცხვი უფრო მომეტებული ნაწილია როგორც ყველგან, ისეც ტფილისშიც, და ვის რად უკვირს, რომ ამ მომეტებულმა ნაწილმა თავის ქალაქში ხმის ამოღება მოიწადინა და საბჭოში ფეხის შედგმა. ამ შეუძლებლობამ და შემძლებლობამ, ქონებითმა ღონემ და უღონობამ წელს ორად გაჰყო ამომრჩეველთა რიცხვი და წლევანდელი არჩევანები ამ ორ ბანაკის ბრძოლის შედეგია. ერთისა და მეორის ბანაკის კაცნი აქ მოქმედებდნენ განურჩევლად იმისა თუ, ვინ სომეხია და ვინ ქართველი. აქ ერთის მხრით მოიყარეს თავი შეძლებულთა მომხრეთა და მეორის მხრით შეუძლებელთა.

არჩევანების კენჭმა დაგვანახვა ყველას, რამოდენა ადგილი დაიჭირა განახლებულ საბჭოში შეუძლებელთა წარმომადგენელ ხმოსნობამა, და აი სად უნდა ეძიოს კაცმა მიზეზი იმ სიამოვნებისა, რომლითაც ყოველი გონიერი ქართველი თუ სომეხი მიეგება ამ არჩევანებს, როცა მისი შედეგი გამოცხადდა. დღეს, ჩვენდა სასიქადულოდ, ვხედავთ, რომ შეუძლებელთა მცხოვრებთა, ესე იგი, ტფილისის უმრავლესთა მკვიდრთა იმედად იგი ხმოსნები შეიქმნენ, რომელთა შორის ქართველობა დიდს უმრავლესობას შეადგენს. დღეის ამას იქით ტფილისის საბჭოს თავისი კუთვნილი ღირსება და თვისება მიენიჭა, დღეის ამას იქით ორი დიდი დენა აზრთა იწყებს აქ ერთმანეთთან გამკლავებას. ერთის მხრით ინტერესები შეძლებულთა და მეორის მხრით შეუძლებელთა არ მისცემს არავის ნებას ყური მოუყრუოს ქალაქის საბჭოს საქმეთა და ყოველს განაჩენს გამგეობისას, თუ ვისმეს განუსჯელად და განურჩევლად „ბალი, აღა“, უძახოს. ამ ინტერესების ერთმანეთთან შეწონება, შეფერება და მოთავსება, ერთმანეთთან სამართლიანი მორიგება მწვადისა და შამფურის — საცა შესაძლოა — დაუწველად, შეადგენს ერთადერთს სიბრძნეს ქალაქის თვითმართველობის მოხელეობისას და გამგებლობისას. აწ განახლებულს საბჭოს ამ სიბრძნემდე მისაღწევად დღეს გზა გახსნილი აქვს, რადგანაც ისეა შემდგარი, რომ ყოველმა საქმემ ჯერ ბევრი დამი უნდა იხადოს ორ ცეცხლ შუა ტარებითა, ვიდრე თავს გაიტანს ბოლომდე ქალაქის საერთო სასარგებლოდ. აი რა მოახდინა აწინდელმა ხმოსანთა არჩევანებმა და მომხდარი რის მომასწავებელია. აი, ჩვენის ფიქრით, რა მნიშვნელობა აქვს წლევანდელს არჩევანებს. აი რა მოიგო თვით საბჭომ, რომელიც, ვითარცა წარმომადგენელობა ქალაქისა, დღეს უფრო სავსეს და სრულს სახეს, გულს და ვითარებას მთელის ქალაქისას წარმოადგენს, ვიდრე აქამომდე, და მით, რასაკვირველია, მეტი სიცოცხლე, მეტი ხალისი მიეცემა თვით საბჭოს და მეტი სიმართლე, მეტი წინდახედულობა, მეტი სიბრძნე მის განაჩენთა და მის საქმეთა.

ქალაქისათვისაც საერთო სანატრელი ეს არის. და რად უკვირთ, რომ ყველა გონიერ მოქალაქეს უხარიან, რომ ქალაქმა, განაახლა რა უწინდელი საბჭო, კარგა მოზრდილი ბიჯი გადასდგა ▶

„ქალაქის მცხოვრებთა საჭიროდ დაინახეს და თვისდა სასარგებლოდ იცნეს, გაეახლებინათ ქალაქის საბჭო, სხვა ახალის ნაკადულისათვის საბჭოში გზა მიეცათ და მით აქამდე ყოფილი და ყოველ საქმის ერთნაირად წამწყმედი ერთსახოვა, ერთგვაროვა საბჭოსი მოესპოთ. სხვა აზრი ამ არჩევნებს არ უნდა ჰქონდეს, თუ სახეში ვიქონიებთ, რომ არჩევანებს სხვა მნიშვნელობა არა აქვს-რა, თუ არ ამომრჩეველთა სურვილის გამოთქმისა“.

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოპოზიცია ქვეყნის საჭიროების თვალით რომ იყურებოდეს და «საზოგადო საქმეთა აეკარგიანობის სასწორი და საწყაო» ექიროს ხელთ, მაშინ საზოგადოებას კიდევ შერჩებოდა იმედის ნაპერწკალი, რომ ამ ქვეყანაში არიან ძალები, რომელთათვისაც საერთო საქმის სამსახურია მთავარი







◀ თავის სამართლიან სანატრელის მისაღწევად და სამაგისოდ ახალნი კაცნი, ახალნი მოღვაწენიც მოიპოვა და შეიყვანა საბჭოში.

* * *

**ტფილისი, 6 მარტი, 1891 წ.**

ჩვენის ქალაქის თვითმმართველობისათვის ორი ძალიან მოულოდნელი და ძალიან საყურადღებო ამბავი მოხდა ამ უკანასკნელს დროს. ქალაქის თავმა ბ-ნმა მატინოვმა თავი დაანება თავის თანამდებობას, თუმცა ხელახლად ამორჩეული იყო, და ბ-ნი იზმაილოვი-კი, რომელსაც ჰსურდა ქალაქის თავობა, არ იქმნა ამორჩეული. მთელი საზოგადოება ქალაქისა, და ნამეტნავად ისინი, ვისაც გული ასე თუ ისე სტკივა ქალაქის საქმეებისათვის, სცდილობენ თავი და ბოლო გაუგონ ამ ორს მართლადა მოულოდნელს ამბავსა. საითაც-კი მიიხედავთ მარტო ეს ისმის: ან ბ-ნმა მატინოვმა რად დაანება თავი თავობას და ან ბ-ნი იზმაილოვი რად იქმნა უარყოფილი. ყველას უნდა მიზეზის შეტყობა, გამორკვევა, და ამ საგანზე იმდენი აზრია, რამდენიც თითქმის მსჯელი და მოლაპარაკე. რაკი ესეა, ჩვენ მიერ არ იქმნება მეტი, რომ ამ ორს ამბავს გულღვიძლი გავუსინჯოთ და **მრავალთა შორის ჩვენი აზრიც წარმოვსთქვათ მასზედ თუ, რას უნდა მოეხდინა, ან ერთი ამბავი, ან მეორე. პირველ ყოვლისა ვიკითხოთ: რას უნდა აეძულებინა ბ-ნი მატინოვი, რომ ჯერ მოიწადინა ამორჩევა, და რაკი შეისრულა წადილი, სამსახურიდამ გადასდგა?**

**რა მოხდა იმისთანა იმ მოკლე ხანში, რომელიც არჩევანიდამ გადადგომამდე გავიდა, რომ ბ-ნმა მატინოვმა ვეღარ იტვირთა მის მიერვე მოწადინებული და უკვე მიღწეული თანამდებობა? აქ ორში ერთი მიზეზია: ან ისა, რომ შინაურმა გარემოებამ ნება აღარ მისცა ქალაქის თავობა დანიშნულ ვადამდე ეკისრნა, ან გარეშე ვითარებას რასმე გაუფრთხა და გაეცალა. პირველს მიზეზს, ჩვენის ფიქრით, აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. იმიტომ რომ, თუ შინაურმა გარემოებამ ორის თვის წინად არ დაუშალა კენჭისყრის სათუო განსაცდელს მისცემოდა, თუ ორის თვის წინად კენჭისყრის ბეწვის ხიდზედ გასვლას არ შეუშინდა, — და რომ საშიში იყო ეგ ყველამ იცის, — ძნელად საფიქრებელია ამ მოკლე ხანში, სულ ორის თვის მანძილზე, მის შინაურ ცხოვრებაში ისეთი ძირეული რამ ცვლილება მომხდარიყო, რომ დიდის ვაითა და ვაგლახით მოგებულს საქმეს გასცლოდა.** რასაკვირველია, ყველაფერი შესაძლებელია, ხოლო ისეთი უეცარი და მოულოდნელი ცვლილება ადამიანის შინაურ ცხოვრებაში ორის თვის განმავლობაში მეტისმეტად იშვიათია, იმოდენად იშვიათი, რომ თუ თვალით არა ჰნახავთ, დაუჯერებელია. მაინცდამაინც არავითარი ხელმოსაკიდებელი გამომჟღავნებული საბუთი არა გვაქვს, რომ ბ-ნ მატინოვის სამსახურიდამ გადადგომა მის შინაურს გარემოებას მივაწეროთ. მაშასადამე, მიზეზი ბ-ნ მატინოვის გადადგომისა გარეშე ვითარებაში უნდა ვეძიოთ. რა მოხდა აქ ისეთი? რაშია ეს „გარეშე ვითარება“? გარეშე ვითარება, ჩვენის ფიქრით, ამ შემთხვევაში ახლად შემდგარი საბჭოა ქალაქისა და სხვა არა-რა. რა შეემჩნია ამ ახლად შემდგარს საბჭოს იმისთანა, რომ ბ-ნ მატინოვს მიზეზი მისცემოდა გაცლისა და სამსახურიდამ გადადგომისა? **თუ აქამომდე ბ-ნი მატინოვი უძლებდა საბჭოს, ეხლა რა მოხდა იმისთანა ახალი, რა შეიტანა ქალაქის თვითმართველობაში ახალმა საბჭომ იმისთანა, რომ ბ-ნმა მატინოვმა გაცლა ამჯობინა დარჩენასა?** ყოველს ამას რომ სამართლიანი პასუხი გავცეთ, საჭიროა უწინდელი და ეხლანდელი საბჭო ერთმანეთს შევადაროთ. რა იყო უწინდელი საბჭო? ყურმოჭრილი ყმა გამგეობისა. უწინდელი საბჭო ქვევრსა ჰგვანდა: რასაც გამგეობა ჩასძახებდა, იმას ამოიძახებდა. ყველაფერზედ „ბალი აღა“ მზად იყო, გამგეობა სჭრიდა და ჰკერავდა კიდეც და საბჭო ჭრაზედაც და კერვაზედაც ჰოს ნიშნად თავს აკანტურებდა. ახალმა საბჭომ-კი სულ სხვა უნარი გამოიჩინა, სულ სხვა გზა-კვალი აირჩია და პირდაპირ გამოაცხადა: **არც ერთს სარჩიელს გამგეობისას, თუ ცალკე ხმოსნისას, არც ერთს განაჩენს, აქ ჩვენში ვერავინ გაიყვანს უიმისოდ, რომ კრიტიკის ქარცეცხლში არ გავატაროთ, ყოველ მხრივ არ ავწონ-დავწონოთ და ქალაქის მკვიდრთა სარგებლობის და სახეირო თვალით არ გავსინჯოთ და არ განვიკითხოთო.**

**ჩვენ აქ ამისათვისა ვართ გამოგზავნილი ქალაქის მკვიდრთაგანა და არა იმისათვის, რომ თავები ვაკანტუროთ ყოველს იმაზე, რასაც თქვენ მოიწადინებთო.** ეგრეთწოდებულს ოპოზიციას ჯერ ხანად სხვა არა დაუწერია რა თავის დროშაზე, და ნუთუ ვისმე იმოდენა კადნიერება ექნება, რომ ეს დაუწუნოს? დღევანდელ „გარეშე ვითარებაში“ სხვა ახალი არა მომხდარა რა ამის მეტი, და რადგანაც ბ-ნ მატინოვის სამსახურიდამ გასვლა მარტო „გარეშე ვითარებაში“ უნდა მოიძებნოს, სჩანს, რომ იგი გაეცალა საბჭოს თვითმოქმედებას, საბჭოს კრიტიკას, საბჭოს განკითხვას, ამ ერთადერთს სახსარს, ერთადერთს გზას ყოველის საქმის კეთილად, ფრთხილად, წინდახედულად და გონიერად წარმართვისას. ტყუილად ჰნუგეშობენ, ტყუილად ჰცდილობენ ოპოზიციის მოპირდაპირენი, რომ ოპოზიციას სახელი და აზრუ გაუტეხონ, ვითომ საბჭოში ავყიაობის მეტს არას აკეთებდეს. ჩვენის ფიქრით, ისიც დიდი სამსახური იქმნება ქალაქის წინაშე ოპოზიციის მხრით, თუ იგი, თავის სასახელოდ, საბჭოში კუთვნილს ადგილს დააჭერინებს კრიტიკასა და განკითხვას აწ და სამარადისოდ. თორემ ოპოზიციას წინ კიდევ ბევრი სხვა საქმე უდევს და, ჩვენის ფიქრით, დიდად გონივრულად იქცევა, რომ მოუწადინებია ჯერ ყოველი გარემოება და ვითარება ქალაქის თვითმმართველობისა, ყოველი საქმე ქალაქისა ზედმიწევნით შეისწავლოს და მერე თავის მთელის და ვრცელის პროგრამით გამოვიდეს სამოქმედოდ. იმ დრომდე-კი ერთს ბიჯსაც არავის არ გადაადგმევინებს უიმისოდ, რომ არ განიკითხოს, არ განსაჯოს, არ აიღოს და დაიღოს კრიტიკის სასწორითა. ეს ახალი ბევრს ეხამუშება, მაგრამ დრო მოვა და გაიგებენ, რომ ხსნა სწორედ ამ გზით სვლაშია ყველგან, და ნამეტნავად იმისთანა მძიმე და რთულ საზოგადო საქმეში, როგორიც ქალაქის მოვლა და პატრონობაა.

ეხლა ვიკითხოთ: რას უნდა მიეწეროს, რომ ერთადერთი კანდიდატი ბ-ნი იზმაილოვი არ ინდომა საბჭომ ქალაქის თავად ამოერჩია და ეს არამორჩევა რას ჰნიშნავს? არამცთუ ეს არამორჩევა, თვით ბ-ნ მატინოვის და ბ-ნ ხოსროევის ამორჩევაც რომ ავიღოთ, აშკარად დავინახავთ, რომ ქალაქი ყოფილის გამგეობის მომდურავია. ჩვენ ვამბობთ ქალაქი, იმიტომ რომ დღეს ქალაქი საბჭოს პირით ჰლაპარაკობს, რადგანაც საბჭოში, ვინც არიან, ქალაქის წარმომადგენელნი არიან. სად უწინდელი არჩევანები, სად ეხლანდელი. წინანდელ არჩევანებში თეთრს კენჭებს მუჭითა ჰხვეტდნენ ამორჩეულნი და შავს-კი ძლივს ჰპოულობდნენ საარჩევნო ყუთში, და ეხლა-კი არც ბ-ნ მატინოვს და არც ბ-ნ ხოსროევს იმოდენა თეთრი არ მოსვლიათ, რომ იმავ მუჭით თითქმის იმოდენავე შავი კენჭი არ ეხვეტნათ. აქ ეჭვი არ არის, რომ დედაბუდე შავ კენჭების ესე ძლიერ ბღარტობისა უკმაყოფილობა და სამდურავია.

არ ვიცით, ეს სამდურავი და უკმაყოფილება რამდენად საბუთიანია. მინამდე თავისას არ იტყვიან ის მრავალგვარი კომისიები, რომელიც ახალმა საბჭომ მიუსია ქალაქის ყოფილთა საქმეთა, საბუთიანობაზე ლაპარაკი ძნელია, ხოლო ეს-კი ყველასათვის აშკარაა, რომ ყოფილს გამგეობას დიდი და პატარა ემდურება და უკმაყოფილო თვალით უყურებს. ეს თითქმის საერთო სამდურავი და უკმაყოფილება ახალმა ხმოსნებმა თან შეიტანეს საბჭოში, და პირველ არჩევანებში თუმცა გამარჯვებით არა, კარგა ღონივრად იჩინეს თავი, ასე რომ საბჭო ორ ერთი-მეორეზედ ორიოდე კენჭით მეტ-ნაკლებ ბანაკად გაჰყვეს. მას აქეთ თითქმის ორი თვე გავიდა და, როგორც სჩანს, ამ ორ თვეში ამ სამდურავმა და უკმაყოფილებამ საბჭოში ფეხი გაიდგა და ხმოსანთა შორის უფრო მეტი მომხრეობა მოიპოვა. ამ მატულობამ ბ-ნ იზმაილოვის არჩევანზე იმოდენად თავი იჩინა, რომ მომდურავთა ხმოსანთა კენჭმა, თუმცა ერთით, მაგრამ მაინც გადააჭარბა სხვებსა. ამბობენ, რომ ამ სამდურავს და უკმაყოფილებას არ უნდა აჰყოლოდნენ ხმოსნებიო, რადგანაც ჯერ გამორკვეული და გამოძიებული არ არის ამ სამდურავის და უკმაყოფილების საბუთიო და, რაკი აჰყვნენ, უსამართლოდ მოიქცნენო. ხმოსანთა გასამართლებლად ამ შემთხვევაში ჩვენ იმას ვიტყვით, რომ აქ ისე მოიქცნენ, როგორც რიგი იყო და გარემოება ითხოვდა. თითოოროლა ხმოსანმა აკი სარჩიელი წარმოსთქვა საბჭოში, არჩევანები ქალაქის თავისა ერთი ორის თვით გადავდოთო.

ამ ხნის განმავლობაში კომისიები თავისას იტყოდნენ გამგეობის ყოფილ საქმეთა შესახებ და ყოველს ხმოსანს ღონისძიება ექნებოდა ამ სამდურავს და უკმაყოფილებას საბუთი თუ უსაბუთობა რამ აღმოუჩინოს, და რატომ ყური არ ათხოვეს ხსენებულს სარჩიელს? **ჰაიჰარად დანიშნეს ქალაქის თავის არჩევანი და კეთილსინიდისიერი ხმოსანი ამ ჰაიჰარაობაში ერის ხმას უნდა აჰყოლოდა და ყოველ მხრიდამ მღაღადებელს სამდურავს და უკმაყოფილებას ყურს ვერ მოუყრუებდა. აქ ბრალი იმისია, ვინც ამისთანა არასაჩქარო საქმეში ასჩქარდა, და არა იმისი, ვინც ერის ხმას აჰყვა და, მაშასადამე, თავის მოვალეობას არ უღალატა.**

> **«ნუთუ ესენი თვითეულად ცალკე და ყოველნივე ერთად ქართველი ჰგონია ვისმე! ქართველი საყოველთაო სახელია და ამათში რა არის საყოველთაო. ეგ თითო-თითოდ, ერთის გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით რომ ცალკ-ცალკე და თავ-თავად დავგორავთ, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ნუთუ ეგ თვითეული ქართველი ჰგონია ვისმე!»**

25-ე გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ანატოლი ვასერმანი: პირდაპირი ტექსტით ვაცხადებ: ჩვენზე ზემოქმედებას არ შეამცირებს არც ტრამპის, არც ბაიდენის არჩევა.


ჯო ბაიდენი

**დღეს „25-ე გვერდის“ სტუმარია რუსული ჟურნალისტიკის გამორჩეული წარმომადგენელი, უნიკუმ ადამიანად მიჩნეული პუბლიცისტი, მწერალი და ტელეწამყვანი ანატოლი ვასერმანი. გთავაზობთ ამერიკის შეერთებული შტატების (რომელსაც ვასერმანი ამერიკის გაერთიანებულ სახელმწიფოებს უწოდებს) პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის მისეული შეფასების გადმოქართულებულ საგაზეთო ვერსიას.**

# არჩევნები დამთავრდა — გეშინოდეთ შედეგის


დონალდ ტრამპი

**როცა ტრამპმა «ტვიტერით» ეჭვი შეიტანა ამგვარი დათვლის პატიოსნებაში და სამართლიანობისა და კანონიერების დაცვა მოითხოვა, სოცქსელების პატრონებმა უცებვე დაბლოკეს მისი კრიტიკული შენიშვნა ზუსტად ისე, ბავშვებმა რომ იციან: თვალებზე ხელი აიფარეს — დავიმალეთ, მაგრამ ჩვენ ხომ თვალნათლივ დავინახეთ მათი დემოკრატიის მშვენიერება**

### ყველა ხვდებოდა, რაც ხდებოდა, მაგრამ – არა ეუთო

აი, დემოკრატიების ფოკუსების ნაწილი: უცებ გამოჩნდა ფოსტით გაგზავნილი ასიათასობით ბიულეტენი მხოლოდ დემოკრატების კანდიდატის მხარდასაჭერად; უცებვე აღმოჩნდა, რომ **ნევადაში** უფრო მეტი ხმა არის, ვიდრე ერთად აღებული ყველა ადგილობრივი ამომრჩეველია; დედაქალაქის ოლქ **კოლუმბიაში** ზედმეტი მოინდომეს — დაითვალეს, რომ ბაიდენს ხმა მისცა ამომრჩევლების 92-მა პროცენტმა, ტრამპს — მხოლოდ ექვსმა. დედაქალაქში კი, სადაც მოქალაქეთა ლომის წილი მხარს უჭერს ვაჭრებს მეწარმეთა წინააღმდეგ, ასეთი სტატისტიკა არარეალურია.

ხოლო, **როცა ტრამპმა „ტვიტერით“ ეჭვი შეიტანა ამგვარი დათვლის პატიოსნებაში და სამართლიანობისა და კანონიერების დაცვა მოითხოვა, სოცქსელების პატრონებმა უცებვე დაბლოკეს მისი კრიტიკული შენიშვნა ზუსტად ისე, ბავშვებმა რომ იციან: თვალებზე ხელი აიფარეს — დავიმალეთ, მაგრამ ჩვენ ხომ თვალნათლივ დავინახეთ მათი დემოკრატიის მშვენიერება.**

როგორ მოიქცნენ ის უფლებადამცველები, რომლებიც გიჟური 90-იანი წლებიდან გვასწავლიან, როგორ უნდა მოვაწყოთ არჩევნები? ისინი საოცრად უკმაყოფილონი დარჩნენ იმით, რომ ჩვენ, გონებადაჩლუნგებულები, ვერ ჩავწვდით მათ დემოკრატიას და მოითხოვეს მეორე და მესამე ტური, როგორც თავის დროზე **იუშჩენკოს** სასარგებლოდ, და თავიანთი ბლოგერების მეშვეობით შესთავაზეს ამომრჩევლებს, შეიარაღებულიყვნენ ქოლგებით, ჩაეცვათ თბილად, შინიდან წამოეღოთ ყავა, კარგი განწყობა და შეკრებილიყვნენ კაპიტოლიუმთან, როგორც კიევის მაიდანზე. იქნებ იმისთვის, რომ განეცხადებინათ, არასოდეს მხარს არ დაუჭერდნენ ასე არჩეულ პრეზიდენტს?

არრააა!

ეუთო ღია ტექსტით აცხადებს: არჩევნები კონკურენტული იყო, კარგად ორგანიზებული, არჩევნების დღეს არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა. არადა, მას შემდეგ, რაც მთელმა მსოფლიომ დაინახა, წიხლებით როგორ ტენიდა გლობალური ბიზნესი თეთრ სახლში თავის კანდიდატს და არ ეთაკილებოდა ისეთი აშკარა ფალსიფიკაციის, როგორიც იყო, მაგალითად, დიდი ხნის წინათ გარდაცვლილთა სახელით ბაიდენის მხარდასაჭერი ბიულეტენების ფოსტით გაგზავნა და იმავე დროს ტრამპის მხარდამჭერი ბიულეტენების გაგზავნის აკრძალვა იყო, თურმე იმიტომ, რომ ამომრჩევლებს ბიულეტენები სხვა კალმით შემოეხაზათ.

**თავისუფალი არჩევნების გაუპატიურებას პირდაპირ ეთერში მთელი პლანეტა ადევნებდა თვალს. ყველა ხვდებოდა, რაც ხდებოდა, დიახ, ყველა, მაგრამ არა ეუთო, რომელსაც ეს არჩევნები ძალიან მოეწონა.**

### დამარცხებულს ვინ შეუშლის ხელს, ძალა რომ გამოიყენოს?!

მაგრამ არჩევნები ამით არ დამთავრებულა. მაგალითად, კალიფორნიაში აღმოაჩინეს უბანი, რომელიც ვის მიერ იყო შექმნილი, მხოლოდ ალაჰმა უწყოდა და ახლა კიდევ დიდხანს მოუწევთ იმის გარკვევა, ვის უნდა მოსთხოვონ პასუხი იმის გამო, რომ აქედან ხმები უსასრულობაში გაიბნა და დაიკარგა. ზოგიერთ შტატში (სახელმწიფოში) არჩევნების შედეგები მხარეთა შორის ისე არის დაახლოებული, რომ ხმების გადათვლამ ან გაუქმებამ თუნდაც ერთ უბანზე შეიძლება რადიკალურად შეცვალოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგი ფედერაციის მასშტაბით.

ხომ ცნობილია, რომ თითოეული კანდიდატი თითოეულ სახელმწიფოში (შტატში) წარადგენს ხმოსანთა ერთ სიას და კოლეგიაში შევლენ ისინი, ვისი სიაც თუნდაც ერთი ხმით მეტს მიიღებს. 2000 წელს ფლორიდაში მხოლოდ ერთი უბნის შედეგით ამერიკის პრეზიდენტი გახდა **ბუში,** მიუხედავად იმისა, რომ მთელ ამერიკაში **ელ გორმა** მეტი ხმა დააგროვა. მაშინ აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ შეწყვეტილიყო ხელახალი შემოწმება იმ ბიულეტენებისა, რომლებშიც ამომრჩევლის სურვილი (შემოხაზვა პრეზიდენტის გვარის) მკვეთრად არ ჩანდა (მკრთალი იყო).

**„სახედრების პარტიას“ შესანიშნავად ესმის, რაც ელოდება, თუ დაცული იქნება კანონით დაწესებული ყველა პროცედურა.**

როცა ერთ-ერთი მხარე გამოაცხადებს, რომ უეჭველად გაიმარჯვა, ვინ შეუშლის ხელს მეორე მხარეს, არ გამოიყენოს ძალისმიერი ღონისძიებები?! **ფსონი დადებულია არა მხოლოდ იმაზე, თუ ვინ შევა ოვალურ კაბინეტში, არამედ მთელი ქვეყნის წინსვლის მიმართულების არჩევაზე, საკუთარი წარმოების აღორძინებისა და იმ ადამიანების ღირსების ჩამოყალიბებაზე, რომელთა შრომა აუცილებელია ყველა მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.**

რა უნდა გაკეთდეს მას შემდეგ, რაც ისინი თავიანთი გეგმების განხორციელებას შეუდგებიან?

ამბობენ, რომ, **რადგან აშშ მსოფლიოზე ახდენს გავლენას, მისი პრეზიდენტიც მთელმა მსოფლიომ უნდა აირჩიოს. მაგრამ, ყველამ რომ ავირჩიოთ, უნდა გავარკვიოთ, რას დაგვმართებს თითოეული კანდიდატი.**

პირდაპირი ტექსტით ვაცხადებ: ჩვენზე ზემოქმედებას არ შეამცირებს არც ტრამპის, არც ბაიდენის არჩევა.

**სამი ათეული წლის წინათ, თითქოს გამოუვიდათ: სოციალიზმის სისტემა ევროპაში დაინგრა, ხოლო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კოზირევი აშშ-ში თავის კოლეგას ეკითხებოდა: როგორია ამჟამად ჩვენი ეროვნული ინტერესები? ეს შეკითხვა ასე უნდა წავიკითხოთ: მზად ვართ ყველაფრისთვის აშშ-დან გადმოტანილი სამუშაო ადგილების სანაცვლოდ.** ჩინეთი კი, რომელიც ეყრდნობა დაგროვებულ ეკონომიკურ ძლიერებას, აშენებს პოლიტიკურს.

ჭამის დიდი მადის დროება, როცა გლობალური ბიზნესი ტრილიონობით დოლარის ვალს ადებდა მომავალ თაობებს, მთავრდება, მაგრამ იგი ცდილობს, გაიხანგრძლივოს აგონია ნებისმიერი საშუალებით. მასმედიის ანგაჟირებული პროპაგანდა, რომელიც ცოტა ხნის წინათ რესპექტაბელური და დამოუკიდებელი გვეგონა, მაგალითად, „სი-ენ-ენი“ და „ნიუ-იორკ თაიმსი“, თვალს ხუჭავს არჩევნების აშკარა ფალსიფიკაციაზე. „ყველაფერი ბაიდენის გამარჯვებისთვის!“ იგი (ბაიდენი) **გროზიკოსაც** ხვდებოდა, ეძინა (ამომრჩევლებთან) შეხვედრებზე და ახლობლების სახელებიც კი ავიწყდებოდა. ამ ბებრუხანის ნაცვლად ქვეყნის სამართავად ტრანსნაციონალები ემზადებიან.

### რის გაკეთებას გეგმავს „სიღრმისეული მთავრობა“?

**აი, რა ათქმევინეს ბაიდენს არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე: „პრეზიდენტი რომ გავხდები, დავუპირისპირდები პუტინს, გავაძლიერებ ნატოს. განვუმარტავ პუტინს, რომ ჩვენს დემოკრატიულ პროცესებში ჩარევისთვის პასუხს აგებს“. მან პირობა დადო, რომ თავგანწირვით ითანამშრომლებს აშშ-ის მოკავშირეებთან, რათა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დააწესოს ახალი სანქციები, იპოვოს „სხვა საშუალებები მისი (რუსეთის) დანაკარგების გადიდებისა და მსოფლიო ასპარეზზე მისი იზოლაციის კიდევ უფრო გაძლიერებისთვის“.**

ვალებისგან სიკვდილის პირამდე მისული რეიგანომიკა საბჭოთა კავშირის ხარჯზე გადარჩა, ამჟამად მათი გლობალური პროექტის დასასრულის დრო დადგა. და ახლა ცდილობენ 5-7 წლით გაიხანგრძლივონ არსებობა რუსეთის ხარჯზე.

**აშშ-ში პოლიტიკური კონსულტაციების უმსხვილესი ცენტრის რჩევით ცეცხლს უკიდებენ რუსეთის რესპუბლიკებს; მინსკში, კიშინიოვში, ბიშკეკში წარმატებული და არცთუ წარმატებული გადატრიალებები, სისხლისღვრა აზერბაიჯან-სომხეთის ომში — ნუთუ ეს ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის?!**

არჩევნები აშშ-ში უაღრესად ცუდად იყო ორგანიზებული. ამომრჩეველთა სიები საცხოვრებელი ადგილების მიხედვით არ ჰქონდათ შედგენილი, პირადობის მოწმობების წარდგენას არ სთხოვდნენ საარჩევნო უბნებში მისულ ამომრჩევლებს. არაფრის გამო კი არ ეწინააღმდეგება დემოკრატიული პარტია მიგრანტების ქვეყნიდან გაძევებას, არამედ იმიტომ, რომ ისინი ხმას აძლევენ დემოკრატებს, ამიტომ ერთი და იმავე ადამიანების მიყვანა რამდენიმე უბანში (კარუსელი) არათუ შესაძლებელია, არამედ ძალიან იოლად არის შესაძლებელი. ამ არჩევნებზე ფოსტით გაიგზავნა ბაიდენის მხარდამჭერი ბიულეტენები რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი ადამიანების მიერ. პენსილვანიაში ერთი საათის განმავლობაში ბაიდენის სასარგებლოდ მიცემული ხმების რაოდენობა ას ათასამდე გაიზარდა, ხოლო ტრამპის მხარდასაჭერად იმავე ერთი საათის განმავლობაში არც ერთ ამომრჩეველს ხმა არ მიუცია(?).

ღია ტექსტით გეკითხებით: ასეთი ფაქტების შემყურე ევროკავშირი რატომ არ აღშფოთდა? ბაიდენის გამარჯვება ევროკავშირს ხელს აძლევს, რა თქმა უნდა, მაგრამ ასეთი აშკარა დარღვევებით?!

**დასავლეთის აღშფოთებაზე ორიენტირება არ ღირს — ზედმეტად სათავისოდ არის მიზანდასახული. რაც უფრო დამოუკიდებელი ვიქნებით, მით უფრო კარგია ჩვენთვის.**

**ასე მიმართავს „ღია ტექსტით“ ანატოლი ვასერმანი, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის მოქალაქეებს, მაგრამ, ჩვენც თუ წავიკითხავთ ამ მრავალმხრივ საინტერესო წერილს, დავფიქრდებით და გავაანალიზებთ, მგონი, ბევრ სასარგებლო მარცვალს ვიპოვით.**

* * *

**14 დეკემბერს ხმოსანთა კოლეგიამ არჩეულ პრეზიდენტად ბაიდენი გამოაცხადა.**

ა.ს.

**აი, რა ათქმევინეს ბაიდენს არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე: «პრეზიდენტი რომ გავხდები, დავუპირისპირდები პუტინს, გავაძლიერებ ნატოს. განვუმარტავ პუტინს, რომ ჩვენს დემოკრატიულ პროცესებში ჩარევისთვის პასუხს აგებს». მან პირობა დადო, რომ თავგანწირვით ითანამშრომლებდა აშშ-ის მოკავშირეებთან, რათა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დააწესოს ახალი სანქციები, იპოვოს «სხვა საშუალებები მისი (რუსეთის) დანაკარგების გადიდებისა და მსოფლიო ასპარეზზე მისი იზოლაციის კიდევ უფრო გაძლიერებისთვის»**

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲦᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲐ



## ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲝᲓᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

ჯო ბაიდენი ამომრჩევლებს დაჰპირდა, რომ გააუქმებს ლგბტ თემის უფლებათა ყველა შეზღუდვას, რომლებიც მისი წინამორბედის მიერ არის დაწესებული და რომლებსაც შესაბამისი კანონი ითვალისწინებს. **არ შეიძლება დისკრიმინაცია რვა თუ ათი წლის ბავშვის, რომელმაც ტრანსგენდერობა გადაწყვიტა, — თქვა მან ტელეარხ ABC-ზე გამოსვლისას, იუწყება CBS News-ი.**

ტრანსგენდერი ბავშვის დედამ ჰკითხა ბაიდენს, როგორ აპირებს იგი ლგბტ თემის უფლებათა დაცვას პრეზიდენტად ყოფნისას. ბაიდენმა უპასუხა, რომ გააუქმებს ტრამპის შესაბამის გადაწყვეტილებებს და „კატეგორიულად გააფართოებს კანონს“ სექსუალური უმცირესობების უფლებების შესახებ.

შემდეგ მან გაიხსენა შემთხვევა, რომელსაც ბავშვობაში შეესწრო: მამამისის მანქანიდან როცა გადმოდიოდა და დაინახა, რომ ორი კაცი ერთმანეთს კოცნიდა. „მე მივუბრუნდი მამას, მან კი მითხრა: „ეს ჩვეულებრივი რამეა. მათ ერთმანეთი უყვართ“.

## ᲝᲥᲡᲤᲝᲠᲓᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲨᲘ ᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘ «ᲙᲐᲪᲘ» ᲓᲐ «ᲥᲐᲚᲘ» ᲡᲝᲓᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲔᲡ




ოქსფორდის ლექსიკონის გამომცემლებმა გაითვალისწინეს პეტიცია, რომელიც ითხოვდა ქალის გენდერული განსაზღვრიდან უთანასწორობის ამოღებას და ლგბტ თემისთვის მისაღები ფორმულირებით შეცვალეს. სიტყვა **„ქალის“** განსაზღვრის დამატებაში ნათქვამია, რომ იგი შეიძლება იყოს **„ადამიანის** ცოლი, ქალიშვილი ან საყვარელი“ და არა **„კაცის** ცოლი, ქალიშვილი ან საყვარელი“. **კაცის** დამატებით განსაზღვრაში სიმეტრიულად შეიცვალა: **„ადამიანის** ქმარი, ვაჟიშვილი ან საყვარელი“, ნაცვლად „ქალის ქმარი, ვაჟიშვილი და საყვარელი“.

**ᲛᲐᲠᲘᲐ ᲑᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲯᲝᲕᲐᲜᲐᲠᲓᲘᲛ**, რომელიც მოითხოვდა ლექსიკონში სექსუალური უმცირესობების შესახებ მაგალითების ჩართვას, განაცხადა, რომ „ძალიან კმაყოფილია“ ცვლილებებით და შეაფასა ისინი „ლგბტ-ს სასარგებლოდ წინ გადადგმულ ნაბიჯად“.

სიტუაცია შეაფასა ამერიკელმა თეოლოგმა **ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲛᲝᲚᲔᲠᲛᲐ** და აღნიშნა, რომ „ოქსფორდი დანებდა ზნეობრივ რევოლუციონერებს“. მან თქვა, რომ სიტყვები წამის გაელვებაში შეიძლება შეიცვალოს და განსხვავებით იმისაგან, რასაც ინგლისურ ენაში გამოხატავდა, ზნეობრივი რევოლუციონერების მსახურებაში გადასულ ცნებებად ჩამოყალიბდეს“.



## ᲛᲝᲫᲐᲚᲐᲓᲔ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ

**ინგლისური პრემიერლიგის ფეხბურთელი დაპატიმრებულია გაუპატიურებისა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ბრალდებით, — იუწყება Daily Mail.**

წყარო აცხადებს, არ შეუძლია იმ მოთამაშის ვინაობის გამხელა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა. მიზეზი იურიდიული ფორმალობის დაცვაა.

დანაშაული ჩადენილია ოქტომბერში ფეხბურთელის ბინაში.

მიმდინარეობს გამოძიება. ფეხბურთელი დაკავების შემდეგ გაათავისუფლეს, ამჟამად იგი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ სპორტსმენი 20-ზე მეტი წლისაა.

## ᲰᲝᲛᲝᲤᲝᲑᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲒᲔᲘᲝᲠᲒᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ



**ბრიუსელში კომენდანტის საათისა და ნიღბის ტარების რეჟიმის დარღვევის გამო დააკავეს ევროპარლამენტის დეპუტატი უნგრეთიდან. იგი შეეცადა, გაქცეოდა პოლიციელებს კლუბის ფანჯრიდან, სადაც ტარდებოდა გეიორგია 25 მამაკაცის მონაწილეობით. დეპუტატის ზურგჩანთა სავსე იყო ნარკოტიკ ექსტაზის აბებით.**

**ᲘᲝᲟᲔᲤ ᲡᲐᲘᲔᲠᲘ** ცნობილი უნგრელი პოლიტიკოსია, სახელი გაითქვა ევროპარლამენტის ორპირობის მხილებით. იდეური ჰომოფობია. სწორედ მას მიიჩნევენ უნგრეთის ახალი კონსტიტუციის ავტორად.

**ᲡᲐᲘᲔᲠᲛᲐ** პოლიტიკური კარიერა 2000-იანი წლების დასაწყისში გაიკეთა იმით, რომ მოითხოვდა ევროპის მიერ საბჭოთა კავშირის დანაშაულების დაგმობას. იგი, აგრეთვე, მოითხოვდა კომუნიზმის დანაშაულების მუზეუმის შექმნას და ნაციზმის მსგავსი რეჟიმის მსხვერპლთა ძეგლების დადგმას, მაგრამ ამ ასპარეზზე ბევრი ქულა ვერ დააგროვა და „ტრადიციული ფასეულობების“ დაცვაზე გადაერთო. დიდი წვერით დამშვენებული ეს კაცი დაქორწინებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე **ᲢᲣᲜᲓᲔ ᲰᲐᲜᲓᲝᲖᲔ.** ბოლო 10 წლის განმავლობაში უნგრეთის საზოგადოებრიობაში აქტიურად ვრცელდებოდა ხმები მისი მამათმავლობის შესახებ.

აი, ეს ორსახოვანი იანუსი დააკავა ბრიუსელის პოლიციამ პირველი დეკემბრის ღამეს.

საიერი შეეცადა, გამძვრალიყო ფანჯარაში და წყალსადინარი მილით გაქცეოდა სამართალდამცველებს. უნგრეთის მედია იუწყებოდა, რომ დაკავებისას ამ „მართლმორწმუნე მამათმავალს“ ხელისგულები სისხლით ჰქონდა დასვრილი.

„მე ნარკოტიკებს არ მოვიხმარდი, ადგილობრივმა პოლიციამ კი მომთხოვა, ოფიციალურად გამევლო ტესტი, მაგრამ არ დავემორჩილე. მათი მონაცემებით, ჩემს ზურგჩანთაში იპოვეს ექსტაზის აბები, მაგრამ ის ჩემი არ იყო. არ ვიცი, ვინ და როგორ ჩამიდო“, — განაცხადა იოჟეფ საიერმა.

იქ ატეხილი აურზაურის გამო პოლიციელები მივიდნენ ბარ Le Fetuor-ში, რომელიც ბრიუსელელი გეების პოპულარული გასართობი დაწესებულებაა. მივიდნენ და გადაირივნენ სანახაობით: მხიარული ნადიმის ნაცვლად იქ დახვდათ ორ ათეულზე მეტი შიშველი მამაკაცი, რომლებიც არ მალავდნენ თავიანთ სექსუალურ აღტყინებას და ვნებას აყოლილნი არად დაგიდევდნენ „სოციალური დისტანცირების“ დაცვის წესებს.

საიერი შეეცადა ინკოგნიტოდ დარჩენას და გაპარვას. სასწრაფოდ ჩაიცვა და ზურგჩანთას დაავლო ხელი, მაგრამ ამ მომენტში დაადგნენ თავზე, გაჩხრიკეს და ნარკოტიკებიც მაშინ უპოვეს.

სექსშეხვედრები ნარკოტიკების მიღებით პოპულარული ღონისძიებებია გეისაზოგადოებაში, განსხვავებული სახელიც კი დაარქვეს — „ქიმსექსი“.

მიუხედავად იმისა, რომ ბელგიაში მსუბუქი ნარკოტიკების მიღება დეკრიმინალიზებულია და აღიარებულია ჰომოსექსუალური კავშირები, იოჟეფ საიერის პოლიტიკურ კარიერას ხაზი გადაესვა. მან უკვე განაცხადა, რომ გადადგა.

სხვა თუ არაფერი, ელოდება სერიოზული საუბარი ცოლთან... მაგრამ კანის გამოცვლა ამ გველაძუასთვის უცხო არ არის და არ გაგიკვირდეთ, რომ სულ მალე ეს წვეროსანი მამათმავალთა უფლებების ენერგიულ დამცველად მოგვევლინოს.



## ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲕᲘᲠᲐᲓ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲫᲐᲕᲘ ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ



ყველაზე მინიატურულმა — სიმაღლე 142 სანტიმეტრამდე, მაგრამ ამასთანავე აშშ-ში ყველაზე ძვირად ღირებულმა მეძავმა **ᲔᲚᲘᲡ ᲚᲘᲢᲚᲛᲐ** სასამართლოში უჩივლა ნევადის შტატის მთავრობას იმის გამო, რომ რეგიონში კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემოღების მიზეზით უმუშევარი დარჩა.

## ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲞᲔᲓᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲐᲡᲢᲝᲠᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲐᲯᲐ



**ლვოვის სასამართლომ სასჯელისგან გაათავისუფლა სოფელ სკოლეს ეკლესიაში მოღვაწე პასტორი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა ციხე 14 წლის ბიჭის გაუპატიურების ბრალდებით, — იუწყება Zaxid-ი.**

20 აგვისტოს პასტორმა თავის მანქანაში შეიტყუა ბიჭი ტელეფონის აწყობის მოგონილი მიზეზით. არასრულწლოვანს მოუთხრობდა გარყვნილ ისტორიებს.

სასამართლოს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 47 წლის **ᲞᲔᲢᲠᲔ ᲕᲘᲡᲝᲩᲐᲜᲡᲙᲘ** შეუთანხმდა დაზარალებულს და აუნაზღაურა მორალური და მატერიალური ზარალი.

მსხვერპლი მოძალადის სასჯელისგან გათავისუფლების წინააღმდეგი არ ყოფილა.

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კარლ ბენცის სამბორბლიანი ეკიპაჟი, რომელიც ავტომრეწველობის გარიჟრაჟზე შეიქმნა, მხოლოდ 16 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებდა, დღეს კი ზოგიერთი ავტომობილის სიჩქარე 450 კმ/სთ-ზე მეტია.**



კარლ ბენცის ავტო

# 8 ყველაზე სწრაფი ავტომობილი

**ავტომობილების მრეწველობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყველაზე სწრაფი ავტომობილის მწარმოებლის ტიტულს, რომლისთვისაც ფირმები ათწლეულების განმავლობაში იბრძვიან. რეკორდები თანდათან მატულობს, რადგან ავტომობილები სულ უფრო იხვეწება, სულ უფრო მსუბუქი და სწრაფი ხდება. კარლ ბენცის სამბორბლიანი ეკიპაჟი, რომელიც ავტომრეწველობის გარიჟრაჟზე შეიქმნა, მხოლოდ 16 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებდა, დღეს კი ზოგიერთი ავტომობილის სიჩქარე 450 კმ/სთ-ზე მეტია. გთავაზობთ 2020 წლის 8 ყველაზე მაღალსიჩქარიანი ავტომობილის ჩამონათვალს.**





## 1. Hennessey Venom F5

*** მაქსიმალური სიჩქარე — 484 კმ/სთ**
*** ძრავის მოცულობა — 6,6 ლ**
*** ძრავის სიმძლავრე — 1842 ცხ. ძ.**
*** წონა — 1338 კგ**
*** ფასი — 1,6 მლნ დოლარი**

ამერიკულმა კომპანია Hennessey special vehicles-მა ეს სპორტული ორკარიანი ავტომობილი 2017 წელს ლას-ვეგასში გამართულ გამოფენაზე წარმოადგინა.

ავტომობილი აღჭურვილია 1842 ცხ. ძ-ის სიმძლავრის ძრავით ორმაგი ტურბომოწყობილობითა და 7-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფით. ავტომობილის ძარა და შასი დამზადებულია მაღალნახშირბადიანი ბოჭკოთი (კარბონით).





## 2. Bugatti Chiron Super sport 300+

*** მაქსიმალური სიჩქარე — 482,8 კმ/სთ**
*** ძრავის მოცულობა — 8,2 ლ**
*** ძრავის სიმძლავრე — 1600 ცხ. ძ**
*** წონა — 1978 კგ**
*** ფასი — 3,5 მლნ ევრო**

ფირმა „ბუგატის“ (შედის „ფოლკსვაგენის“ შემადგენლობაში) ფრანგული სუპერკარი 2019 წელს ყველაზე სწრაფ ავტომობილად დასახელდა. ციფრული ინდექსი 300+ ნიშნავს, რომ მაქსიმალური სიჩქარე საათში 300 მილს (482,8 კმ/სთ) აჭარბებს. ორკარიანი სპორტული კუპე Veyron-ის პლატფორმაზე შექმნილი ახალი მოდელი აღჭურვილია W-ს მსგავსი 16-ცილინდრიანი და 1600 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავით, 4 ტურბოკომპრესორითა და 7-საფეხურიანი ავტომატური ტრანსმისიით.



## 3. Koenigsegg Agera RS

*** მაქსიმალური სიჩქარე — 445 კმ/სთ**
*** ძრავის მოცულობა — 5,0 ლ**
*** ძრავის სიმძლავრე — 1360 ცხ. ძ**
*** წონა — 1205 კმ**
*** ფასი — 2,2 მლნ დოლარი**

შვედურმა მწარმოებელმა Koenigsegg-მა მოდელი Koenigsegg Agera RS-ი 2017 წელს გამოუშვა, ორკარიანი მანქანის ძარა ალუმინისგანაა დამზადებული და რობოტიზებული 7-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი.



## 4. SSC Tuatara

*** მაქსიმალური სიჩქარე — 443 კმ/სთ**
*** ძრავის მოცულობა — 7 ლ**
*** ძრავის სიმძლავრე — 1350 ცხ.ძ**
*** წონა — 1247 კგ**
*** ფასი — 1,3 მლნ დოლარი**

ამერიკულმა კომპანია Shelby Super Cars-მა ამ მოდელის წარმოება დაიწყო 2014 წელს და მას ახალზელანდიური რეპტილიის სახელი უწოდა, რომელსაც ჰგავს ავტომობილის უკანა ნაწილი. აღჭურვილია 7-ლიტრიანი V8 ძრავითა და 7-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფით.





## 5. Hennessy Venom GT

*** მაქსიმალური სიჩქარე — 435 კმ/სთ**
*** ძრავის მოცულობა — 7 ლ**
*** ძრავის სიმძლავრე — 1451 ცხ.ძ**
*** წონა — 1338 კგ**
*** ფასი — 1,2 მლნ დოლარი**

ეს ამერიკული სპორტული ავტომობილი სულ 12 ეგზემპლარია გამოშვებული. აღჭურვილია 1000 და 1200 ცხ.ძ. სიმძლავრის 2 ტურბოკომპრესორით.



## 6. Bugatti Veyron Super Sport

*** მაქსიმალური სიჩქარე — 431 კმ/სთ**
*** ძრავის მოცულობა – 8 ლ**
*** ძრავის სიმძლავრე — 1200 ცხ.ძ**
*** წონა — 2200 კგ**
*** ფასი — 1,95 მლნ დოლარი**

ამ მოდელს, რომელიც 2010-2011 წლებში აწარმოებდნენ, ლეგენდარული ავტომრბოლის, **პიერ ვეირონის** სახელი უწოდეს.

სუპერკარი აღჭურვილია 8-ლიტრიანი ბენზინის ძრავით, ტურბოკომპრესორითა და 7-საფეხურიანი მექანიკური ტრანსმისიით.

სულ გამოშვებულია 48 ეგზემპლარი.



## 7. SSC Ultimate Aero TT 2009

*** მაქსიმალური სიჩქარე — 421 კმ/სთ**
*** ძრავის მოცულობა — 6,4 ლ**
*** ძრავის სიმძლავრე — 1187 ცხ.ძ**
*** წონა — 1247 კგ**
*** ფასი — 1 მლნ დოლარი**

SSC North America-ს წარმოებული ეს სუპერკარი 2007 წლის ultimate TT-ს განახლებული ვერსიაა, რომელსაც 2009-2011 წლებში აწარმოებდნენ. აღჭურვილია ბენზინის V8 ძრავითა და ტურბოკომპრესორით.





## 8. Bugatti Chiron Sport

*** მაქსიმალური სიჩქარე — 420 კმ/სთ**
*** ძრავის მოცულობა — 8 ლ**
*** ძრავის სიმძლავრე — 1500 ცხ.ძ**
*** წონა — 1977 კგ**
*** ფასი — 3,2 მლნ დოლარი.**

ფრანგულ კომპანია Buggatti Chiron Sport-ს 2018 წლიდან აწარმოებს.

2-კარიანი სუპერკარი აღჭურვილია 8-ცილინდრიანი ძრავითა და ტურბოკომპრესორებით, აგრეთვე, 7-საფეხურიანი ტრანსმისიით.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

DINAMO TBILISI
1925
„დინამო" თბილისის ლოგო

**1990-იან წლებში თბილისის „დინამოში" თამაშობდნენ: კიევის „დინამოსა" და მილანის „მილანის" მომავალი მცველი კახა კალაძე, ჰავბეკი გიორგი ქინქლაძე, რომელიც შემდეგ გამოდიოდა „მანჩესტერ სიტიში", „აიაქსსა" და არგენტინის „ბოკა ხუნიორსშიც" კი, „აიაქსისა" და გლაზგოს „რეინჯერსის" მრისხანე ფორვარდი შოთა არველაძე, ბუნდესლიგის ვარსკვლავები — ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საბჭოთა კავშირის ლეგენდარული კლუბები დღეს. «დინამო» (თბილისი): სწრაფად დაცემის ქრონიკა

**ვებგვერდმა prostoprosport.ru-მ წერილების ციკლი მიუძღვნა საბჭოთა კავშირის ლეგენდარულ საფეხბურთო კლუბებს — კიევის „დინამოს", მინსკის „დინამოს"... რამდენიმე დღის წინათ კი თბილისის „დინამოც" გაიხსენა. წერილებში გაანალიზებულია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების კლუბების ასპარეზობა ევროპულ ტურნირებში, მათი მიღწევები სსრკ-ში და... რა პერსპექტივა აქვთ დღეს ამ სახელოვან კლუბებს.**

და, თუ უკრაინის დედაქალაქის კლუბი, რომელმაც უეფას თასის მფლობელთა თასი 2-ჯერ მოიპოვა, ხოლო სუპერთასი — 1-ჯერ, მონაწილეობდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში და დაამარცხა ისეთი ევროპული გრანდები, როგორიც არიან მიუნხენის „ბაიერნი" და ბარსელონას „ბარსელონა", დღეს, ასე თუ ისე, მაინც ინარჩუნებს სახეს (მონაწილეობს ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში), ამას ვერ ვიტყვით თბილისის „დინამოზე", რომლის ძველი დიდებისგან აჩრდილიც აღარ დარჩა. 2020 წლის 26 სექტემბერს სამარცხვინოდ დამარცხდა ფარერის კუნძულების სრულიად უცნობ, არაპროფესიონალებით დაკომპლექტებულ კლუბ „კლაკსვაიკთან" — 1:6.

ყველაფრის მიუხედავად, ქართველი გულშემატკივრისთვის, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება უცხო თვალით დანახული ქართული ფეხბურთი — როგორი იყო ის საბჭოთა პერიოდში და როგორია დღეს, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან თითქმის 30 წლის თავზე.

## საბჭოთა კავშირის პერიოდში

* **ჩემპიონობა: 2 (1964, 1978)**
* **სსრკ-ის თასი: 2 (1976, 1979).**
* **უეფას თასების მფლობელთა თასი: 1 (1981).**

თბილისის „დინამოს" მდიდარი ისტორია აქვს. კლუბი დაარსდა 1925 წელს, 1930-იან წლებში კი დებიუტი ჰქონდა XX საუკუნის ერთ-ერთ შესანიშნავ ქართველ ფეხბურთელს — **ბორის პაიჭაძეს.** მისი ისტორია ერთდროულად შესანიშნავიც არის და ტრაგიკულიც. ბორის პაიჭაძემ სსრკ-ის ჩემპიონატებში 99 ბურთი გაიტანა და 36 წლის შესრულებამდე ითამაშა, მაგრამ მის ცხოვრებაში იყო სამწუხარო ეპიზოდიც: ბორის პაიჭაძე თბილისის „დინამოში" **ლავრენტი ბერიას** მითითებით მოხვდა, როცა მისი მამა დაპატიმრებული იყო. ბორისი კარგა ხანს ცდილობდა სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახელგანთქმულ კომისართან შეხვედრას, მაგრამ ეს მხოლოდ 1942 წელს მოახერხა, როცა მამა უკვე გარდაცვლილი ჰყავდა. ქართული ფეხბურთის ფლაგმანში ყოველთვის იყვნენ ბრწყინვალე ფეხბურთელები. ასე იყო 1964 წლის სსრკ-ის ჩემპიონ გუნდშიც, რომელშიც თამაშობდნენ ისეთი კაშკაშა ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ **მიხეილ მესხი** და **სლავა მეტრეველი.** ორივემ სახელი გაითქვა არა მხოლოდ საკლუბო დონეზე, არამედ საბჭოთა კავშირის ნაკრებში, რომელმაც 1960 წელს ევროპის პირველ ჩემპიონატში გაიმარჯვა (მესხისა და მეტრეველის გარდა სსრკ-ის იმ ნაკრებში თამაშობდა **გივი ჩოხელიც** — ნ.კ.). შემდეგ (და ყველაზე დიდ) წარმატებას თბილისის „დინამომ" მიაღწია გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, როცა მას წვრთნიდა **ნოდარ ახალკაცი.** იმხანად გუნდში თავი მოიყარეს უნიჭიერესმა შემტევებმა. ესენი იყვნენ: **დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი** და, რა თქმა უნდა, **ვიტალი დარასელია.** ის, რასაც ეს ბიჭები აკეთებდნენ ბურთით, გასაოცარი იყო ევროპელთათვისაც კი. 1979 წელს თბილისის „დინამომ" უეფას ჩემპიონთა თასის გათამაშებაში (ახლანდელი ჩემპიონთა ლიგა — ნ.კ.) გაანადგურა **კენი დალგლიშის, რეი კლემენსის, გრემ სუნესის** „ლივერპული", რომელიც ამ თასის მფლობელი იყო.

თბილისში წვიმიან ამინდში გოლები მხოლოდ თბილისელებმა გაიტანეს: ანგარიში გუცაევმა გახსნა, შენგელიამ სხვაობა ორამდე გაზარდა, ხოლო **ჩივაძემ** დააგვირგვინა ინგლისელთა განადგურება — 3:0. უკვე იმხანად ყველასთვის ნათელი იყო, რომ ახალკაცმა არა, უბრალოდ, კარგი, არამედ ისტორიული გუნდი შექმნა. ეს თბილისის „დინამომ" შემდეგ, 1980-1981 წლების სეზონში, დაამტკიცა, როცა კიეველი თანაკლუბელების შემდეგ საბჭოთა კავშირში მეორე იყო, რომელიც უეფას თასის მფლობელთა თასს დაეუფლა. **დრამატული ფინალი „კარლ ცაისის" წინააღმდეგ გუცაევისა და დარასელიას გოლებით — ეს არის არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ მსოფლიო ფეხბურთის კლასიკა.** განსაკუთრებით დასამახსოვრებელია დარასელიას მიერ გატანილი ბურთი. დარასელიას ჰქონდა მონაცემები, სუპერვასკვლავი გამხდარიყო, მაგრამ 1982 წელს დეკემბერში ტრაგიკულად დაიღუპა ავტოავარიაში. საერთოდ, „დინამო" თბილისის ლეგენდარული შემადგენლობისთვის ნაადრევი სიკვდილი ლამის ტენდენციად იქცა. იმჟამად, თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ქართველების ტრიუმფიდან 39 წლის შემდეგ, ცოცხალი აღარ არის არც უჭკვიანესი ჰავბეკი ყიფიანი, არც ბომბარდირი შენგელია; პირველი ავტოავარიაში დაიღუპა 2001-ში, მეორე — გულის შეტევით გარდაიცვალა 2012 წელს.


1964 წლის „დინამო" თბილისი


1981წლის „დინამო" თბილისი


ბორის პაიჭაძე


მიხეილ მესხი


დავით ყიფიანი

## სსრკ-ის დაშლის შემდეგ

* **ჩემპიონობა: 16**
* **საქართველოს თასი: 13**
* **უმაღლესი მიღწევა ევროთასების გათამაშებაში: უეფას თასის ჯგუფური ეტაპი — 2004/05**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თბილისის ფეხბურთი გარკვეულ პერიოდში ინერციით ცხოვრობდა — მწვრთნელები და სკოლები განაგრძობდნენ ფუნქციობას და ამ სკოლებში, როგორც ადრე, იზრდებოდნენ მსოფლიო პოტენციალის მოთამაშეები. 1990-იან წლებში თბილისის „დინამოში" თამაშობდნენ: კიევის „დინამოსა" და მილანის „მილანის" მომავალი მცველი **კახა კალაძე,** ჰავბეკი **გიორგი ქინქლაძე,** რომელიც შემდეგ გამოდიოდა „მანჩესტერ სიტიში", „აიაქსსაქ" და არგენტინის „ბოკა ხუნიორსშიც" კი, „აიაქსისა" და გლაზგოს „რეინჯერსის" მრისხანე ფორვარდი **შოთა არველაძე,** ბუნდესლიგის ვარსკვლავები — **ლევან კობიაშვილი** და **ალექსანდრე იაშვილი.** ამ ფეხბურთელებისგან დაკომპლექტებული გუნდი შესანიშნავად გამოიყურებოდა, მაგრამ დრო გადიოდა, ფეხბურთში ბევრი ფული იდებოდა, მატულობდა კონკურენცია. საქართველო კი გალატაკებული იყო კორუფციისა და სამოქალაქო ომისაგან. ქვეყანას ფეხბურთისთვის არ ეცალა, ამიტომ **საუკეთესო ფეხბურთელები, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში აღზრდილები, უცხოეთში წავიდნენ, მათი დონის კი არავინ ჩანდა. ასე დაიწყო თბილისის „დინამოს" და, საერთოდ, ქართული ფეხბურთის დაისი.**

2000 წელს „დინამომ" პირველად ვერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა — ტიტული ქუთაისის „ტორპედოს" დაუთმო. გარკვეული აღმავლობა კლუბს 2004-2005 წლების სეზონში ჰქონდა, როცა უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. ეს ჯერჯერობით ბოლო ნათელი წერტილია „დინამოს" ისტორიაში. შემდეგ იყო მხოლოდ უფერულობა. თუმცა ეს საქართველოს ჩემპიონატისთვის საკმარისია, აი ევროთასებში კი „დინამო", უკვე მრავალი წელია, გამანადგურებელი ანგარიშით მარცხდება ისეთი კალიბრის მეტოქეებთან, როგორებიც არიან „სტიაუა", „პაოკი" თუ ზაგრების „დინამო".

## პერსპექტივა

თუ ასე გაგრძელდა, პერსპექტივა, უბრალოდ, არ არსებობს. ოდესღაც დიადი კლუბისგან ნანგრევები დარჩა. თბილისის „დინამოს" სკოლას, უკვე დიდი ხანია, მსოფლიო დონის ვარსკვლავი არ აღუზრდია. „დინამოს" პრობლემები ქართული ფეხბურთის პრობლემებია, რომელშიც 20 წელიწადია, საინტერესო არაფერი ხდება. და როგორ უნდა ამოძრავდეს ეს ჭაობი, როცა ფეხბურთელის ხელფასი წელიწადში 15 ათას დოლარზე ოდნავ მეტია, გაუგებარია.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



გიორგი ქინქლაძე


კახა კალაძე


შოთა არველაძე

# 21 დეკემბერი მშრომელი ხალხის ბელადის დაბადების დღეა!

**იოსებ სტალინის (სოსო ჯუღაშვილის), ამ გენიალური პიროვნების მოღვაწეობის აღქმა და ობიექტური შეფასება ჩვენთვის, თითქმის მისი თანამედროვეებისთვის, შეუძლებელია. ამ ეტაპზე სტალინის პიროვნება ჩვენ წარმოგვიდგება უზარმაზარი პორტრეტის სახით, რომელიც ისე ახლოა ჩვენთან, რომ ვხედავთ სახის ნაკვთების მხოლოდ ფრაგმენტებს. პორტრეტის სრულად დასანახად და ობიექტურად შესაცნობად აუცილებელია მისგან დროებით დაშორება, რისთვისაც ათწლეულებია საჭირო.**



სტალინის ეპოქაში შინაურ და გარეშე მტერთან უკომპრომისო ბრძოლის პარალელურად, აღმშენებლობის რეალობად ქცეული სასწაულები: ქვეყნის ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია და ფუნდამენტურ მეცნიერებათა სკოლების დაარსება, ის ქვაკუთხედია, რომელმაც შესაძლებელად აქცია დიდ სამამულო (მეორე მსოფლიო) ომში გერმანული ფაშიზმის დამარცხება.

**მრავალეროვან საბჭოთა კავშირში (ცხოვრობდა ორასამდე ეროვნება) ყველა წარმატების საფუძველი იყო სტალინური ეროვნული პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების შედეგად ხალხების მიერ თავიანთი ეროვნებით სიამაყის პარალელურად სხვა ერების მიმართ მეგობრობა, პატივისცემა და სიყვარული, უკეთესი ხვალინდელი დღისა და ნათელი მომავლის ურყევი რწმენა.**

იოსებ სტალინმა დეკლარირებულად ათეისტურ საბჭოთა კავშირში ქრისტეს ათი მცნების პოსტულატები სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა და ადამიანების ქცევის, ურთიერთობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმად აქცია.

სტალინური ეპოქის საბჭოთა კავშირი იყო კაცობრიობის ისტორიაში ერთადერთი ქვეყანა, რომელშიც ახდა უხსოვარი დროიდან ყველა ხალხების საუკუნოვანი ოცნება თავისუფლების, თანასწორობისა და საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთა თანაბარუფლებიანი ცხოვრების შესახებ.

ამითაა განპირობებული, რომ დედამიწაზე არ დარჩენილა ქვეყანა, რომლის წარმომადგენელსაც სადიდებელი სტრიქონები არ მიეძღვნას იოსებ სტალინისთვის. ალბათ, ამიტომაც სტალინი ერთადერთი ადამიანია კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრიობამ ყველა მშრომელი ხალხის ბელადად შერაცხა.

**ტარიელ სუხიაშვილი**

**სტალინური ეპოქის საბჭოთა კავშირი იყო კაცობრიობის ისტორიაში ერთადერთი ქვეყანა, რომელშიც ახდა უხსოვარი დროიდან ყველა ხალხების საუკუნოვანი ოცნება თავისუფლების, თანასწორობისა და საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთა თანაბარუფლებიანი ცხოვრების შესახებ**

**P.S. 21 დეკემბერი იოსებ ბესარიონის ძე სტალინის დაბადების დღეა. ნუ დავივიწყებთ!**

## «გამაოგნებელია!»: პუტინმა ტელევიზორის ყურებისგან მიღებული შთაბეჭდილებები აღწერა



**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი დაეთანხმა თვალსაზრისს, რომ რუსულ მასმედიასა და სოციალურ ქსელებში მორალურ-ეთიკური პრობლემებია და აღიარა, რომ იშვიათად უყურებს ტელევიზორს.**

რუსეთის პრეზიდენტთან არსებული სამოქალაქო საზოგადოებისა და ადამიანის უფლებების განვითარების საბჭოს წევრებისა და პრეზიდენტის შეხვედრაზე ჟურნალისტმა **მარია ახმედოვამ** მასმედიასა და სოციალურ ქსელებში მორალურ-ეთიკური ნორმების თემა წამოჭრა.

**„სიმართლე უნდა ვთქვა, მე იშვიათად ვუყურებ ტელევიზორს, უბრალოდ, ამისთვის დრო არ მრჩება, მაგრამ ზოგჯერ, როცა მოვახერხებ, რასაც ვუყურებ, გამაოგნებელია, მაგრამ ეს დამოკიდებულია იმ ადამიანების კულტურის დონეზე, რომლებიც ეთერში ასეთ რაღაცებს უშვებენ“,** — განაცხადა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ რუსეთში თანდათან აიწევს სატელევიზიო კონტენტის დონე და მომავალში შოკში აღარ ჩააგდებს ადამიანებს და აღარ დაუმახინჯებს ცნობიერებას.

**radiosputnik.ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**




## ტეხასში რეფერენდუმის ჩატარებას აპირებენ აშშ-დან გასვლის შესახებ

**ტეხასის წარმომადგენელთა პალატის წევრმა, რესპუბლიკელმა კაილ ბიდერმანმა წინადადება წამოაყენა აშშ-ის შემადგენლობიდან ტეხასის შტატის გასვლაზე რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, — იუწყება Fox News-ი.**

**„მე შევქმნი კანონპროექტს, რომელიც ტეხასელებს საშუალებას მისცემს, ჩაატარონ რეფერენდუმი იმ მიზნით, რომ ტეხასის შტატი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დამტკიცდეს“,** — დაწერა კანონმდებელმა „ტვიტერში“.

ბიდერმანის აზრით, ფედერალური მთავრობა კონტროლს აღარ ექვემდებარება და ტეხასელებისთვის ფასეულობას აღარ წარმოადგენს.

ისეთმა გაერთიანებებმა, როგორიც არის ტეხასის ნაციონალური მოძრაობა, არაერთხელ დაუჭირეს მხარი ამერიკის შეერთებული შტატების შემადგენლობიდან ამ შტატის გასვლას. შტატის საკანონმდებლო ორგანომ უკვე ასობით ასეთი წინადადება მიიღო.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

## საჩუქარი ქართველი მკითხველისთვის — ჰეგელის «ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე»




გერმანულიდან ქართულად ითარგმნა, დაისტამბა და უკვე იყიდება უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის — გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“. ეს საჩუქარი ქართველ მკითხველს რელიგიის დაუღალავმა მკვლევარმა, გერმანული ენიდან არაერთი ფილოსოფიური ნაშრომის მთარგმნელმა ვიქტორ რცხილაძემ და გამომცემლობა Carpe Diem-მა (დირექტორი ალექსანდრე ალადაშვილი) გერმანული „გოეთეს ინსტიტუტის“ დახმარებით გაუკეთეს.

წიგნი იყიდება თბილისში, მაღაზია „ლატერნაში“ (ცოტნე დადიანის № 7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“, მე-2 სართული) და რუსთაველის № 16-ში.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894